საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (305)
24 – 30 ივნისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

სახელმწიფო ბიუჯეტი 140 მილიონი ლარით მცირდება 2



«საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ეძებენ აფხაზეთის დაკარგვას» 4



«როგორი სამხედრო ტექნიკას უნდა შევიძინოთ, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე, ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ იქნება» 6

მარადიულმა ქალაქმა პედერასტიას უარი უთხრა და მხარი ტრადიციულ ფასეულობებს დაუჭირა 3

12 რა დანიშნულება აქვს პრეზიდენტის სასახლეს ზუგდიდში?



ამერიკელების ძაღლიშვილი ოდესელ პროკურორებს ემუქრება, ოლქში მასობრივი რეპრესიების მოლოდინია 5



«ევროპული ბანკის პრეზიდენტის 9 დაჭერას მოითხოვს სრულიად საქართველო, ბიძინა ივანიშვილი კი გამოდის და ამბობს, – ყველაფერი ვაპატიეო. ვინ ჰკითხავს ივანიშვილს? ქვეყანას პროკურატურა და პოლიცია რისთვის ჰყავს?»

13 თბილისში ადამიანები და ზოოპარკის ცხოველები მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარიზმის მსხვერპლნი გახდნენ



„ანტიდისკრიმინაციული კანონი და სოდომური ცოდვით შეპყრობილი ადამიანების აღლუმების მოწყობა დასავლეთის დირექტივაა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება უყოყმანოდ ასრულებს. აი, ამის შედეგია ის დაცემა, რომელსაც დღეს ვხედავთ, მაგრამ ეს არ არის უცხო ძალების საბოლოო მიზანი“

მამა დავით (ნოზაძე): 7

«ცისფერი კომისრები» უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენლები არიან და ძირს უთხრიან სახელმწიფოს



«ვეფხვის მიერ მოკლული 10 ადამიანის გარდა, ზურაბ გურიელიძის, იასონ ბადრიძისა და მათი ამფსონების სინდისზე კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლეა!»

15 «დიდ შვიდეულში» დაავიწყდათ, ვინ გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში?

გლობალური ელიტა ელექტრონულ საკონცენ-20 ტრაციო ბანაკს აშენებს

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ფრიდომ ჰაუსმა» საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში შეიყვანა

**გაუმჯობესება დემოკრატიის კუთხით ევრაზიის რეგიონში მხოლოდ ორ ქვეყანაში აღინიშნა — ეს იყო საქართველო, სადაც 2014 წელს პირველად ჩატარდა მერის პირდაპირი წესით არჩევნები, და უკრაინა. ნათქვამია უფლებადამცველი ორგანიზაცია Freedom House-ის ანგარიშში „სახელმწიფოები გარდამავალ პერიოდში — 2015“.** კვლევის მიხედვით, 7-ქულიანი შკალიდან, სადაც 1 ქულა საუკეთესო მაჩვენებელია, ხოლო 7 — ავტორიტარიზმის ნიშანი, საქართველოში დემოკრატიის დონე 4,64 ქულით შეფასდა. ამ მაჩვენებლით საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებს შორის მოხვდა. ამავე ჯგუფში მოხვდნენ მაკედონია, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, უკრაინა და მოლდოვა. სრული დემოკრატიის ქვეყნების რეიტინგში მოხვდნენ სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ჩეხეთი, პოლონეთი, ლიტვა და სლოვაკეთი. ანგარიში მოიცავს 2014 წლის 1-დან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.



## პატრიარქი ყოველთა ქართველთა კონგრესის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საკვირაო ქადაგებისას სვეტიცხოვლობას ყოველთა ქართველთა კონგრესის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა.**

„უნდა ვიფიქროთ იმ თანამემამულეებზე, რომლებიც უცხოეთში არიან. რა ეშველება მათ? უცხოეთში ადამიანი ძნელად უძლებს იმ განსაცდელს, რომელსაც ხედავს იქ. ჩვენი დიდი წინაპარი ამბობს: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა არ დაკარგონ ენა, სარწმუნოება, სამშობლოს სიყვარული... ქართველობა არ დაკარგონ? თუ ქართული სული დაიკარგა მათში, ეს ადამიანები დაკარგულია. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები დავუკავშიროთ სამშობლოს? **ჩვენ გვაქვს სურვილი, სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს, მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა კონგრესი საქართველოში და კიდევ ერთხელ გავახსენოთ ჩვენს სისხლსა და ხორცს, რომ მათი წინაპრები აქ არიან და არ უნდა დაკარგონ კავშირი სამშობლოსთან.** რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ არ დაივიწყონ ქართული ენა? ქართველი ადამიანი გვგონია ისეთი ძლიერი გენისა, რომ ის არ დაიკარგება, მაგრამ სჭირდება სამშობლოს დახმარება, ჩვენი შეხსენება. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, შევადგინოთ სია ნათესავების, რომლებიც უცხოეთში არიან და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავაკავშიროთ ისინი სამშობლოსთან. **ძალიან ბევრია წასული უცხოეთში, მხოლოდ რუსეთში, ალბათ, მილიონზე მეტი. ჩვენ ასევე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფერეიდნელ ქართველებს, რომლებიც შაჰ-აბასის დროს წაიყვანეს აქედან. ისინი ელოდებიან ჩვენს დახმარებას. ის ჩვენი სისხლი და ხორცია. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ თურქეთში, ევროპაში, ამერიკაში და სრულიად მსოფლიოში მცხოვრებ ქართველებს. საქართველო ელოდება თქვენს ჩამოსვლას. როგორც მშობელი დედა, ისე მიგიღებთ თქვენ სამშობლოში. იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ ჩვენი ერის გაერთიანებას!“** — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.





ემზარ ჯგერენაია:

## ზარალის ანაზღაურებასა და პრევენციის ზომების გატარებას 1 მილიარდ 400 მლნ ლარი დასჭირდება

**ეკონომიკის ექსპერტმა ემზარ ჯგერენაიამ განაცხადა, რომ მან და სპეციალისტთა ჯგუფმა დედაქალაქში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი დათვალა და, წინასწარი გათვლებით, ზარალის ანაზღაურებასა და პრევენციის ზომების გატარებას 1 მილიარდ 400 მილიონი ლარი დასჭირდება.**

**„დაახლოებით 1 მილიარდ 400 მლნ დოლარია დათვლილი, რომ აღდგეს ის ინფრაქტრუქტურა და განხორციელდეს პრევენციული ზომები, რომ მომავალში არავის სიცოცხლე აღარ იყოს საფრთხის ქვეშ. უნდა გაუმჯობესდეს ეკოლოგიური სიტუაცია ვერეს ხეობაში, უნდა გაკეთდეს ჯებირები, უნდა აშენდეს წყალსაცავი, რომელიც მსგავს საფრთხეს სამუდამოდ მოხსნის, მოსახლეობამ 100 %-იანი კომპენსაცია უნდა მიიღოს, უნდა გადავიდეს ზოოპარკი უსაფრთხო ტერიტორიაზე, რეკრეაციული ზონა უნდა გაკეთდეს. რა თქმა უნდა, ამას ინვესტორებისა და დონორი ორგანიზაციების მხრიდან დახმარება დასჭირდება. გვინდა, ჩვენი ინიციატივა მივაწოდოთ მთავრობას და გავუზიაროთ ჩვენი ხედვები“,** — განაცხადა ჯგერენაიამ.

## სახელმწიფო ბიუჯეტი 140 მილიონი ლარით მცირდება

**ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მინისტრთა კაბინეტს ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი წარუდგინა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 140 მილიონი ლარით მცირდება. შემცირება მიმდინარე ხარჯებს შეეხო, რომელთა დიდი ნაწილიც კაპიტალური პროექტების განხორციელებისთვის იქნება მიმართული.**

**„ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვიმუშავეთ კოლეგებთან, ამასთანავე, გავითვალისწინეთ ის, რაც მოხდა თბილისში 13-14 ივნისს, და წარმოვადგინეთ უკვე პროექტის საბოლოო ვარიანტი. ბიუჯეტი, საბოლოო ჯამში, დაახლოებით 140 მილიონი ლარით მცირდება. ეს შეეხება მიმდინარე ხარჯებს, თუმცა აღნიშნული თანხების დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მიმართული იქნება კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად“,** — განაცხადა ხადურმა.



## ვერეში ჩაშვებული «კოლექტორი» მოხალისეებს ვერ დააზარალებდა?

**საზოგადოებრივი მაუწყებლის საგამოძიებო გადაცემის მიერ მომზადებული ფილმიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ადიდებულმა ვერემ წყლისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა დააზიანა და ნაკადებმა ჟონვა დაიწყო, კრიზისების მართვის შტაბმა გადაწყვიტა, კანალიზაციის კოლექტორი მდინარეში ჩაეშვა, სადაც მოხალისეები გამწმენდ სამუშაოებს ასრულებდნენ. მოხალისეებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.**

**„ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ წარმომადგენლების განცხადებით, სტიქიამ ისე დააზარალა საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა, რომ კომპანიას სხვა არჩევანი არ დარჩა, გარდა იმისა, რომ კანალიზაციის კოლექტორი ჩაეშვა მდინარე ვერეში და ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო როგორც მერიასთან, ისე ცენტრალურ ხელისუფლებასთან.**

კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მდინარე ვერეში საკანალიზაციო კოლექტორის ჩაშვება მოხალისეებს ვერ დააზარალებდა.

თბილისის მერიამ კი განაცხადა, რომ მდინარე ვერეს იმ ნაწილთან, სადაც კანალიზაციის კოლექტორის ჩაშვება მოხდა, მოხალისეებს შეხება არ ჰქონიათ.

## კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ შეუშვეს

**კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. მას აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა განუცხადეს, რომ შავ სიაშია შეყვანილი.**

„როდესაც საზღვარზე მივედი, პასპორტში ბეჭედი ჩაარტყეს, მერე პასპორტი საეჭვოდ ატრიალეს, გამოიძახეს მეორე მებაჟე, საბაჟოს უფროსი. შემდეგ ამ ბეჭედს დაარტყეს რაღაც, რაც ნიშნავს ბეჭდის გაუქმებას. როდესაც მიზეზი ვიკითხე, მითხრეს, რომ შავ სიაში ვიყავი შეყვანილი და ბრძანებაა, რომ აზერბაიჯანში არ შემიშვან“, — განაცხადა არქმინადრიტმა დემეტრე თეთრუაშვილმა. მისივე ინფორმაციით, მომხდარზე ინფორმირებულია ყველა შესაბამისი უწყება, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აზერბაიჯანში — საქართველოს საელჩო, გენერალური საკონსულო — განჯაში, საქართველოს საპატრიარქო. არქიმანდრიტმა აღნიშნა, რომ საბუთები წესრიგში აქვს და აქამდე ადგილობრივ მთავრობასთან პრობლემა არ ჰქონია.



4 წელია, არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი საინგილოში მსახურობს.



## ზურაბ ადეიშვილი ოდესის ოლქის პროკურორად დაინიშნა

**მიხეილ სააკაშვილმა ოდესის ოლქის პროკურორად საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი დანიშნა.**

ზურაბ ადეიშვილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის პოსტს 2008-2012 წლებში იკავებდა. საქართველოში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. საერთაშორისო ძებნაც გამოცხადდა, მაგრამ ინტერპოლმა იგი ძებნილთა სიიდან ამოიღო.



ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სლოვაკებმა ევროკავშირის დროშა დახიეს



**სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გამართულ მიგრანტების საწინააღმდეგო მიტინგზე ევროკავშირის დროშა დახიეს. ამის თაობაზე სააგენტო „ფრანს პრესი" იუწყება. აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ ბანერი წარწერით: „მულტიკულტურიზმი გენოციდის ტოლფასია".** ნაციონალისტურად განწყობილმა სლოვაკური დაჯგუფებების წარმომადგენლებმა გააპროტესტეს ევროკავშირის წინადადება ქვეყანაში 80 მიგრანტის დასახლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთის მთავრობაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ლტოლვილთა ნაკადის მიღებას. ბრატისლავაში გამართულ საპროტესტო აქციაზე, რომელშიც 8 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, დაპირისპირების შედეგად რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. დაპატიმრებულია 140 პირი. ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები გაიმართა პარიზსა და ბერლინშიც.

# მარადიულმა ქალაქმა პედერასტიას უარი უთხრა და მხარი ტრადიციულ ფასეულობებს დაუჭირა



## იტალიელებმა ლიბერალიზმის მეტასტაზებს ბრძოლა გამოუცხადეს

**20 ივნისს რომში, სან ჯოვანის მოედანზე, ე.წ. გენდერული იდეოლოგიის საწინააღმდეგო და ტრადიციული ოჯახების მხარდამჭერი მიტინგი გაიმართა. აქცია, რომელშიც მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა, კათოლიკური ასოციაციებისა და ცნობილი მოძრაობა Manif pour tous-ის ინიციატივით ჩატარდა. აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ ტრანსპარანტები ლოზუნგებით: „ოჯახი გადაარჩენს მსოფლიოს!", „დავიცვათ ჩვენი შვილები!".**

ცოტა ხნის წინათ რომში ჩატარდა გეიაღლუმი, რომლის მონაწილეთა და მაყურებელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო მათზე, ვინც ტრადიციული ოჯახის დასაცავად გამოვიდა.

იტალია არის სახელმწიფო, რომელშიც ქრისტიანული ფასეულობები გაცილებით მძლავრად არის მხარდაჭერილი ეკლესიის მიერ, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რათა ადამიანები უფრო თავდაჯერებით შეეწინააღმდეგონ ზნეობის გამხრწნელ ლიბერალურ პოლიტიკას.

ვატიკანის ელიტის წარმომადგენელთა უმრავლესობის გავლენა ტრადიციული ფასეულობების დაცვის საქმეში უპირატესია, მიუხედავად მსოფლიოს მასმედიის მიერ გულმოდგინედ ატაცებული სკანდალების სერიისა პედოფილიის შესახებ და მიუხედავად ზოგიერთი კათოლიკე მღვდელმსახურის საუბრისა ტოლერანტობაზე.

როგორც ჩანს, დასავლეთშიც მიმდინარეობს დაპირისპირება პედერასტიის მომხრეთა და ტრადიციული ოჯახის, ქრისტიანული ფასეულობების დამცველთა შორის და აღსანიშნავია, რომ „ანტიგენდერული" კონტინგენტი სიმპათიით უმზერს რუსეთს, რომელსაც ე.წ. ლიბერალური სამყაროსგან მხსნელად მიიჩნევს. **ბევრი იტალიელის აზრით, რუსეთმა არა მხოლოდ შეისისხლხორცა ევროპული ტრადიციები, კულტურის, არქიტექტურის, რწმენისა და ხელოვნების თვალსაზრისით, არამედ დღეს იცავს ევროპის ჭეშმარიტ ცივილიზებულ სივრცეს, რომელიც აშშ-ისა და ტრანსნაციონალური გაერთიანებების მიერ თავს მოხვეული ფსევდოღირებულებების ცეცხლქვეშ იმყოფება.**

სან ჯოვანის მოედანზე ბევრი იტალიელი რუსეთის დროშით გამოვიდა ამ ქვეყნისადმი სიმპათიის გამოსახატავად, ევროკავშირის, აშშ-ის დროშები კი არსად ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ იტალია ევროკავშირის დამფუძნებელი სახელმწიფოა, ნატოსა და G7-ის წევრი.

**P.S. აღსანიშნავია, რომ იტალიაში, უცხო ძალების დიდი მცდელობის მიუხედავად, დაკანონებული არ არის ერთსქესიანთა ქორწინება.**

# ევროპა ამერიკული რაკეტების წინააღმდეგია

**აშშ-ის ნატოელი მოკავშირეები ევროპაში ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგნი არიან, ამერიკის ინიციატივის მხარდაჭერაზე უარს ამბობენ გერმანია და საფრანგეთი, — წერს გერმანული გამოცემა Der Spiegal-ი.**

გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შეფმა **გიდო მიულერმა** გერმანელ პარლამენტარებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მისი უწყებისთვის ცნობილია მოსკოვის განზრახვა ატომბირთვული არსენალის მოდერნიზების შესახებ, რუსეთმა ამისთვის საშუალო სიშორის მოქმედების P-500 რაკეტა და ბალისტიკური რაკეტა PC-26 გამოსცადა, მაგრამ ეს არ არის რუსეთის მხრიდან საფრთხის პრინციპული ცვლილება. ამერიკული რაკეტების ევროპაში განლაგება კი, აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების შემთხვევაში, ქვეყანას სტრატეგიულ პლაცდარმად გადააქცევს.

ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვაშინგტონი გერმანიაში მძიმე შეიარაღების შეტანასა და 5 ათასი სამხედრო მოსამსახურის შეყვანას გეგმავს რუსეთის მუქარისგან აღმოსავლეთ ევროპის დასაცავად.



## სტივენ ლენდმანი:

# ობამა მატყუარაა, პუტინი კი — საქმიანი კაცი!

**ამერიკელმა მწერალმა, პოლიტიკურმა მიმომხილველმა და რადიოწამყვანმა სტივენ ლენდმანმა აშშ-ისა და რფ-ის ლიდერები — ბარაკ ობამა და ვლადიმერ პუტინი — ერთმანეთს შეადარა და ახსნა, რატომ არის ერთი სერიული მატყუარა, მეორე კი — საქმიანი ადამიანი.**



„პუტინი ლაპარაკობს იმას, რაც მხედველობაში აქვს, და გულისხმობს იმას, რასაც ამბობს. მისი სტილი პირდაპირობაა. ის სიტყვის კაცია. ობამა სრულიად საწინააღმეგო პიროვნებაა — გამოუსწორებელი სერიული მატყუარა, რომლის ნდობაც არაფერში შეიძლება. ამბობს ერთს — აკეთებს მეორეს", — წერს სტივენ ლენდმანი პოლ კრეიგ რობერტსის პოლიტიკური ეკონომიკის ინსტიტუტისთვის დაწერილ სტატიაში.

ლინდმანი ორი დიდი სახელმწიფოს ლიდერების დახასიათებისას ამბობს, — ობამას მართლაც რომ აშფოთებდეს მუსლიმანთა უფლებების დაცვა, რომელზეც ხშირად ლაპარაკობს, შეწყვეტდა ისლამური სახელმწიფოების დესტაბილიზაციას და ქვეყნის შიგნით და გარეთ ისლამის მიმდევართა დევნას.

„ამერიკის ლიდერი იმას რომ აკეთებდეს, რასაც ლაპარაკობს, აშშ-ს უკვე დასრულებული ექნებოდა თამაში ირანთან და მის ე.წ. ბირთვულ პროგრამასთან, რომელიც არ არსებობს. **აშშ-ის პრეზიდენტმა უნდა შეწყვიტოს პოლიტიკური რეჟიმების შეცვლა სხვადასხვა ქვეყანაში. მან უოლ-სტრიტელი თაღლითები ციხეში უნდა ჩასვას, სადაც არის მათი ადგილი. არ შეიძლება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ჩადენილი სასტიკი წამების ფაქტების დავიწყებაც, ეს მძიმე დანაშაულია...**

ვლადიმერ პუტინმა კი, თავის მხრივ, სანკტ-პეტერბურგში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას პირდაპირ და სამართლიანად აღნიშნა, რომ ვაშინგტონი განწყობილია ცივი ომის დასაწყებად „ვერსიით 2.0". ეს კი მსოფლიოს შეიარაღებას ახალი რბოლისკენ უბიძგებს და ცვლის გლობალური უსაფრთხოების სისტემას. რფ-ის პრეზიდენტმა თეთრი სახლი რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა, ანუ იმაში, რასაც აშშ სრულიად მსოფლიოში აკეთებს ატომური არსენალის ჟღარუნით.

იმ გიჟების საქციელის გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ვაშინგტონიდან მართავენ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფრანტაციის ალბათობა გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ცივი ომის პერიოდში იყო", — წერს ამერიკელი სტივენ ლენდმანი.

# ლიტვის პრეზიდენტი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დავალებით მეძაობდა





**ინტერნეტში სკანდალური დოკუმენტები გამოქვეყნდა; კერძოდ, ტელეკომპანია Ren.tv-ის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დავალებით, სასტუმრო „პრიბალტიისკაიაში" უცხოელ კლიენტებს სექსუალურ მომსახურებას უწევდა და მეძაობით ვალუტას გამოიმუშავებდა.**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დალია გრიბაუსკაიტემ თავისი ამორალური საქციელით არაერთხელ მიიპყრო სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ყურადღება. მილიციელებმა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს წერილიც კი გაუგზავნეს გრიბაუსკაიტეს მიმართ აღმზრდელობით-პროფილაქტიკური ზომების გატარების მოთხოვნით, მაგრამ უშიშროების კომიტეტის კურატორის ჩარევის შემდეგ საქმე ჩაიფარცხა.

ექსპერტი

„შესაძლოა, ადამიანმა ფუნთუშა მოიპაროს და ნახევარი ცხოვრება ციხეში გამოამწყვდიონ, მაგრამ ადამიანები, რომლებმაც საქართველო დააქციეს, ჭკუას გვასწავლიან — ეს მოსახლეობაში ნიჰილიზმს იწვევს. დღეს საზოგადოება ახალი ხელისუფლების სისუსტეზე და იმაზე საუბრობს, რომ უცხო ძალების ზეგავლენა უფრო მეტია, ვიდრე მოსახლეობის. არ ხდება ხალხის დაკვეთის შესრულება, ხელისუფლებამ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და არ დაივიწყოს, რომ წინ არჩევნებია“.



# თამარ კიკნაძე: საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ეგუებიან აფხაზეთის დაკარგვას

**გასული კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დოკუმენტის გამოქვეყნება ტერორიზმის საფრთხეზე: „კვლავ შემაშფოთებელია, რომ საქართველო რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ და ტრანზიტულ ქვეყნად. მედიაში გავრცელებული ცნობით, დეკემბრის მონაცემებით, სირიასა და ერაყში „ალ ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს, ძირითადად, მუსლიმებით დასახლებული რეგიონებიდან — აჭარიდან და პანკისის ხეობიდან — წასული 50-დან 100-მდე ქართველი იბრძოდა, მათ შორის არის „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი თარხან ბათირაშვილი (ომარ ალ-შიშანი). საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ისლამისტი ექსტრემისტები განაგრძობენ ქვეყნის გავლით რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონიდან სირიასა და ერაყში გადასვლას“, — აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.**

**ხმაურიანი აღმოჩნდა თავდაცვის სამინისტროს „კაბელების საქმეზე“ დაკავებულ თანამშრომელთა გათავისუფლებაც, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილი პროკურატურაზე ზეწოლაში დაადანაშაულეს. მნიშვნელოვან თემად რჩება დოკუმენტი, რომელსაც თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ხელი საფრანგეთში მოაწერა.**

**მედიის ყურადღება, აგრეთვე, მიიქცია რუსეთ-აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენამ... დასასრულ, კვლავ აქტუალურია ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების შესწავლა.**

**გასული კვირის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**



**«ერთ-ერთი ქართველი პოლიტოლოგი (ახლახან გარდაიცვალა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ამბობდა, როგორც ფინეთი გახდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული ქვეყანა კარელიის გარეშე, ისე შეიძლება აყვავდეს საქართველო აფხაზეთისა და ოსეთის გარეშეო. ეს ხაზი გარკვეული ძალებისთვის მისაღებია და ტარდება კიდეც»**

**— „საქართველო რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ და ტრანზიტულ ქვეყნად“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ 2014 წლის ანგარიშში. ვიცით, რომ საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, ჩვენი მოქალაქეები „ისლამური სახელწიფოს“ მხარეს რომ არ გადავიდნენ და მათ რიგებში არ იბრძოლონ, მაგრამ საკმარისია კი ეს ღონისძიებები?**

— რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის! საზოგადოდ, ძალიან საინტერესოა „ისლამური სახელმწიფოს“ ფენომენი. თავდაპირველად იგი „ალ ქაიდას“ ნაწილი იყო, შემდეგ გამოეყო მას. ამ ე. წ. სახელმწიფოს ლიდერი არის **აბუ ბაქრ ალ ბაღდადი,** რომელიც თავის სახელს უმატებს „ჰუსეინს“, ანუ იგი მუჰამედ წინასწარმეტყველის შვილიშვილის — ჰუსეინის შთამომავალია. აბუ ბაქრ ალ ბაღდადი არის ხაშიმების გვარიდან, რომლის წარმომადგენლებიც მუსლიმურ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. საიდან იღებს ეს ორგანიზაცია ძირითად შემოსავალს? — ნავთობითა და მონებით ვაჭრობიდან; მას, აგრეთვე, ეხმარება ყატარი. არ უნდა გამოვრიცხოთ ნარკოტიკებით ვაჭრობაც. „ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავალი დღეში 4-5 მილიონ დოლარს შეადგენს, ანუ ამ ორგანიზაციის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ვითარებაა, როცა მონებით ვაჭრობა ჩვეულებრივი საქმიანობა იყო, მაგრამ დაპყრობილ ტერიტორიებზე ისინი ქმნიან სოციალურ პირობებს — აშენებენ პოლიკლინიკებს, საავადმყოფოებს, ეხმარებიან გაჭირვებულებს — აი, ამით არის განპირობებული ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა, ანუ ეს არის კარგად დაგეგმილი და გათვლილი ქმედებები. ამასთანავე, ისინი ანადგურებენ კულტურულ ძეგლებს, შუამდინარეთის უძველეს ცივილიზაციას. შემოსავლის ერთ-ერთი წყარო უნიკალური ნივთების გაყიდვააცა.

**ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ გარკვეული ფუნქცია ეკისრება და გარკვეული ძალების ინტერესების წისქვილზე ასხამს წყალს. მაგალითად, იაფი ნავთობის გაყიდვით იწვევს ნავთობზე ფასის დაცემას, ამ ორგანიზაციის პოზოციების დაბომბვის საბაბით, ამერიკელებს შეუძლიათ სირიის დაბომბვა და სხვ. ჩემი აზრით, „ისლამურ სახელმწიფოს“ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის გადაკეთების ფუნქციაც აქვს.**

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი თანამემამულენიც იბრძვიან ამ ე.წ. სახელმწიფოს რიგებში. პანკისელი თარხან ბათირაშვილი ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანია. არიან დაღუპულებიც. ახლახან ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეცოპერაცია ჩაატარა პანკისის ხეობაში და დააკავეს პირები, რომლებიც ახალგაზრდების გადაბირებაში არიან ეჭვმიტანილნი, ანუ საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ ქმედებებს ახორციელებს, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არ არის.

**საქართველოში ძალიან მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარებაა, ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს სამსახური და, შესაბამისად, შემოსავალი. მიმზიდველია თარხან ბათირაშვილის ფიგურაც — პატარა ქვეყნიდან წასული ადამიანი წარმატებას აღწევს... ეს ყველაფერი კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის პროპაგანდისთვის „ისლამურ სახელმწიფოში“ საბრძოლველად წასასვლელად.**

**— ქალბატონო თამარ, ვერეს ხეობაში მოხდარი მოვლენების შემდეგ ბევრს საუბრობენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები კოორდინირებულად ვერ მოქმედებდნენო...**

— სტიქიური უბედურებისას არათუ საქართველოში, არამედ უფრო დიდ და დალაგებულ ქვეყნებშიც ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები, მაგრამ ერთი, რაც დავინახე, იყო ის, რომ ჩვენი ხელისუფლების წამომადგენლები გულწრფელად განიცდიდნენ მომხდარს. ისინი სტიქიის ღამეს მოსახლეობის გვერდით იდგნენ.

თუმცა პროფესიონალიზმის დეფიციტი ნამდვილად არის. ამაზე ჩვენ გაზეთის წინა ნომერშიც ვისაუბრეთ, მაგრამ ახალი ხელისუფალნი წინა ხელისუფლებისნაირი კაცთმოძულეები ნამდვილად არ არიან. მისასალმებელია ისიც, რომ პროცესებში გამოცდილი სპეციალისტები ჩართეს...

**ძალიან მნიშვნელოვანია, ჩატარდეს გამოძიება და ვერეს ხეობაში ტრაგედიის მიზეზები დადგინდეს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.**

**— საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ „კაბელების საქმეზე“ დაკავებული თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები სასამართლომ გაათავისუფლა. მართალია, საქმე ძიებაშია, მაგრამ მათი მომხრეების მთავარი მოთხოვნა სწორედ ის იყო, რომ ისინი საპატიმროში არ ყოფილიყვნენ. თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა პროცესი მოიგეს, გათავისუფლდნენ და ახლა ბრალს ივანიშვილს სდებენ, — პროკუატურაზე ზემოქმედებდაო. ესეთი ბრალდება პირველი არ არის, ჩვენ გვახსოვს „ტრაქტორების საქმეც“ და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის — ირაკლი ქადაგიძის „შეწყალებაც“ პირველი მოქალაქის მიერ...**

— „კაბელების საქმე“ ხლისუფლების წისქვილზე წყალს არ ასხამს. თუ შეიძლებოდა, ეს ადამიანები არ დაეჭირათ, რატომ დაიჭირეს ან რატომ გამოუშვეს?! თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია და მისი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო... საერთოდ, ჩვენთან არაჯანსაღი პოლიტიკური კლიმატია. იმის მაგივრად, რომ სოციალური და ეკონომიკური მდგომარობის გაუმჯობესებაზე ვიფიქროთ, ჩვენი სასიცოცხლო ენერგია მეათეხარისხოვან პრობლემებზე იხარჯება.

პოლიტიკაში ყოფნა კი ინდულგენციააა. **შესაძლოა, ადამიანმა ფუნთუშა მოიპაროს და ნახევარი ცხოვრება ციხეში გამოამწყვდიონ, მაგრამ ადამიანები, რომლებმაც საქართველო დააქციეს, ჭკუას გვასწავლიან — ეს მოსახლეობაში ნიჰილიზმს იწვევს. დღეს საზოგადოება ახალი ხელისუფლების სისუსტეზე და იმაზე საუბრობს, რომ უცხო ძალების ზეგავლენა უფრო მეტია, ვიდრე მოსახლეობის. არ ხდება ხალხის დაკვეთის შესრულება, ეს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და არ დაივიწყოს, რომ წინ არჩევნებია.**

**— ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდა. როგორ ფიქრობთ, საქართველოს პრეზიდენტისთვის ეს წარმატებული სვლა იყო?**

— სააკაშვილს მაკკეინთან სულ აქვს კონტაქტი. სოციალურ ქსელებში მათი საუბარის ჩანაწერიც გამოქვეყნდა. **გიორგი მარგველაშვილის შეხვედრას მაკკეინთან კი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნეგატიური შეფასება მოჰყვა და აღქმული იქნა, როგორც ერთგვარი ანგარიშის ჩაბარება მაკკეინისთვის, რაც მარგველაშვილის ისედაც შელახულ ავტორიტეტს არაფერში სჭირდებოდა.**

**— რას მოაწერა ხელი საფრანგეთში თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა? ამბობენ, ალასანიას დაწყებული საქმე დაასრულაო. თვითონ განმარტავს, რომ ეს იყო „განზრახულებათა დოკუმენტი“ და ჩვენმა ქვეყანამ „კეთილი ნება“ გამოიჩინა. რა არის ეს დოკუმენტი?**

— „განზრახულებათა დოკუმენტები“ არ ნიშნავს იმ დოკუმენტს, რომლის იმპლემენტაციაც (ფაქტობრივი რეალიზაცია — ე.ნ.) უნდა მოხდეს. **სასურველია, მოსახლეობამ იცოდეს, რას მოეწერა ხელი, მოხდეს დოკუმენტის გასაჯაროება, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილისა მაინც, რომელიც საიდუმლო არ არის. როგორც ჩემთვის ცნობილია, საუბარია ანტისარაკეტო სისტემების შეძენა-განთავსებაზე. ხშირად ასეთი ქმედებები, თავდაცვისუნარიანობის გაზრდის ნაცვლად, საფრთხეს ზრდის.** ჩვენ არ ვიცით, გათვლილია თუ არა ყველა მოსალოდნელი საფრთხე, რადგან არაერთხელ ვნახეთ, რომ გაუთვლელად გაკეთებული საქმეების შედეგები მძიმეა...

**— როგორ შეაფასებთ რუსეთ-აფხაზეთს შორის ყოველდღიური სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, უფრო დავშორდებით აფხაზეთს?**

— აფხაზეთის მეტი ინტეგრაცია მოხდება რუსეთთან.

მე იმ ადამიანებს მივეკუთვნები, რომლებიც მომხრე არიან აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის. ეს ინტეგრაციას შეუწყობს ხელს, თუმცა ამის წინააღმდეგნი არიან აფხაზი ნაციონალისტები და საქართველოს დესტრუქციული ოპოზიციური ძალები, რაც საეჭვო დამთხვევაა.**საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ეგუებიან აფხაზეთის დაკარგვას.**

**ერთ-ერთი ქართველი პოლიტოლოგი (ახლახან გარდაიცვალა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ამბობდა, — როგორც ფინეთი გახდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული ქვეყანა კარელიის გარეშე, ისე შეიძლება აყვავდეს საქართველო აფხაზეთისა და ოსეთის გარეშეო.**

**ეს ხაზი გარკვეული ძალებისთვის მისაღებია და ტარდება კიდეც.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

უკრაინელებს ჯერ კიდევ აქვთ დრო, დაფიქრდნენ და რაციონალური დასკვნა გამოიტანონ — ულირთ თუ არა მოძმე რუსეთთან ომი იმ ევროპის ვასალობისთვის, რომელმაც ქვეყნის სათავეში საქართველოდან სამარცხვინოდ გაქცეული, სამშობლოს უარმყოფელი მიხეილ სააკაშვილი დაუსვა.

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეორადი მოხმარების გუბერნატორი

## ამერიკელების ძაღლიშვილი ოდესელ პროკურორებს ემუქრება, ოლქში მასობრივი რეპრესიების მოლოდინია



**ამას წინათ ოდესის ოლქის ახალდანიშნულმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივ პროკურორებს საგანგებო სხდომაზე შავი დღე აყარა. უსამართლობით, მექრთამეობითა და დრომოჭმული ბიუროკრატიით „განრისხებულმა“ ღუბერნატორმა მაგიდას სულ მუშტები ურტყა — ან მე ვიქნები, ან თქვენ! ვისაც კორუფციაზე დაგიჭერთ, სულს ამოგხდითო. „ბელადის“ გაავება გამოიწვია იმან, რომ ოლქში ბიზნესმენებს საკმარისად ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო არ აქვთ, რაც თურმე ქვეყნის განვითარებას აფერხებს და სამუშაო ადგილების შექმნას ხელს უშლის. ისხდნენ ზორბა პროკურორები შერცხვენილნი და „ბელადის“ მუქარას გულისფანცქალით ისმენდნენ: „პროკურატურის ამ საქციელს ჰქვია სახელმწიფო რეკეტი. თქვენ მე ვერაფერს მასწავლით, მე ასეთი პროკურორები ბევრი მყავს ნანახი და შემდეგ ისინი ციხეში აღმოჩდნენ...“**

თავის დროზე, როცა სააკაშვილს გუბერნატორის სკიპტრა ჩააბარეს, ხოლო მისი დამქაშები: ვარშალომიძე, გეწაძე, ზღულაძე და კვიტაშვილი მაღალ თანამდებობებზე გაამწესეს, ზოგ უკრაინელს, ალბათ, გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ დედაუკრაინა მალე წმინდა ევროპული სახელმწიფო გახდებოდა; ბევრი, ალბათ, იმასაც ელოდა, რომ „კორუფციის რისხვა“ მიხეილ სააკაშვილი უსამართლობას მუსრს გაავლებდა და ხალხის ფულს ისევ ხალხს დაუბრუნებდა, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

ზემოაღნიშნულმა სხდომამ და განსაკუთრებით იმ რეაქციულმა ტონმა, რომლითაც „ბელადი“ პროკურორებს ელაპარაკა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამ კაცის გამოსწორება არ იქნება, რომ, როგორც კუზიანს, ამ ორმეტრიან შიზოიდსაც მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს და, ვიდრე ძალაუფლება მას და მისნაირ მარაზმატებს უპყრიათ ხელთ, უკრაინა და უკრაინელი ხალხი კარგს არაფერს უნდა ელოდოს. კერძოდ, რას ვგულისხმობ:

12 წლის წინათ, როცა სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი საქართველოში ხელისუფლების სადავეებს დაეპატრონა, ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა (სხვათა შორის, არცთუ მცირემ) ოცნების კოშკების აგება დაიწყო. ბევრს ეგონა, რომ ნატოს კარს შევლეწავდით და ევროკავშირშიც დიდი პატივით მიგვიღებდნენ, მაგრამ აი, რა მივიღეთ: **კორუფციას რიგითი მოქალაქე ყოველ ნაბიჯზე არ აწყდებოდა, სამაგიეროდ, ამ უბედურებამ უმაღლეს ეშელონებში გადაინაცვლა და უხილავი გახდა, ანუ გაგრძელდა იქ, სადაც მხოლოდ პოლიტელიტას თუ მიუწვდება ხელი. ერთი შეხედვით, დამყარდა წესრიგიც, იმის შიში არავის ჰქონდა, რომ მანქანას მოპარავდნენ, დააყაჩაღებდნენ, გაძარცავდნენ, მოკლედ, ქურდულ სამყაროს კუდით ქვა ასროლინეს. სამაგიეროდ, შიშის ზარს საზოგადოებას უკვე თვითონ ხელისუფლება სცემდა — დევნა, ტერორი, რეპრესიები ყოველდღიურ მოვლენად იქცა,** ანუ, ფაქტობრივად, შეიცვალა ის, რომ ქურდები და კრიმინალები მართლა „კანონიერები“ გახდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ისინი კანონს ამოეფარნენ. ეს ყველაფერი, ცხადია, თითოეულ მოქალაქეს ახსოვს და „ნაცების“ დანაშაულების სათითაოდ ჩამოთვლა, ალბათ, საჭირო არ არის, მაგრამ იმ ცხრაწლიანი უბედურების გახსენება საჭიროა, როცა საუბარია უკრაინის თავისუფლებაზე და დასავლეთის „ლიბერასტობა“ ერთხმადაა აყმუვლებული უკრაინელი ხალხის „ფუნდამენტური უფლებების“ დასაცავად. რეალურად კი ვხედავთ, რომ **ამ ისედაც გაუბედურებულ, გაჩანაგებულ, მიწასთან გასწორებულ ქვეყანაში საქართველოს უახლესი, ყველაზე ბნელი და ავბედითი ისტორია ერთი-ერთზე მეორდება. „ნაცტერორის“ ტალღა, სადაცაა, ყველაფერს წალეკავს და გადაუვლის. ისე, ნათქვამია, ბრძენი სხვის შეცდომებზე სწავლობსო. უკრაინელებსაც საქართველოს მაგალითზე ბევრი რამის გათვლა შეეძლოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლურმა პროპაგანდამ ამ ხალხს შავი თეთრად მოაჩვენა.** ჰოდა, ახლა, ალბათ, ძალიან გვიანია — „ნაცები“ მეტასტაზებივით მოედნენ პოროშენკოს ხუნტის ადმინისტრაციას და, უნდათ თუ არა, მოსწონთ თუ არა, უკრაინელებს, ამ სახადის მოხდა ბოლომდე მოუწევთ. ზუსტად ამაზეა ნათქვამი: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. 600 მილიონ ევროდ სამშობლოს რომ ყიდდნენ (სწორედ ამდენს სთავაზობდა მათ ევროკავშირი, თანაც ვალად) და ქურდბაცაცა ტიმოშენკოს თავისუფლებისთვის კიევი ბარიკადების ქალაქად რომ აქციეს, მაშინ უნდა ეფიქრათ მოსალოდნელ უბედურებაზე. თუმცა **უკრაინელებს ჯერ კიდევ აქვთ დრო, დაფიქრდნენ და რაციონალური დასკვნა გამოიტანონ — ულირთ თუ არა მოძმე რუსეთთან ომი იმ ევროპის ვასალობისთვის, რომელმაც ქვეყნის სათავეში საქართველოდან სამარცხვინოდ გაქცეული, სამშობლოს უარმყოფელი მიხეილ სააკაშვილი დაუსვა.** სხვათა შორის, წინა კვირას სააკაშვილმა უკრაინულ მედიასთან კიდევ ერთი საყურადღებო განცხადება გააკეთა: საქართველოში როცა მომინდება, იმწამს დავბრუნდებიო. გამომდინარე იქიდან, რომ „ბელადის“ ტვინის გახურების კოეფიციენტი ბოლო ხანს კრიტიკულად მაღალია, ამ განცხადების ადეკვატურობაზე, ალბათ, ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **„ნაცების ბუდას“ გამჩენი არ ასვენებს და ისევ დაბრუნებაზე, ისევ ხელისუფლების სათავეში მოსვლასა და საზოგადოების დამონებაზე ფიქრობს.** „ლიბერასტები“, ალბათ, მართალნი არიან, როცა ამბობენ, უკრაინაში დღეს საქართველოს ბედი წყდებაო. ასეა, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს — თუკი ეს ავანტიურა მისივე შემოქმედი „დემოკრატიული დასავლეთის“ გამარჯვებით დასრულდება, დიდი შანსია, რომ სააკაშვილის სიტყვები „როცა მომინდება, დავბრუნდებიო“ რეალობად იქცეს. სხვა შემთხვევაში კი ოდესა „ბელადისთვის“ ბოლო გაჩერება იქნება, რადგან, ადრე თუ გვიან, უკრაინელები მიხვდებიან, რა შარშიც გაეხვივნენ და მოსიარულე გვამებს მიწას მიაყრიან...

**„ნაცების ბუდას“ გამჩენი არ ასვენებს და ისევ დაბრუნებაზე, ისევ ხელისუფლების სათავეში მოსვლასა და საზოგადოების დამონებაზე ფიქრობს**

სააკაშვილი დღეს დაუმარხავი გვამია და, სხვა თუ არაფერი, იმის საფრთხე მაინც არსებობს, რომ პოლიტიკურმა ეპიდემიამ იფეთქოს. აი, რა გვაერთიანებს დღეს ჩვენ და უკრაინელებს — ორივეს ერთი მკვდარი გვყავს დასამარხი, ორივეს ერთი ჭირი და უბედურება დაგვტრიალებს თავს...

**ჯაბა ჟვანია**



ვლადიმერ პუტინი:

## ზღვრამდე მიგვიყვანეს და უკან დახევა არ შეგვიძლია

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთს არ აქვს პრეტენზია „ზესახელმწიფოს რაღაც სტატუსზე“, მაგრამ „რუსეთი მიიყვანეს იმ ზღვრამდე და უკან დახევა არ შეუძლია“.**

„არ არის საჭირო მსოფლიოს გადაწყობა, საჭიროა, ვიხელმძღვანელოთ ერთმანეთის პატივისცემით და ვიმუშავოთ პრობლემების ერთობლივად მოსაგვარებლად. რუსეთს არ აქვს პრეტენზია ჰეგემონიაზე, არ იბრძვის რაღაც ზესახელმწიფოს სტატუსისთვის. ჩვენ არავის ვახვევთ თავს ჩვენს სტანდარტებს ან განვითარების გეგმებს, ჩვენ გვსურს თანაბარუფლებიანი, თანასწორი ურთიერთობები საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა მონაწილესთან“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

პუტინის განმარტებით, რუსეთი მზადაა, აშშ-თან, ევროპასთან და აზიასთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ჰქონდეს.

„ჩვენ აგრესიულად არ ვიქცევით. ჩვენ უფრო „მიმწოლები“ ვართ და ჩვენი ინტერესების თანმიმდევრულად დაცვა დავიწყეთ. ჩვენ ათეულობით წელი დადუმებული ვიყავით და თანამშრომლობის სხვადასხვა ელემენტს ვთავაზობდით. მაგრამ ჩვენ ჩაგვაჩოჩეს, მერე ისევ ჩაგვაჩოჩეს, ისევ და მიგვიყვანეს იმ ზღვრამდე, რომელსაც ჩვენ ვერ დავთმობთ“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდნენ ყაზახეთის, ჩინეთის, უზბეკეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრიც.

## დიმიტრი ქუმსიშვილი: მოქალაქეებს, რომლებსაც სახლი სრულად გაუნადგურდათ, მუდმივი საცხოვრებელი მიეცემათ

**მინდა, დავარწმუნო ჩვენი მოქალაქეები, რომლებსაც სრულად გაუნადგურდა სახლი და დღეს მათ სახლებში შესვლა შეუძლებელია, სამართლიანი მეთოდოლოგიით, აუცილებლად მიეცემათ მუდმივი საცხოვრებელი, — განაცხადა დედაქალაქის ვიცემერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. მისივე ინფორმაციით, სტიქიის სალიკვიდაციოდ ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯერჯერობით გამოყოფილია 10 მილიონი ლარი.**

„ასევე გარკვეული თანხა არის გადმოტანილი ხაზინის ანგარიშიდან, რომელიც იყო შემოწირულობების ნაწილში. პროცესი არის აბსოლუტურად გამჭვირვალე. დღევანდელი მდგომარეობით, ძირითად თანხებს ვხარჯავთ გაწმენდით და აღდგენით სამუშაოებზე. ეს არის პირველადი საჭიროებები, რომლებიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დაკარგული ადამიანების მოძებნასთან; მეორე მხრივ, ადამიანების უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფასთან. სამომავლოდ ვებგვერდზე www.help.tbilisi.gov.ge გამჭვირვალედ აისახება ყველა თეთრი, რომელიც სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოიყო. ყველას ექნება შესაძლებლობა, ნახოს რამდენი თეთრი რაზე დაიხარჯა“, — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც საქმე სამხედრო ტექნიკას ეხება, შეიძლება, ყველა დეტალი არ გაასაჯაროო, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია საზოგადოებამ, ექსპერტებმა უნდა იცოდნენ. უნდა ვიცოდეთ, სად და რისთვის იხარჯება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ჯიბიდან ამოღებული ფული, როგორ არის ქვეყნის საჰაერო სივრცე დაცული, არის თუ არა უზრუნველყოფილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და უსაფრთხოება“.**



ტრისტან წითელაშვილი:

# როგორი სამხედრო ტექნიკაც უნდა შევიძინოთ, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე, ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ იქნება

**თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ცოტა ხნის წინათ საფრანგეთთან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესყიდვაზე ხელშეკრულება გააფორმა. თუმცა ხელშეკრულების დეტალები საზოგადოებისთვის უცნობია და, როგორც მინისტრი ამბობს, მის გასაჯაროებას არც მომავალში აპირებს. თინა ხიდაშელის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ სამხედრო ექსპერტი, გენერალი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:**

— საქართველოს საჰაერო სივრცე დღეს, ფაქტობრივად, მოშლილია, სრულიად უკონტროლოა და გასაგებია, რომ ზომების მიღება აუცილებელია. ამიტომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ტექნიკა რომელიც საქართველომ უნდა შეიძინოს, ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ამ საკითხზე ბევრი კითხვა არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ, რომელიც ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებაზე, პროფესიონალი კადრების მომზადება უნდა უზრუნველყოს, რათა სამხედრო სპეცალისტებმა შეძენილი ტექნიკისა თუ სხვა სახის შეიარაღების გამოყენების წესები იცოდნენ. თუ ტექნიკასთან მუშაობა არ იცი, ვერ გამოიყენებ და შეძენას აზრი არ აქვს. ამიტომ **ამჟამადაც ისე არ გამოვიდეს, როგორც 2007 წელს, როცა თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ვითომ შეიძინა „ბუკები“ (საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი — შ.ც.) უკრაინიდან, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, რადგან სპეციალისტები არ გვყავდა.** შემდეგ ეს „ბუკები“ სენაკში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან რუსებმა უპრობლემოდ წაიღეს. **თავდაცვის სამინისტროში უნდა დავაბრუნოთ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რეპრესირებული კვალიფიციური კადრები, რადგან საქართველოსთვის დაუშვებელია, ასეთ კადრებს კარგავდეს.**

ამას გარდა, აღნიშნულ ტექნიკას სჭირდება რადიოლოკაციური სადგურები, რომლებიც აღრიცხავენ და კოორდინატებს გადასცემენ, რის შემდეგაც მიმდინარეობს მოწინააღმდეგე მხარის ბომბდამშენების განადგურება. რადიოლოკაციური სადგურები არ გვაქვს და, რომც გვქონდეს, ერთი სერიოზული პრობლემის წინაშე მაინც ვდგავართ: რუსეთმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე განალაგა C-300 ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს საჰაერო სივრცეს აკანტროლებს. რუსებს, აგრეთვე, აქვთ ჩამხშობი სისტემა, აპარატურა, რომელიც რადიოლოკაციურ სადგურს ნებისმიერი სიგნალის დაჭერის შემთხვევაში გაანადგურებს. ასე რომ, გასაგებია, ეს ტექნიკა უნდა გვქონდეს, მაგრამ, თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოვაგვარეთ, ამ ტექნიკის შეძენასა და მასში მილიონების გადახდას აზრი არ აქვს. **ვინაიდან, როგორი სამხედრო ტექნიკაც უნდა შევიძინოთ და როგორი საჰაერო თავდაცვითი სისტემაც უნდა გვქონდეს, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე, ვერც ერთ შემთხვევაში ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ვერ იქნება.**

რაც შეეხება ხელშეკრულებას, ის ნამდვილად გასაიდუმლოებულია და დეტალები არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, ჩვენთვის, ექსპერტებისთვისაც, უცნობია.

**— კვალიფიციური კადრები ახსენეთ, დღეს თავდაცვის სამინისტროში არ გვყავს პროფესიონალები?**

— ჩვენ გვყავს კვალიფიციური კადრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი დაუსაქმებლები არიან. ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იდევნებოდნენ, დღესაც უმოქმედოდ არიან. აუცილებელია, ამ ადამიანების დაბრუნება თავდაცვის სამინისტროში, რათა მათ პროფესიონალი ახალგაზრდა ოფიცრები აღზარდონ, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმისგან რატომღაც თავს იკავებენ.

**— თავდაცვის მინისტრის განცხადებამ, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესყიდვის ხელშეკრულებაზე საჯარო საუბარს არ აპირებს, ეჭვი გააჩინა საზოგადოებაში. მაგალითად, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ არ იცის, არის თუ არა ეს იგივე ხელშეკრულება, რომელზეც მემორანდუმი მან გააფორმა. გასაგებია, რომ ზოგიერთი სამხედრო საკითხი კონფიდენციალურია და დეტალების გახმაურება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლებოდა თუ არა საზოგადოებისთვის აღნიშნული ხელშეკრულების განმარტება დეტალების დაკონკრეტების გარეშე?**

— როგორც სამხედრო სპეციალისტი, ვიტყვი: არის სამხედრო საკითხები, რომელთა გახმაურება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება, მათზე დეტალების გარეშე ზოგადად ილაპარაკო. ამით პიარი კი არ უნდა გაიკეთო და მხოლოდ ის განაცხადო, რომ აი, ხელი მოვაწერე ხელშეკრულებასო და მეტი არაფერი თქვა. როგორც ჩანს, **მორიგი პიარია ეს ყველაფერი და მეტი არაფერი.** არ სურთ, საზოგადოებამ შეიტყოს მათი გეგმების შესახებ, რომლებსაც თავიანთი გამოუცდელობითა და არაპროფესიონალური მიდგომებით ახორციელებენ. ის ტექნიკა, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ უნდა შეიძინოს (და შეიძენს თუ არა, საკითხავია), შესაძლოა, არ იყოს იმ ტიპისა და იმ ხარისხის, რომელზეც ხელისუფლების წარმომადგენლები დღეს საუბრობენ.

**როდესაც საქმე სამხედრო ტექნიკას ეხება, შეიძლება ყველა დეტალი არ გაასაჯაროო, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია საზოგადოებამ, ექსპერტებმა უნდა იცოდნენ. უნდა ვიცოდეთ, სად და რისთვის იხარჯება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ჯიბიდან ამოღებული ფული, როგორ არის ქვეყნის საჰაერო სივრცე დაცული, არის თუ არა უზრუნველყოფილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და უსაფრთხოება.** ასეთ საკითხებზე მუშაობის პროცესში სამხედრო ექსპერტები მაინც უნდა იყვნენ ჩართულნი.

**— სპეციალისტებისთვისაც არ არის ხელშეკრულების გარკვეული დეტალები ცნობილი?**

— არა, არ არის ცნობილი, თავისთვის დადიან, რაღაც ხელშეკრულებებს აფორმებენ, მოლაპარაკებებს აწარმოებენ და, აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. ვინაიდან ვხედავთ ხელისუფლების არასწორ მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება ქვეყანას ცუდი შედეგები მოუტანოს — გაზარდოს საფრთხე და რუსეთის მხრიდან უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს.

**— ამ ხელშეკრულებაზე საუბარი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში დაიწყო, როდესაც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ნატოს საქართველოში სამხედრო თავდაცვითი საშუალებების განთავსებისკენ მოუწოდა. იმხანად მისმა განცხადებამ აზრთა სხვადასხვაობა და პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვია. ახლა, როცა უკვე თავდაცვის სისტემების შესახებ ხელშეკრულება ხელმოწერილია, იზრდება თუ არა საფრთხე, თუნდაც რუსეთის მხრიდან?**

— ბუნებრივია, რისკების წინაშე ვდგავართ, **იმის მაგივრად, რომ ტერიტორიების დაბრუნებაზე ვზრუნავდეთ, იარაღის ჟღარუნითა და რიტორიკით კი არა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით ვაგვარებდეთ ურთიერთობას რუსეთთან, პირიქით — სააკაშვილის რიტორიკას, გამაღიზიანებელ განცხადებებს და ძალის დემონსტრირებას განვაგრძობთ.** არადა, აუცილებელია, ჯერ რუსეთთან დავალაგოთ ურთიერთობა, რათა უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები გვქონდეს, გამუდმებით ნაღმზე არ ვისხდეთ და ყოველ წუთს რაღაც საშინელებას არ ველოდოთ. **ნუ ატყუებენ საზოგადოებას, რომ საქართველოში ნატოს ჯარი დადგება და დაგვიცავს. სად იყო ნატო 2008 წელს? რატომ არ დაგვიცვა და მოგვაწოდა იარაღი ან მსგავსი საჰაერო თავდაცვის სისტემები, მხოლოდ წყალი და „პამპერსები“ რატომ გამოგვიგზავნა?! არავითარ შემთხვევაში, არც ერთი ქვეყანა, მათ შორის არც საფრანგეთი, ჩვენ გამო რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს.**

**— ხელისუფლება თუ აცნობიერებს ამ საფრთხეებს?**

— როგორც ვხედავ, ხელისუფლება ან ვერ აცნობიერებს, ან არ უნდა, გააცნობიეროს ეს საფრთხეები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებაში არის ერთი ფრთა, რომელიც აცნობიერებს ამ ყველაფერს, მაგრამ თავის თვალსაზრისს ჯერ კიდევ ვერ გამოხატავს თამამად; ხოლო მეორე ფრთა, რომელიც გამუდმებით ხალხს უკიჟინებს, დღეს თუ ხვალ ნატოს წევრი გავხდებითო, პროვოკაციას თესავს საზოგადოებაში.

**«ნუ ატყუებენ საზოგადოებას, რომ საქართველოში ნატოს ჯარი დადგება და დაგვიცავს. სად იყო ნატო 2008 წელს? რატომ არ დაგვიცვა და მოგვაწოდა იარაღი ან მსგავსი საჰაერო თავდაცვის სისტემები, მხოლოდ წყალი და «პამპერსები» რატომ გამოგვიგზავნა?! არავითარ შემთხვევაში, არც ერთი ქვეყანა, მათ შორის არც საფრანგეთი, ჩვენ გამო რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს»**

**«თავდაცვის სამინისტროში უნდა დავაბრუნოთ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რეპრესირებული კვალიფიციური კადრები, რადგან საქართველოსთვის დაუშვებელია, ასეთ კადრებს კარგავდეს»**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

მოკლედ

## ესტონეთის პრეზიდენტმა უკრაინის ხელისუფლება მძარცველ-შანტაჟისტს შეადარა



**ესტონეთის პრეზიდენტმა ჰენდრიკ ილვესმა უკრაინის ხელისუფლება ფილმის გმირ მძარცველ-შანტაჟისტს შეადარა.** „ჩვენთვის თქმა, რომ რეფორმებს მანამდე არ დავიწყებთ, ვიდრე დაპირებებს (წევრობის შესახებ) არ მივიღებთ... ეს მაგონებს სცენას რომელიღაც ფილმიდან, როდესაც მძარცველი შევარდება ბანკში, რევოლვერს საფეთქელზე მიიბჯენს და ამბობს: „მომეცით ფული, თორემ თავს მოვიკლავ!“. ეს არასწორი გზაა. დაპირება, ჩემს ქვეყანას დავაქცევ, თუ არ მიმიღებთო (ევროკავშირში) ეფექტიანი არ არის“, — განაცხადა ილვესმა და დასძინა, რომ თავდაპირველად ესტონეთის მიღებაც არ უნდოდათ ევროკავშირში, მაგრამ ქვეყანამ ეს რეფორმების გეგმაზომიერად გატარებით შეძლო.

**„ხელისუფლებამ მიიღო რამდენიმე ისეთი კანონი, რომლებიც ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ სწავლებას, ისე საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს; მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ნაღმია, ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტში მიზანმიმართულად ჩადებული“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა დავით (ნოზაძე):

# «ცისფერი კომისრები» უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენლები არიან და ძირს უთხრიან სახელმწიფოს

**ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ოძისის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი მამა დავითი (ნოზაძე).**

**— მამაო, 13 ივნისს დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ სრულიად საქართველო შეძრა. დაიღუპა ხალხი, განადგურდა ქალაქის ინფრასტრუქტურა, არის უდიდესი მატერიალური ზარალი... ბევრი საუბრობს გამოძიების აუცილებლობაზე (რომელიც უკვე დაწყებულია) და კონკრეტული პიროვნებების პასუხისმგებლობაზე. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას ფიქრობთ მომხდარზე და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე?**

— საერთოდ, **როდესაც ადამიანები შორდებოდნენ ღმერთს, მის მცნებებს, ივიწყებდნენ ზნეობას, ყოველთვის ხდებოდა განსაცდელი. ასე წერია წმინდა წერილში და ასეა, ჩემი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც.** რაც შეეხება ვინმეს ბრალს, ცხადია, გამოძიება ჩატარდება და შესაბამისი უწყებები დაადგენენ, სად რა შეცდომა იყო დაშვებული, მაგრამ ეს არ არის მთავარი; ვფიქრობ, ამაზე მნიშვნელოვანია, მეტი დრო დავუთმოთ სულიერებას და ისე ვიცხოვროთ, როგორც წმინდა ეკლესია გვეუბნება...

**— თქვით, როდესაც ადამიანები შორდებიან ღმერთს, ყოველთვის არის განსაცდელიო. ნუთუ ისე ძალიან დაშორდა დღეს ქართველი ხალხი ღმერთს და წმინდა ეკლესიას, რომ ასე მძიმედ დაისაჯა?**

— ვფიქრობ, ღმერთმა კიდევ დაგვინდო. შეიძლებოდა, იქ გაცილებით მეტი მსხვერპლი ყოფილიყო, თუმცა, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც ამ უბედურებას შეეწირნენ, ყველაზე ცოდვილნი იყვნენ, პირიქით — ისინი ნებისმიერ ჩვენგანზე სუფთა შეიძლება ყოფილიყვნენ. მაგალითად, იქ დაღუპული ერთ-ერთი მაშველი, რომელმაც რამდენიმე ადამიანი გადაარჩინა, გმირია. მან თავგანწირვით მაგალითი გვიჩვენა, როგორ უნდა გვიყვარდეს მოყვასი. საერთოდ, **უფალს განსაცდელის დროს რჩეულები მიჰყავს. ამით გვეუბნება, რომ უნდა დავუბრუნდეთ ჭეშმარიტ გზას და განვიწმინდოთ ცოდვებისგან...**

რაც შეეხება შეკითხვას — დავშორდით თუ არა უფალსა და ეკლესიას, საუბედუროდ, ეს უკვე აშკარაა და ვხედავთ, რომ გარკვეული ძალები გაშმაგებით ცდილობენ, ამ გზიდან გადაგვახვევინონ. სამწუხაროდ, მათ მცდელობას გარკვეული შედეგიც აქვს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში, ეს მცდელობები კრახით დასრულდება იმიტომ, რომ ნებისმიერი გალაშქრება ღმერთის წინააღმდეგ იმთავითვე განწირულია მარცხისთვის.

**— ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, დავაკონკრეტოთ: ვინ არიან ის ძალები, რომლებიც ეკლესიისგან ხალხის დაშორებას ცდილობენ და რაში გამოიხატება ეს ქმედება?**

— ავიღოთ ბოლო ორი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში **ხელისუფლებამ მიიღო რამდენიმე ისეთი კანონი, რომლებიც ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ სწავლებას, ისე საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს; მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც არის ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტში მიზანმიმართულად ჩადებული ნაღმი და რომლის შედეგებსაც ძალიან მალე ვნახავთ.**

რაც შეეხება მთავარ ძალას, ანუ დამკვეთს, რომლისგანაც მოდის ეს ყველაფერი, ვიცით, რომ **ანტიდისკრიმინაციული კანონი და სოდომური ცოდვით შეპყრობილი ადამიანების აღლუმების მოწყობა დასავლეთის დირექტივაა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება უყოყმანოდ ასრულებს. აი, ამის შედეგია ის დაცემა, რომელსაც დღეს ვხედავთ, მაგრამ ეს არ არის უცხო ძალების საბოლოო მიზანი; მათი უმთავრესი ამოცანაა, ადამიანი არა მხოლოდ დააშორონ უფალს, დაუპირისპირონ კიდეც, ანუ აქციონ ანტიქრისტეს მსახურად.**

**— აღწევენ ეს ძალები მიზანს, როგორ ფიქრობთ?**

— არიან ადამიანები, რომლებზეც ზემოქმედება იოლია და ადვილად ექცევიან ამა თუ იმ იდეოლოგიის, პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ასეთი ადამიანების ხარჯზე მათი მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია. და რაში ვლინდება ეს? მაგალითად, უფალი გვეუბნება: არ იმრუშო, არა კაც ჰკლა... დღეს ბევრი გამოდის და აცხადებს, რომ აბორტი ჩვეულებრივი ამბავია, აკრძალვაზე კი, საერთოდ, საუბარიც არ უნდა იყოსო. ან მამათმავლობა ავიღოთ, კბილებით იცავენ, ასეთ ადამიანებზე ვინმემ რამე რომ თქვას, დააცხრებიან, პირველ რიგში — არასამთავრობოები. საერთოდ, **ეს არასამთავრობოები ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და ვფიქრობ, მათ საქმიანობას ვინმემ სერიოზულად უნდა მიაქციოს ყურადღება. ესენი არიან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და ძირს უთხრიან სახელმწიფოს. მე მათ დავარქმევდი ცისფერ კომისრებს, ან შეგიძლიათ, ჭრელი კომისრებიც უწოდოთ, იმიტომ, რომ ცისარტყელას დროშას აფრიალებენ ხოლმე.** სხვათა შორის, ეს დროშა შემთხვევით არ აურჩევიათ, მოგეხსენებათ, ცისარტყელა პირველად მაშინ გამოჩნდა, როცა წარღვნა დასრულდა და ამით უფალმა მშვიდობა აუწყა ადამიანს, ანუ **ცისარტყელა არის ღმერთისა და კაცის შერიგების სიმბოლო, ესენი კი ამ დროშით გამოხატავენ ღმერთთან, ღვთის კანონებთან დაპირისპირებას და ამას ეძახიან ადამიანის უფლებებს. ეს არის ქრისტეს უარყოფა და ის ადამიანები, რომლებიც ერთიანდებიან ამ დროშის ქვეშ, იქნებიან ისინი ხელისუფლებისა თუ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ებრძვიან ქრისტეს.** კიდევ ვიმეორებ: მათი ნებისმიერი მცდელობა განწირულია მარცხისთვის, ისევე, როგორც განწირულია მათი დასავლელი მამამარჩენლების მცდელობა, დაასუსტონ სამღვდელოება, დაქსაქსონ საზოგადოება და ხალხი დააშორონ დედაეკლესიას...

**— ის, რაც ქართულ ტრადიციულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, ვთქვათ, იმავე ცისარტყელას დროშის ფრიალი, ე.წ. სექსუალური უმცირესობების აღლუმები, ერთსქესიანთა ქორწინებები და ა.შ., დასავლეთის — ამერიკისა და ევროკავშირის — დირექტივებია, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში მიგვანიშნებენ, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე არც იოცნებოთო. რა გამოსავალს ხედავთ? ერთი მხრივ, გვეუბნებიან, რომ ეს ევროატლანტიკური სტრუქტურები ჩვენი ისტორიული არჩევანია; მეორე მხრივ კი, ამ სტრუქტურებში გაწევრება უმნიშვნელოვანეს ზნეობრივ პრინციპებზე უარის თქმას მოითხოვს.**

— ვფიქრობ, ქართველი კაცის ისტორიული არჩევანი არ იყო ევროკავშირი, ქართველი კაცის არჩევანი იყო და არის ქრისტე.

რაც შეეხება დირექტივებს, თუ ევროკავშირი გვთხოვს, რომ ქრისტეს მცნებები უარვყოთ, ასეთი ევროკავშირი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს, არც ნატო მოუტანს და არც რომელიმე სხვა გაერთიანება. მხსნელი ჰქვია მხოლოდ იესო ქრისტეს, რომელიც არის ღმერთიც და კაციც.

**— ფაქტია, რომ ანტიეკლესიურ ძალებს აქვთ დათმობილი მთელი ასპარეზი, მათია მედია, პოლიტიკური სპექტრი, ფინანსური რესურსები. რას უპირისპირებს ამ ყველაფერს სამღვდელოება?**

— მადლობა ღმერთს, ყველა სასულიერო პირს აქვს ამბიონი, საიდანაც ღვთის სიტყვას ქადაგებს და ეს მორწმუნე ერს გადაეცემა. **კი, მათ ხელშია ყველაფერი — მედიაც, ფინანსური რესურსებიც და პოლიტიკური სპექტრიც, მაგრამ ჩვენთან არს ღმერთი და ვერანაირი მედიით, ვერანაირი პროპაგანდით ჭეშმარიტ საქმეს ვერ გადაფარავენ.** საერთოდ, მორწმუნე ადამიანი უძლეველია, რადგან უფალი ბრძანებს: ვინც ჩემს სიტყვას საქმედ აქცევს, ის არის გონიერი კაცი; ხოლო ვინც ჩემს სიტყვას მოისმენს და არაფერს გააკეთებს, უგუნურია. გონიერი სახლს ააშენებს კლდეზე და ამ სახლს ვერაფერი დაანგრევს, უგუნური კი ააშენებს ქვიშაზე. ის ხალხი, რომელიც ეკლესიაში დადის და უფლის გზას მიჰყვება, კლდეზე აშენებული სახლია, მას ვერაფერი მოერევა, ეკლესიის მტრები კი ქვიშაზე დგანან, ამიტომაა მათი იდეოლოგია სუსტი, ლიბერალიზმი დგას ცოდვაზე...

**— დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგიის უპირველესი სამიზნე ახალგაზრდები არიან, განსაკუთრებით — სკოლის მოსწავლეები. წელს, მაგალითად, თბილისისა და ბათუმის რამდენიმე სკოლაში ახალის საგნის („მე და საზოგადოება“) შემოღება იგეგმება, რომლის მიზანიც ბავშვებისთვის „განსხვავებულისადმი“ პატივისცემის სწავლება იქნება. ეს საგანი გამიზნულია თაობათა ცნობიერებაში ძირეული ცვლილებებისთვის. რას ფიქრობს ეკლესია ამ საკითხზე?**

— ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს ინფორმაცია ამ საგანზე და ვიცით, რეალურად რაზეა საუბარი. ეს არის ცნობიერების შეცვლაზე გათვლილი პროგრამა, რომელმაც ახალგაზრდების აზროვნება თავდაყირა უნდა დააყენოს. **წლების წინათ ხშირად გვესმოდა ხოლმე სიტყვები „მენტალური რევოლუცია“ და ცოტა თუ სვამდა შეკითხვას, რა იგულისხმებოდა ამაში. ეს უკვე ჩანს შედეგში,** ამათი ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ საზოგადოების ზნეობა ფუნდამენტურად შეცვალონ, რომ ის, რაც ქართველისთვის ოდითგანვე ითვლებოდა დასაძრახად, ჩვეულებრივი ამბავი გახადონ და გააუბრალოონ. ცხადია, ეს საგანი არ უნდა შევიდეს სასწავლო პროგრამაში, ამას ყველა ერთად — მშობლებიც, მასწავლებლებიც და სრულიად საზოგადოება — წინ უნდა აღუდგეს.

**— და მაინც, თუკი განათლების სამინისტრო თავისას გაიტანს, რის გაკეთება შეუძლია ეკლესიას, რა ფორმით შეეწინააღმდეგებით ამ საგნის შემოღებას?**

— შეიკრიბება ეკლესია, იქნება საუბარი, მსჯელობა და მოიფიქრებს, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს. კიდევ ვიმეორებ: მთავარი არის ის, რომ ეკლესიასთან არის ღმერთი. რაც შეეხება ხელისუფლებას, მან უნდა იცოდეს, რომ, როდესაც მიდის ღმერთის წინააღმდეგ, მას კურთხევა არ აქვს, შესაბამისად, ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს...

**— დასასრულ, რუსულ-ქართულ ურთიერთობებზეც გკითხავთ. ბევრი ფიქრობს, რომ სარწმუნოება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი შეიძლება იყოს ორ სახელმწიფოს შორის დაძაბულობის განსამუხტავად, ზოგი კი ამას არარეალურად მიიჩნევს. თავის მხრივ, „ლიბერალები“ ამაზე ბევრს ქილიკობენ, — ერთმორწმუნეობა არაფერს ნიშნავსო. თქვენ როგორ ფიქრობთ: რა როლი ეკისრება ეკლესიას ამ პროცესებში?**

— მართლმადიდებლობა საყოველთაო რელიგიაა, ყველგან არის და ყველა ჭეშმარიტ მართლმადიდებელს აქვს ერთი შეგნება, რომ უნდა უყვარდეს მოყვასი, როგორც თავი თვისი.

რაც შეეხება ურთიერთობების დარეგულირებას, თუკი აჭარაში სამასი წლის განმავლობაში ფაშები ისხდნენ და დღეს თურქებს ძმებს ვეძახით (ირანში კიდევ გვახსოვს, წინა პრეზიდენტის ვიზიტისას რა განცხადებები გაკეთდა: ოდითგანვე ცნობილია ირანელებისა და ქართველების მეგობრობაო), ჩვენ და რუსები რომ ისევ დავმეგობრდეთ, რა დაშავდება?! ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი ამბავია და, თუ ღმერთი ინებებს, ასე იქნება. მთავარია, არ გავტყდეთ სულიერად და არ წავიდეთ სარწმუნოებრივ კომპრომისზე, რომელსაც დღეს ამერიკა და ევროპა ითხოვს...

**«ქართველი კაცის ისტორიული არჩევანი არ იყო ევროკავშირი, ქართველი კაცის არჩევანი იყო და არის ქრისტე»**

**«ანტიდისკრიმინაციული კანონი და სოდომური ცოდვით შეპყრობილი ადამიანების აღლუმების მოწყობა დასავლეთის დირექტივაა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება უყოყმანოდ ასრულებს. აი, ამის შედეგია ის დაცემა, რომელსაც დღეს ვხედავთ, მაგრამ ეს არ არის უცხო ძალების საბოლოო მიზანი. მათი უმთავრესი ამოცანაა, ადამიანი არა მხოლოდ დააშორონ უფალს, დაუპირისპირონ კიდეც, ანუ აქციონ ანტიქრისტეს მსახურად»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც საშუალოზე დაბალი ნიჭის ვიღაც თაღლითი „თვითმხილველის“ მონათხრობს ასე იოლად იჯერებ, არ გიჩნდება ეჭვი, არ ითხოვ ფაქტის დასაბუთებას და პირდაპირ სდებ ბრალს ვაჟკაც, გაბედულ და სხვისი სიცოცხლის გადარჩენისთვის საკუთარი სიცოცხლის დამთმობ მაშველებსა და სპეცრაზმელებს „სისხლისმსმელობასა“ და „უმწეო ცხოველების განუკითხავად ჟლეტაში“, მაშინ შენ, ქალბატონო თუ ბატონო, ან ინტრიგანი ხარ და კონკრეტულ გამორჩენას ელი, ან, უბრალოდ, დებილი ხარ და ჩლუნგი!**

# «თვითმხილველთა» ქვეყანა

**პირდაპირ დავიწყოთ:**
**დიახ! ეს ის ქვეყანაა, რომელშიც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თეთრი ლომის ბოკვერის — შუმბას სახელი უფრო ხშირად ისმოდა მედიასა თუ სოციალურ ქსელებში, ვიდრე ზურაბ მუზაშვილისა!**

ბევრმა ახლაც შეიძლება იკითხოს, ვინ არის **ზურაბ მუზაშვილიო.** სამაგიეროდ, ქუჩაში გაჩერებული ნებისმიერი გამვლელი დაუფიქრებლად გეტყვის, რომ შუმბა — ეს არის ის საწყალი და უდანაშაულო ლომის ბოკვერი, რომელიც გულქვა და სისხლისმსმელმა მაშველებმა (სპეცრაზმმა, მეხანძრეებმა, პოლიციამ თუ სხვამ) ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ჩაცხრილეს ვოლიერში!

რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოში ყველა ასეთი უტიფარია, მაგრამ თავს დავდებ, რომ იმ პოზიორ ამაზრზენ ტიპებს, რომლებიც შუმბას გამო ვითომ ცრემლებს აღვარღვარებენ, ზურაბ მუზაშვილის სახელი და გვარი დამახსოვრებული ნამდვილად არ ექნებათ.

**ზურაბ მუზაშვილი ხომ ის მაშველია, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა იმ საშინელ ღამეს საკუთარი სიცოცხლის ფასად! ასეთი ადამიანების დაფასებაში, მათი სახელის უკვდავყოფასა და გულწრფელ გლოვაში კი გრანტებს არავინ იძლევა!**

ამიტომაც მოდურია მტაცებელი ცხოველების „გლოვა“ და „გულაჩუყებული“ პოზის მიღება იმის გამო, თუ როგორ „ჩახოცა სისხლისმსმელმა სპეცრაზმმა ვოლიერებში ჩაკეტილი ცხოველები“.

„ცხოველთა დასაცავად“ კი სერიოზული გრანტები მოდის და ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა როდისღა უნდა მიეცეთ პატივცემულ „გრანტოვშიკებს“?! ესენი ხომ იმ ტიპის ადამიანები არიან, რომლებსაც ტრაგედია სულ ფეხებზე ჰკიდიათ და, თუნდაც გაწყდეს და გაიჟუჟოს ნახევარი თბილისი, მაინც იმაზე იფიქრებენ, რა თემა ააგორონ, რაც შეიძლება მეტი გრანტი რომ შეჭამონ.

რაღა თქმა უნდა, გრანტიჭამიათა რაოდენობა შეუზღუდავი არ არის. **ეს ის მცირე წრეა ადამიანებისა, რომლებიც მერე სოციალურ ქსელებში „გულისამაჩუყებელი“ ე.წ. პოსტებითა თუ ფოტოებით ახერხებენ გულუბრყვილო ადამიანების აყოლიებას, პანიკის შექმნას, თავიანთთვის მომგებიანი და „გრანტმომტანი“ აზრის გავრცელებას.**

ამისთვის კი ყველაზე ეფექტიანი სიტყვაა **თვითმხილველი!**

**დიახ!** სწორედ „თვითმხილველმა განაცხადა, რომ სისხლისმსმელმა სპეცრაზმელმა თუ მაშველმა ვეფხვს, რომელიც არავის ესხმოდა თავს, ტყვიების მთელი მარაგი დააცალა“.

**დიახ!** სწორედ „თვითმხილველმა მოგვიყვა, რომ ლომი, რომელიც ადამიანისკენ დინჯი ნაბიჯით მიემართებოდა და ბოროტი განზრახვა არ ედო გულში, სადისტურად მოკლა გულქვა სპეცრაზმელ-მაშველმა“!

**დიახ!** სწორედ „თვითმხილველები ყვებოდნენ, რომ ეგზალტირებული სპეცრაზმელები ყიჟინით შეიჭრნენ ზოოპარკში და ვოლიერებში ჩაკეტილი ცხოველები უმოწყალოდ დახოცეს“.

აი, ასეთი „თვითმხილველების“ ქვეყანა ვართ ჩვენ!

თუმცა, არა მხოლოდ საქართველოში აღმოჩნდებიან ხოლმე „თვითმხილველები“. მსოფლიოს ახსოვს „თვითმხილველი“ იმისა, როგორ გაიქცა ჰიტლერი კოლუმბიაში! გაგვიგია იმის „თვითმხილველის“ შესახებაც, რომ მანქანაში პრეზიდენტ კენედის ნაცვლად თოჯინა იყო, ხოლო თვითონ კენედი უვნებელი და საღსალამათი სადღაც ბრაზილიის ჯუნგლებში ნადირობით ირჩენს თავს და ასე შემდეგ...

ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერ ტრაგედიას მოჰყვება ხოლმე ფანტაზიორი „თვითმხილველების“ ჯოგი, რომლებიც უამრავ „გულისამაჩუყებელ“ ამბავს ყვებიან და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე...

თუმცა, მე **იმ ადამიანებისა უფრო მიკვირს, რომლებსაც ამ „თვითმხილველების“ ასე იოლად სჯერათ!**

თქვენ წარმოიდგინეთ, არაერთი ასეთი ადამიანი „ფაქტადაც“ კი აღიქვამს რაღაც სულელურ ვიდეოკადრებს, რომლებიც სინამდვილეში არაფერს ასაბუთებს.

მას შემდეგ, რაც ზედიზედ მოვიგერიე იმ სულელების შეტევა, რომლებიც რატომღაც „ცხოველთმოძულეობას“ მაბრალებდნენ, ოფიციალურად მოვითხოვე, დაედო ვინმეს თუნდაც ერთი ფაქტი იმისა, როგორ ხოცავენ „სისხლმოწყურებული“ სპეცრაზმელები „უდანაშაულო“ ცხოველებს ვოლიერებში. ჩემი მოთხოვნა მთელი კვირის განმავლობაში ვერავინ დააკმაყოფილა, ამიტომაც, სავარაუდოდ, ამ მოთხოვნამ არაერთი ადამიანი მოიყვანა გონს, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც „პირველ ჩვენებას“ ბოლომდე „მიაწვა“ და დიდი რიხით გადმომიგზავნა „ვიდეოფაქტები“.

**ვიდეოფაქტი №1.** ვიღაც ტიპი, რომლის არც სახელია მითითებული, არც გვარი, არც თანამდებობა, ყვება, როგორ ეხვეწებოდა ზოოპარკის ერთ-ერთი მომვლელი სპეცრაზმელს — არ მოკლათ ეგ ლომი, უვნებელიაო! ხოლო გულქვა და სისხლმოწყურებულმა სპეცრაზმელმა ლომი მოკლა, მერე კი იქვე მახლობლად დაბმული მგელი დაინახა და ისიც ზედ მიაკლა!



**ვიდეოფაქტი №2.** კარდში ჩანს ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორია. არ ჩანს მოსაუბრის სახე და ვიღაც ამას ასაღებს, როგორც „ფარულ ჩანაწერს“. ის „იდუმალი თვითმხილველი“ კი, რომელიც სახეს არ აჩვენებს, ყვება, როგორ დახოცეს „სისხლისმსმელმა“ სპეცრაზმელებმა ხეებზე ასული დათვები.

ამ სურათიდან გამომდინარე, ერთი კითხვა მიჩნდება — ადამიანები, რომლებიც, აი, ამ სისულელეებს ასე იოლად იჯერებენ, როგორღა გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ გაქნილი პოლიტიკოსები წინასაარჩევნოდ ვეღარ მოატყუებენ?!

**როდესაც საშუალოზე დაბალი ნიჭის ვიღაც თაღლითი „თვითმხილველის“ მონათხრობს ასე იოლად იჯერებ, არ გიჩნდება ეჭვი, არ ითხოვ ფაქტის დასაბუთებას და პირდაპირ სდებ ბრალს ვაჟკაც, გაბედულ და სხვისი სიცოცხლის გადარჩენისთვის საკუთარი სიცოცხლის დამთმობ მაშველებსა და სპეცრაზმელებს „სისხლისმსმელობასა“ და „უმწეო ცხოველების განუკითხავად ჟლეტაში“, მაშინ შენ, ქალბატონო თუ ბატონო, ან ინტრიგანი ხარ და კონკრეტულ გამორჩენას ელი, ან, უბრალოდ, დებილი ხარ და ჩლუნგი!**

მაპატიეთ ასეთი პირდაპირი და ხისტი გამოთქმებისთვის, მაგრამ იქნებ ამან მაინც იმოქმედოს ამ მართლა დაჩლუნგებული საზოგადოების გონებაზე და გამოაფხიზლოს ისინი, ვისით მანიპულირებაც ასე იოლად შეუძლიათ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებს!

ასეთი „მალემრწმენი“ ადამიანები საზოგადოებისთვისაც საშიშნი არიან, რადგან მოსალოდნელია, ხვალ „ფეისბუქში“ რომელიმე „თვითმხილველმა“ გამოაქვეყნოს: „ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოხარშა ბაკურ სვანიძემ ჩვილი ბავშვი და შეჭამა!“ და ზუსტად ვიცი, მთელი ეს საზოგადოებად წოდებული „ნაროდი“ დიდი ჟივილ-ხივილით დაიჯერებს ამას და და ისე გამაკრავს ჯვარზე, იმასაც კი არავინ მოითხოვს, რომ ჩემს გვამს თუნდაც ექსპერტიზა ჩაუტარონ და დაადგინონ, აღმოჩნდება თუ არა ჩემს ნაწლავებში ჩვილი ბავშვის სხეულის ნაწილების კვალი, რათა სიკვდილის შემდეგ მაინც მოიხადოს ვინმემ ბოდიში უდანაშაულო ადამიანის წამებისთვის!

**ძალიან დიდ საზიზღრობას ვწერ, ხო? — დიახ! და ზუტად ასე და ამაზე მეტადაც საზიზღრები ხართ თქვენ, „თვალზეცრემლმომდგარო“ ვითომ „უმწეო ცხოველთა“ გამო „გულაჩუყებულო“ ვითომ ადამიანებო!**

„იცი თუ არა შენ, რომ პრაღის ზოოპარკიდან როდესაც ცხოველები გაიქცნენ, მაშველებმა მხოლოდ 100 ცხოველი მოკლეს აუცილებლობის გამო, დანარჩენი 900 კი დააძინეს!“ — მწერს ერთი „ჩემზე უფრო ცხოველთმოყვარე“ და რატომღაც არ ელოდება ჩემგან შეკითხვას:

**„კარგი, პატივცემულო, მაგრამ გთხოვთ, დამისახელოთ რაოდენობა, — რამდენი ცხოველი მოკლეს თბილისში სპეცრაზმელებმა?“**

**რა თქმა უნდა არ იცის! 1 მოკლეს? 5? 10? 50?**

**არა! მან იცის, რომ „გაჟუჟეს“ „დახოცეს“ „გაანადგურეს“ „მოსპეს“!**

და აი, კონკრეტულად რამდენი ცხოველის მოკვლას ვარქმევთ ამ შემთხვევაში „დახოცვას“ და „გაჟუჟვას“ ეს ციფრები, აგერ, ტრაგედიიდან ერთი კვირის შემდეგაც კი არავის დაუსახელებია!

მეტიც! **თბილისმა კაცობრიობას შესთავაზა კიდევ ერთი „საპროტესტო ნოუ-ჰაუ“!**

**აბა, თუ მიხვდებით, როდესაც ზოოპარკიდან გაქცეული ცხოველი ქალაქის ცენტრში ადამიანს შეჭამს, ვინ უნდა დაკითხოს პროკურატურამ?**

პასუხების ვარიანტები:

**ა) ფილარმონიის მთავარი ადმინისტრატორი;**

**ბ) ღვინის ქარხნის მთავარი დეგუსტატორი.**

და ასე შემდეგ! მიამატეთ, ვინც გინდათ! ოღონდ **არამც და არამც არ ჩაწეროთ პროკურატურის მიერ დასაკითხთა ჩამონათვალში „ზოოპარკის დირექტორი“, რადგან ამ შემთხვევაში ლაშა ბუღაძე, გია ცინაძე-მყუდრო, ნინია კაკაბაძე და სხვა ძალიან „პრადვინუტი ლიბერალ-შუბლგანათებულნი“ აუცილებლად მოაწყობენ საპროტესტო აქციას „ბნელების“ წინააღმდეგ ლოზუნგით: „ხელები შორს ზოოპარკის დირექტორისგან!“.**

ანუ, შესავალში ნათქვამი ჩემი სიტყვებისა არ იყოს, **საქართველო — ეს ის ქვეყანაა, რომელშიც ლაშა ბუღაძე გვისაზღვრავს, ვინ უნდა დაკითხოს პროკურატურამ და ვინ — არა!**

**ეს ის ქვეყანაა, რომელშიც ანი ნადარეიშვილი წამებით მოკლული სერგო თეთრაძის ქვრივს ისე უტიფრად ეუბნება ფრაზას — „შენი ქმრის გადაცემული მონაცემებით უამრავი ადამიანი ჩახოცეს 2008 წელს“ — გეგონება, ეს ამბავი უკვე გამოიკვლია, დაამტკიცა და დაადასტურა გამოძიებამ.**

არადა, სერგო თეთრაძის მხეცური მკვლელობიდან, „ნაცრეჟიმის“ დასრულებამდე იმდენი დრო ჰქონდათ, მართლაც რამე რეალური სამხილი რომ არსებულიყო სერგო თეთრაძის წინააღმდეგ, მთელი ეს წლები ბაირაღივით ექნებოდათ აფრიალებული!

ხედავთ? თურმე **ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც იოლი შესაძლებელია, არსებობდეს კავშირი არა მხოლოდ ვეფხვებსა და არჩევნებს შორის, არამედ იმავე ვეფხვებსა და ლაშა ბუღაძეს შორისაც ან თუნდაც წამებით მოკლულ სერგო თეთრაძეს შორისაც!**

დიახ! **ე.წ. ცხოველთა დამცველების უმეტესობა, როდესაც არგუმენტებს ვერ უძლებს ხოლმე, ბოლოს ვეღარ ითმენს, სკდება ფურუნკულივით და ამჟღავნებს თავს — სინამდვილეში ვინ არის და რა სურს:**

„შე ბიძინას პრეზერვატივო!“ „ყველანი ღრუსები ხართ „ინფო 9“-ის მთელი შემადგენლობა“ — აი, ასეთი ფრაზებით ასრულებენ ხოლმე ჩემთან კამათს „ცხოველთა დამცველები“...

**თუ რომელიმე მეტყვით, რა კავშირშია „ბიძინა“ და, მით უმეტეს, „ინფო 9“ ზოოპარკიდან გაქცეულ ცხოველებთან, მართლა გავჩუმდები და არა მხოლოდ ამ, არამედ სხვა თემებზეც არასოდეს ამოვიღებ ხმას!**

თუმცა, ფაქტია, ამ ქვეყანაში ყველაფერი ყველაფერთან შეიძლება იყოს კავშირში.

მაგალითად, **ლაშა ბუღაძის ერთ-ერთი მოტრფიალე ამ სიტყვებით მეცა: „ჯერ შენი ნაწარმოებები დადგან ქოვერნგარდენში და შენ მოგცენ ბიბისის პრემია და მერე ილაპარაკე ლაშა ბუღაძეზე!“**

ანუ, **ასეთი ადამიანების აზრით, ლაშა ბუღაძის, როგორც საზოგადოების წევრის, საქციელზე აზრის გამოთქმა შეუძლიათ მხოლოდ დრამატურგებს და თანაც ისეთ დრამატურგებს, რომელთა პიესებიც „ქოვერნგარდენში“ არის დადგმული და ვისაც „ბიბისის“ პრიზი აქვს აღებული!**

**დანარჩენმა ენა უნდა ჩავიგდოთ და პროკურატურამაც დაკითხვაზე მხოლოდ ის უნდა დაიბაროს, ვისი დაკითხვის წინააღმდეგიც ლაშა ბუღაძე არ იქნება, მაგრამ, თუ ბუღაძეს არ ეცლება, მაშინ „მყუდროს“ უნდა დავეკითხოთ ჭკუა!**

დიახ!

მჯერა, რომ ასე **მოაზროვნე საზოგადოება** ღირსეულ, სწორ და საამაყო გადაწყვეტილებებს მიიღებს არჩევნებზე, როგორც ეს ამ საზოგადოებას არაერთხელ გაუკეთებია!

**ასეთი საზოგადოების** ხელში ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო „გაბრწყინდება“, განათდება და 25-წლიანი ბჟუტვის შემდეგ, საბოლოოდ გადაიქცევა „რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფლების შუქურად“!

მთავარია, „თვითმხილველები“ არ მოგვაკლდეს და შემდეგ ამ „თვითმხილველების“ მონაჩმახით მოპოზიორე „გულაჩუყებულნიც“, მათ შორის, ისეთი „ცნობილი ფეისებიც“, რომლებიც თავის დროზე ადამიანების ცემა-წამება-მკვლელობას არ აპროტესტებდნენ, დღეის კი „უდანაშაულო ვეფხვის“ გამო ყველაზე მეტ კურცხალს აგორებენ და „მისი უგულჩვილესობის“ ტიტულს ეპოტინებიან...

და გმირი მაშველი? — ეგ ვიღას დაკარგვია! დიდი საქმე! მას ხომ ამ ადამიანების გადარჩენა სამსახურებრივად ევალებოდა და, ბოლოს და ბოლოს, ვის არ გადაურჩენია სასიკვდილოდ განწირული 7 ადამიანი?!

**„თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრებმა, ანუ ორმა ქალმა რამდენიმე დღის წინათ ივანიშვილი ბათუმში ჩაიყვანა და ევროკავშირის ვიღაც წარმომადგენლებს შეახვედრა. მითხარით, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? რას წარმოდგენს? რაზე ისაუბრა, რა გადაგვიწყვიტა?..**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვასილ ჭიჭინაძე:

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დაჭერას მოითხოვს სრულიად საქართველო, ბიძინა ივანიშვილი კი გამოდის და ამბობს, — ყველაფერი ვაპატიეო. ვინ ჰკითხავს ივანიშვილს? ქვეყანას პროკურატურა და პოლიცია რისთვის ჰყავს?

**13 ივნისს ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ გონს მოსულმა ხელისუფლებამ სტიქიით გამოწვეული ზარალი დათვალა. თანხამ 100 მილიონს გადააჭარბა. არადა, ქვეყანაში ისედაც გაუსაძლისი ეკონომიკური ვითარებაა. ერთი თვის წინათ პრემიერმა ფინანსთა მინისტრს ბიუჯეტის სეკვესტრირებული ვარიანტის წარსადგენად ერთკვირიანი ვადა მისცა, მაგრამ ბიუჯეტი აქამდე არ არის წარმოდგენილი. მოქალაქეები ქვეყნის ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილონი არიან. სოციალურ ქსელში წერენ, — ლომის მაგივრად, ეგებ ღარიბაშვილი დავაძინოთო...**
**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**

**— უბედურება დაატყდა ქვეყანას, მოვარდნილმა ღვარცოფმა ნახევარი ქალაქი დაანგრია, არის მსხვერპლიც. შეძლო ჩვენმა მთავრობამ კოორდინირებული მუშაობა? გაართვა თავი პრობლემას?**

— არა, მათ ვერ შეძლეს კოორდინირებული მუშაობა. ექსპერტები, რომლებმაც ამ საქმეში ჩემზე მეტი იციან, ამბობენ, რომ ხელისუფლებას შეეძლო პრევენციული ზომების გატარება და ესტაკადის გადაკეტვა, აგრეთვე, ხალხის ევაკუაციაც. ე.წ. ახალ გზასთან, იქვეა პოლიციის სამმართველო და სამართალდამცველებს შეეძლოთ, გზა გადაეკეტათ, რადგან ცხადი იყო, რომ ჩვეულებრივი წვიმა არ მოდიოდა, ძლიერდებოდა და ძლერდებოდა. სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ მეწყერის ჩამონწოლამდე საკმარისი დრო იყო ხალხის საევაკუაციოდ.

ასე რომ, მთავრობის მუშაობაში მოსაწონი არაფერი ყოფილა ან რა კოორდინაციაზეა ლაპარაკი, როდესაც განაცხადეს, არც ერთი ცხოველი აღარ არის გარეთო და მეორე დღეს დედაქალაქის ცენტრში ვეფხვი ადამიანს ჭამს თუ კლავს! **თავმოყვარე მთავრობა უნდა გადამდგარიყო!**

არ ვიცი, ხალხს ახსოვს თუ არა, ლიტვაში დატრიალებული ტრაგედიისას რა მოხდა და რა ქნა მთავრობამ. ლიტვაში უნივერმაღის შენობა ჩამოინგრა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არაფერ შუაში იყო, ის შენობა მისი აშენებული არ იყო, მაინც გადადგა, პასუხისმგებლობა დაიკისრეს, ჩათვალეს, რომ როგორმე თავიდან მაინც უნდა აეცილებინათ მოსალოდნელი ტრაგედია.

**მთავრობას პასუხისმგებლობის განცდა უნდა ჰქონდეს, ბოდიშის მოხდა საქმეს არ შველის, ამით დაღუპულებს ვერ გააცოცხლებ, განსაკუთრებით — ვეფხვისგან მოკლულს.**

ერთ-ერთი მაშველი, რომელმაც შვიდი ადამიანი გადაარჩინა და მერე თვითონაც დაიღუპა, რაღაც მედლით დააჯილდოვეს. საინტერესოა, ჩვენი ხელისუფლების წევრები გმირობას რას ეძახიან?!

ამ ყველაფერს დეტალურად რომ დააკვირდები და მოვლენებს თვალს ადევნებ, მთავრობის კოორდინირებულ მუშაობაზე საუბარიც კი სასაცილო ხდება.

**— სტიქიით გამოწვეული ზარალი ძალიან დიდია. ქვეყანაში კი ისედაც მძიმე ეკონომიკური ვითარება იყო, პრემიერმა სტიქიამდე რამდენიმე კვირით ადრე ფინანსთა მინისტრს სეკვესტრირებული ბიუჯეტის წარდგენა მოსთხოვა, რაც დღემდე არ შესრულებულა. როგორ ფიქრობთ, რა ხდება მთავრობაში?**

— საქმე ის არის, რომ არაფერიც არ ხდება. თავშივე ვისაუბრეთ, რომ **მთავრობაში კოორდინაცია არ არის, სტრუქტურებს ერთმანეთთან ურთიერთობა არ აქვთ, ყველა თავისთვის „იქაჩება“. პრემიერს რა ფუნქცია აქვს, გაურკვეველია. მინისტრი რომ პრემიერის დავალებას არ შეასრულებს, ამას რა ჰქვია? მე ამ საქციელს სახელი ვერ ვუპოვე.**

**— ფიქრობთ, რომ მინისტრებს ბიძინა ივანიშვილი აფარებს ხელს?**

— ასე ჩანს. მინისტრი მოსახსნელია და პრემიერი ვერ ხსნის, ე.ი. ვიღაც მფარველობს.

**ქვეყანაში რა ხდება, ვერ გაიგებ. ვინ მართავს ამ ქვეყანას ან რა მმართველობა გვაქვს? პრეზიდენტი არაფერს წარმოადგენს, თუმცა არც პრემიერი წარმოადგენს რამეს. ერს თავმოყვარეობა დააკარგვინეს, თვითონ ხომ არ აქვთ და არ აქვთ. თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრებმა, ანუ ორმა ქალმა ივანიშვილი**



**რამდენიმე დღის წინათ ბათუმში ჩაიყვანა და ევროკავშირის ვიღაც წარმომადგენლებს შეახვედრა. მითხარით, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? რას წარმოდგენს? რაზე ისაუბრა, რა გადაგვიწყვიტა?**

**— ბევრი პოლიტიკოსი, მათ შორის, ივანიშვილის გუნდის ყოფილი წევრები, ყოფილ პრემიერს ხშირად ადანაშაულებენ პროკურატურაზე ზემოქმედებაში. როგორ ფიქრობთ, ერევა ივანიშვილი პროკურატურის საქმიანობაში?**

— ზუსტად მაგაზე ვლაპარაკობ, როცა ვამბობ, რომ ღირსება დავკარგეთ. **ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დაჭერას მოითხოვს სრულიად საქართველო, ბიძინა ივანიშვილი კი გამოდის და ამბობს, — ყველაფერი ვაპატიეო. ვინ ჰკითხავს ივანიშვილს? ქვეყანას პროკურატურა და პოლიცია რისთვის ჰყავს?**

კიდევ ვიტყვი: ჩვენ ქვეყანა აღარ ვართ. მოვა ვიღაც, დაგანიშნინებს მინისტრს, მოვა მეორე ვიღაც და გეტყვის, მართალია, ესა და ეს კაცი ქურდია, ყაჩაღია, მკვლელი, მაგრამ უნდა აპატიო და შენც მიუტევებ...

**— დაჭერა-მიტევებაზე ბევრს საუბრობენ, განსაკუთრებით — ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ. თითქმის ყველა ამბობს, რომ მომხდარი „ნაციონალების“ კისერზეა, თუმცა ივანიშვილიცა და მთავრობის დანარჩენი წევრებიც გვეუბნებიან, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი წარსულია და უნდა დავივიწყოთ. ფიქრობთ, რომ დედაქალაქის ყოფილი მერი ესტაკადის მშენებლობისთვისაც უნდა დაისაჯოს?**

— რა თქმა უნდა, საქმე სასწრაფოდ გამოსაძიებელია და დამნაშავე სასტიკად დასასჯელი. რაც შეეხება სააკაშვილის დავიწყებას, ეს ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც მას ლობირებენ, ძვირფასია ამ ხელისუფლებისთვისაც. ჩვენ ხომ დამოუკიდებლები არ ვართ? **„ჩვენს საყვარელ“ ივანიშვილს იმდენი ფული აქვს, წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებს, რადგან, შესაძლოა, ერთი არასწორი ნაბიჯის გამო, მისი ფული განულდეს, ამიტომ ივანიშვილი, თავისი ფული რომ არ დაკარგოს, იძულებულია, ნორლანდის მითითებას დაემორჩილოს და სააკაშვილს თავი დაანებოს.**

არ ვიცი, ესტაკადა როგორ აშენდა, რა დარღვევები იყო, მაგრამ ფართხა-ფურთხით რომ გაკეთდა, ვიცი. ეს იცოდა ყველამ. ხელისუფლება, რომელიც სამი წელიწადია, ქვეყნის სათავეშია და ახლა, უბედურების დატრიალების შემდეგ ამბობს, გზა ცუდად იყო გაკეთებულიო, მართალი არ მგონია. თუ ყველაფერი იცოდნენ, ზომები მიეღოთ, ეს გზა უნდა გაეუქმებინათ.

„ნაციონალები“ ვინც იყვნენ და რასაც აკეთებდნენ, ყველამ ვიცით, ეს პარტია გასაუქმებელი იყო და ხალხიც ამას მოითხოვდა, ხალხის ნებას გადააბიჯეს და კოჰაბიტაცია დაიწყეს.

**— საფრანგეთში რა დოკუმენტს მოაწერა ხელი თავდაცვის მინისტრმა?**

**— ხიდაშელმა ხელი რას მოაწერა, თვითონ მთავრობის წევრებმაც არ იციან, ამაში დარწმუნებული ვარ. ასეთი რაღაცები ასე არ უნდა ხდებოდეს. მთავრობა ვალდებულია, ხალხი საქმის კურსში ჩააყენოს, ჩვენ ვართ იმის ღირსი, რომ აგვიხსნან, რა ხდება. ხიდაშელს ხომ კიტრისა და პომიდვრის ყიდვა-გაყიდვის საკითხებზე არ მოუწერია ხელი, საუბარია სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. ამ ქვეყნის შვილებს უფლება აქვთ, იცოდნენ დეტალები, რადგან ჩვენს ქვეყანას ტერიტორიები აქვს დაკარგული.**

ნებისმიერმა ნაბიჯმა, რომელსაც გაუთვლელად გადავდგამთ, შეიძლება დაგვაზარალოს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას რუსეთი არ უყვარს, გამუდმებით გვეუბნება, რუსეთს დაელაპარაკეთო, მაგრამ, როგორც ჩანს, ტერიტორიები არავის ადარდებს. **ბოლო რამდენიმე წელიწადია, აფხაზეთისა და ოსეთზე არც კი ლაპარაკობენ.**

სამი წელიწადია, „ოცნება“ ხელისუფლებაშია და, აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების გარდა, ნაბიჯი არ გადაგვიდგამს, რაც ნორმალური არ არის. როდესაც გაქვს ამბიცია, რომ დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა ხარ, შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედო. ჩვენი ინტერესია, უახლოეს მეზობლებთან კარგად ვიყოთ. არ შეიძლება, რუსეთს გამუდმებით უძახო ოკუპანტი, ხოლო თურქეთს — მეგობარი. ხელისუფლებების ლოგიკა არ მესმის.

ახალ მთავრობას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა ტერიტორიების დასაბრუნებლად. ეს კი მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებით არის შესაძლებელი.

რადენი წელიწადია, ამ მდგომარეობაში ვართ, **რამდენ ხანს უნდა ვილაპარაკოთ, რომ ამერიკა უფრო კარგი სახელმწიფოა?! აი, ის უფრო კარგად გვიტირებს დედას.**

**— ბატონო ვასილ, 2013 წელს პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ასეთი რამ თქვა: „ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტს და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებ, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის“.**

**თქვენც ფიქრობთ, რომ მთავრობის წევრები ივანიშვილის კლერკები არიან და რომ ერთი კაცის კომპანიაში ვცხოვრობთ?**

— აბსოლუტურად სწორად არის შეფასებული ქვეყანაში არსებული ვითარება. ალექსანდრე ჭკვიანი კაცია, მას ყველაფერში ვეთანხმები. ჩვენ მართლაც ვცხოვრობთ ბიზნესმენის კომპანიაში, ხოლო მთავრობას მისი „საინტერესო“ ხელისუფალნი მართავენ.

ისინი მართლაც ძალიან „საინტერესოები“ არიან. ქვეყანაში არაფერია სწორად შეფასებული. შეუძლებელია, არ ვთქვა: **ივანიშვილის მოფიქრებული მგონია ეს ახალი სამინისტრო, რომელზეც საუბრობენ, ვგულისხმობ „მთის მინისტრს“. ცოტა ხანში აზრად მოუვათ „პიტალო კლდის“ მინისტრის დანიშვნა, მერე ვერეს ხეობასაც დაუნიშნავენ მინისტრს — „ვერე რეჩკას“ მინისტრი და ა.შ. არადა, საქართველოში ყოველ წელიწადს გაუსაძლისი ყოფისგან სამასი ბავშვი იღუპება, დემოგრაფიული ფონდი ნადგურდება, ძალიან მალე ქართველი აღარ იქნება. მთავრობა კი გვაჯერებს, რომ ვმრავლდებით და მოსახლეობის რიცხვმა იმატაო; დიახ, იმატა, მაგრამ აზერბაიჯანელების ხარჯზე...**

ამ ყველაფრის შემხედვარე, როგორ შეიძლება, ალექსანდრე ჭაჭიას არ დაეთანხმო. ჩვენ მართლაც ვიღაცის შპს-ში ვცხოვრობთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

HOMO HOMINI LUPUS EST
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მგლების თავდასხმის შედეგად სოფლის მოსახლეობა დაშინებულია, დაღუპულია რამდენიმე ადამიანი (ბოლო მონაცემებით — 14), რამდენიმე ათეულმა კი სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. ზარალი მეცხოველეობაში მილიონობით ლარია. შიშით ადამიანი ტყეში ვერ შესულა, მშობლებს ბავშვი სკოლაში ვერ გაუშვიათ! მგელი მოსახლეს ეზოში უვარდება. მტაცებლების შემოსევების გამო მოსახლეობამ სოფლიდან აყრაზე დაიწყო ფიქრი.**

# ვეფხვის მიერ მოკლული ადამიანის გარდა, ზურაბ გურიელიძის, იასონ ბადრიძისა და მათი ამფსონების სინდისზე კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლეა!

**ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, თუ არ ვცდები, ეს რიგით მეექვსე კრიტიკული წერილია, რომელსაც ვუძღვნი სათაურში მოხსენიებულ მეცნიერებს, საქართველოში მობინადრე მგლების „უსტაბაშებს“, მფარველებს და, უბრალოდ, „რუხი“ ყაჩაღების მოსიყვარულე „მამებს“, თუმცა ჯერ გაგაცნობთ ჩემ მიერ ამ თემაზე სხვადასხვა პერიოდში მოპოვებულ ინფორმაციას:**

*****„ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ წახანს მგლები შემოესია. მოსახლეობას უკვე გარეთ გასვლის ეშინია. მგელმა ათეულობით სული პირუტყვი შეჭამა და დაგლიჯა... „ბავშვები შიშით გარეთ ვერ გაგვიშვია, პირუტყვი მგელმა დღისით შეჭამა, თანაც, გაღმა კი არა ან საძოვრებზე, მგელი სოფელში შემოვიდა! ვინმემ დროზე უნდა მიგვხედოს, თორემ, ბავშვებს რომ მგელი დაესხას თავს, ვინ აგებს პასუხს?!“ — ამბობს **სონია ღვინიაშვილი.** სოფელ წახანში 80 კომლი ცხოვრობს. მოსახლეობა, ძირითადად, მესაქონლეობით ირჩენს თავს. თითქმის ყოველ მეორე ოჯახში მგელმა პირუტყვი დაგლიჯა. **შოთა თავაძეს** მგელმა ღორი და ორი ცხვარი შეუჭამა: „მოსაგები ღორი მგელმა ეზოში შემიჭამა. ცხვრები კი ცოტა ქვემოდ მყავდა, შემოღობილში და იქ დაგლიჯა. ტყავმაც კი არ ივარგა! დავრეკე პატრულში, — ამოვალთო. ამოვიდნენ სამი დღის შემდეგ, მაგრამ რა? — მოკლავ და ჯარიმა 500 ლარიაო. ნაკრძალის წითელი მგელიაო და რა ვქნა, აღარ ვიცი“... „ჟორა მინაძეს ცხენი შეუჭამა“, „მერაბ მაცუკაძეს სამი ხბო შეუჭამა“; „რა ვიზარალეთ, ამას არავინ კითხულობს“, — ამბობენ ადგილობრივები“. **(„სამხრეთის კარიბჭე“, 09. 2010 წ.).**

*****„შუახევის რაიონში მგელმა ორი ადამიანი დაკბინა. 77 წლის **კარლო ესერიძეს** მტაცებელი თავს სოფელ თერნალის გზაზე დაესხა. დაკბენილი მამაკაცი, რომელსაც სხეულზე სხვადასხვა სიღრმის რვა ჭრილობა აღენიშნებოდა, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შუახევის რაიონის საავადმყოფოში მოათავსა, სადაც მას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიეს და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარეს. ამჟამად იგი მედიკამენტურ მკურნალობას ბათუმის საავადმყოფოში გადის. ესერიძის დაკბენის შემდეგ 10 წუთში მგელი კიდევ ერთ ადამიანს დაესხა თავს, რომელიც ამჟამად სოფლის საავადმყოფოში მკურნალობს“ **(სააგენტო „პირველი“, 03. 02. 2011წ.).**

***** „სოფელ **ლეხიდრისთავში** ცოტა ხნის წინათ ერთ ოჯახს მგელმა ძროხა შეუჭამა და ღორი დაუგლიჯა. რაიონში მსგავსი ფაქტები ხშირია და მოსახლეობა მგლის მოკვლის უფლებას ითხოვს... ადგილობრივებმა შემზარავი ფაქტიც გაიხსენეს. შარშან, ზამთარში, **სოფელ საჩხეურაში საშუალო ხნის მამაკაცი საკუთარ ეზოში თავისა და ხელის გარეშე იპოვეს.** მათი განცხადებით, ამ ფაქტის გამო მოსახლეობა პანიკაში იყო“ **(„პრესა.ჯი“, 16.09.2011წ.)**

*****„ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანს მგლები შეესივნენ. გუშინ, ღამით, მგლებმა **ვახტანგ ბაიხოძის** 11 ცხვარი შეჭამეს, 15-16 მაისს მტაცებლებმა **შოთა არაბულისა** და **ოთარ ფარეულიძის** 19 ცხვარი შეჭამეს, 3 კი — დაგლიჯეს. მოსახლეობა სოფელში მონადირეების სადღეღამისო მორიგეობის დაწესებას ითხოვს“ **(„მედიანიუსი“, 25.05.2011წ.).**

***** „საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, კახეთის სოფლებში, მგლების თავდასხმები გახშირდა. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი გახმაურებული ინციდენტი სიღნაღში, კერძოდ, სოფელ საქობოში, გასულ წელს მოხდა. მაშინ **მგლებმა 26 წლის გია კაკაშვილი სასიკვდილოდ დაგლიჯეს.** მას შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მოსახლეობა ხელისუფლებისგან შველას ითხოვს, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ“ **(„პრესა.ჯი“, 27.02. 2011წ.).**

*****„სამტრედიის სოფლებში მგლები დღისითაც დანავარდობენ... სოფელ წიაღუბნის დასახლებაში მგლები შინაურ პირუტყვს დაერია. **ბოლო ერთი თვის განმავლობაში ნადირმა სოფელს 70-მდე მსხვილფეხა პირუტყვი, 40 სულამდე თხა, 70-მდე ცხვარი და 60 სულამდე ღორი დაუგლიჯა.** დღის განმავლობაში მგლები გამოჩენას არ ერიდებიან. მტერჩვეულის დასახლებაში, კერძოდ, წიაღის გორებზე არაერთ მგელს იხილავთ. დილით მიმავალ პედაგოგებს მტაცებელი აშინებს, მშობლებს კი ბავშვების სკოლაში გაშვება ეშინიათ... სოფელ წიაღუბნის გარდა, მგლები გურიის ზემო სოფლების საბალახოებზეც ხშირად ჩნდებიან. მგელი კიდევ რამდენიმე სოფელში არხეინად დადის. **გომი, გომნატეხები, ნაწილოფეთი, ოფეთი, მტერჩვეული, წიაღუბანი, თხილაგანი და სურები ის სოფლებია, რომელთა მოსახლეობას მგლებმა დიდი ზარალი მიაყენეს.** სოფლის მცხოვრებნი დახმარებას ითხოვენ და ამბობენ: თუ ყურადღებას არავინ მოგვაქცევს, სოფელი გადაშენების პირას მივა“ **(„ივერონი“, 24.04.2014წ.).**


ზურაბ გურიელიძე

**მივმართავ ბატონ ზურაბ გურიელიძეს — ახლახან, როდესაც ვეფხვმა ყელი გამოღადრა ადამიანს, ამ ტრაგედიის მთავარ დამნაშავედ თქვენი თავი გამოაცხადეთ, მაგრამ რატომ არ სცნეთ თავი დამნაშავედ 2005 წელს, როდესაც მგელმა იმსხვერპლა დუშელი ბიჭუნა გიორგი ბადაგაძე? რატომ არ დაიყარეთ თავზე ნაცარი, როდესაც სოფელ საჩხეურაში მეზობლებმა ნახეს თავ და ხელმოჭმული მარკოზ მანაგაძის ცხედარი?**

*****„ხრამის ხეობის მოსახლეობას მგელმა პრობლემა შეუქმნა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გახშირდა მსხვილფეხა საქონელზე თავდასხმის ფაქტები, რამაც ათამდე ოჯახს დიდი ზიანი მიაყენა. 20 მარტის შემდეგ სოფელ დისველში შინაური პირუტყვის დაგლეჯვის ცხრა შემთხვევა აღირიცხა. ადგილობრივები დახმარებას ითხოვენ. „სოფლის ერთადერთი შემოსავალი მესაქონლეობაა, წელს კი მგელი შეეჩვია საქონელს. აღარც მოსახლეობას ერიდება, საღამოს გარეთ გამოსვლის გვეშინია. დახმარებას ვითხოვთ, რადგან კანონით დაუშვებელია ჩვენი ძალებით გავანადგუროთ ნადირი; მაშინ გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოყოს მონადირეების სპეციალური ჯგუფი, რომ დახოცონ მგლები. ზარალს აღარავინ აგვინაზღაურებს, მაგრამ როდემდე შეიძლება შეჭამოს მგელმა საქონელი?“ — აცხადებენ დისველის მცხოვრებლები“ **(გაზეთი „ბოლნისი“, 27.03.2015წ.)** და ა.შ, და ა.შ.

როგორც დარწმუნდით, **მგლების თავდასხმის შედეგად სოფლის მოსახლეობა დაშინებულია, დაღუპულია რამდენიმე ადამიანი (ბოლო მონაცემებით — 14), რამდენიმე ათეულმა კი სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. ზარალი მეცხოველეობაში მილიონობით ლარია, შიშით ადამიანი ტყეში ვერ შესულა, მშობლებს ბავშვი სკოლაში ვერ გაუშვიათ! მგელი მოსახლეს ეზოში უვარდება. მტაცებლების შემოსევების გამო მოსახლეობამ სოფლიდან აყრაზე დაიწყო ფიქრი.** მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ საზოგადოებრივმა არხმა გადასცა სიუჟეტი გურჯაანის რაიონის სოფელ ფხოველიდან. მოხუცმა ქალმა თქვა, რომ 5 ღორი მყავდა და ისინიც მგელმა შემიჭამაო, შემდეგ დაგლიჯა ვირი და ჩოჩორიც ზედ მიაყოლაო. სოფლის გამგებელმა ბესო ნიბლაძემ განაცხადა, სოფელში 15 კომლიღა დარჩა და ისინიც აყრას აპირებენო... და ყველა შემთხვევაში ადამიანები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, **ის, რასაც ჩვენში მგლები სჩადიან, გარემოს დაცვის სამინისტროს „დამსახურებაა“.**

2003 წელს გარემოს დაცვის **იმჟამინდელ მინისტრ ნინო ჩხობაძეს გაეგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების კომისიის დასკვნა, რომელშიც ითხოვდა:**

**1. შექმნილიყო ბოლო ორ წელიწადში მგლის მიერ მიყენებული ზარალის დამდგენი კომისია; 2. შექმნილიყო ჩლიქოსან გარეულ ცხოველთა და მგლის რიცხოვნობის დამდგენი კომისია; 3. გამონახულიყო სახსრები ამ კომისიების მუშაობისთვის; 4. მგლის რიცხოვნობის დასაშვებ ფარგლებზე ზევით ზრდის შემთხვევაში, მომხდარიყო მისი რიცხოვნობის რეგულირება მსხვერპლის რიცხოვნობასთან დასაშვები თანაფარდობის შესაბამისად, რაც მიღებული და აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში; 5. გაუქმებულიყო მგლის მოკვლისთვის ნებართვის (ლიცენზიის) აღების აუცილებლობა და მისი უნებართვო მოკვლისთვის ჯარიმა (400 ლარი) და სანადირო იარაღის ჩამორთმევა.**

ქალბატონმა ჩხობაძემ კი პატივცემული მეცნიერების საკრებულო (კომისია) პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა.

მიზეზი? — იმხანად გარემოს დაცვის სამინისტროში, **იასონ ბადრიძის** გარდა, კიდევ ორი ზოოლოგი მუშაობდა — **ირაკლი მაჭარაშვილი** და თბილისის ზოოპარკის ამჟამინდელი დირექტორი **ზურაბ გურიელიძე,** რომლებიც ბატონ ბადრიძესთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესსაც“ ხელმძღვანელობდნენ. **იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში იყო მეცნიერებათა აკადემია, ზოოლოგიის ინსტიტუტი, უნივერსიტეტი და „მონკავშირი“, გარემოს დაცვის სამინისტრომ გარეულ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებში მთავარ კონსულტანტად რატომღაც „ნაკრესი“ აირჩია.** რატომ? — „ნაკრესმა“ ძირითად საქმიანობად გამოაცხადა „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა დაცვისა და აღდგენის მეთოდების შემუშავება“. 1997-2000 წლებში „ნაკრესმა“, ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) ერთად, რომელშიც გარემოს დაცვის იმჟამინდელი მინისტრის — ნინო ჩხობაძის მეუღლე **მალხაზ ძნელაძე** მოღვაწეობდა, განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა „მგლის, როგორც საკვანძო სახეობის კონსერვაციას“, ანუ, უფრო გასაგებად — მგლის დაცვას. **საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება კითხვა — რატომ არ აირჩია „ნაკრესის“ ხელმძღვანელობამ საკონსერვაციოდ ჩვენთან გადაშენების პირას მისული, მაგალითად, ჯიხვი ან ჯიქი, ან ნიამორი, ან ფსიტი, ან კავკასიური ირემი და ა.შ., და აირჩია მგელი, რომლის რაოდენობა, 1989 წლის მონაცემებით, 3 590 იყო, ანუ ზემოჩამოთვლილი ცხოველების საერთო რაოდენობაზე საგრძნობლად მეტი?!**

რატომ?

ჟურნალ **„ცხელ შოკოლადში“ (2008 წლის №41, აგვისტო — სექტემბერი)** გამოქვეყნდა წერილი „ბიძია ზურას ქოხი“. მისი ავტორი გვიყვება ისეთ ამბავს, რომლის სიმართლეში ბავშვიც კი დაეჭვდებოდა! კერძოდ, აღწერილია გასული საუკუნის 90-იანი წლები. პატარა ნაქირავები ტერიტორია ზოოპარკში. 100 კვ. მეტრი გალია. გალიაში მშიერი მგლები. გალიის გარეთ ცეცხლი. ცეცხლის გარშემო კუნძები და ამ კუნძებზე დრუიდებივით წამომჯდარი, მგლებზე არანაკლებ მშიერი ბატონები: **იასონ ბადრიძე, ზურაბ გურიელიძე, გია თოდუა, ლევან ბუთხუზი** და **გიგი თევზაძე** — ე.წ. ილიაუნის ახლანდელი რექტორი; ჰოდა, მუშაობენ ეს ბრძენნი საქართველოში თავზესაყრელი, ანუ ყველაზე მრავალრიცხოვანი ცხოველის — მგლის ▶

HOMO HOMINI LUPUS EST

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქალბატონმა ჩხობაძემ პატივცემული მეცნიერების საკრებულო (კომისია) პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. მიზეზი? — იმხანად გარემოს დაცვის სამინისტროში, იასონ ბადრიძის გარდა, კიდევ ორი ზოოლოგი მუშაობდა — ირაკლი მაჭარაშვილი და თბილისის ზოოპარკის ამჟამინდელი დირექტორი ზურაб გურიელიძე, რომლებიც ბატონ ბადრიძესთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესსაც“ ხელმძღვანელობდნენ.

◀ (არ წაიქცეთ!) აღდგენის მეთოდიკაზე! ფიქრობენ ზაფხულის საშინელ ცხელ დღემდე, როდესაც მუდმივი უჭმელობისგან დისტროფიამდე მისული გიგი თევზაძე მგლის გალიის წინ ბლაგვი ნაჯახით ჩეხავს მკვდარი ცხენის უზარმაზარ ბარკალს...

ახლა მოვუსმინოთ ბატონ **ლევან ბუთხუზს:** „სწორედ ამ დროს ვიღაც ქალი მოადგა ამ ბადეს და მოძვრება... ღობეზე გადმოვაძვრინეთ და ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიპატიჟეთ. გაგვეცნო: სოციოკულტურონთროპოლოგი ვარო. ჩემი ქმარი არქიტექტორია, საქართველოში საქმეზე ჩამოვიდა და მეც ჩამოვყევიო, საკვებს ვიკვლევ და ამიტომ მოვედი ზოოპარკში... მერე ჩვენი საქმიანობით დაინტერესდა, ისიც გვითხრა, ვის რაში სჭირდება თქვენი დისერტაცია, შიმშილით იხოცებითო... კარგი, ამ საქმეს მივხედავ, როგორმე დაფინანსებას გიშოვითო. ჩავთვალეთ, რომ გიჟია“.

არა, **ქალბატონი მერი ელენ ჩეტვინი გიჟი არ აღმოჩნდა. მან შვეიცარიაში კავკასიური მგლის გადარჩენის ფონდი დააარსა, „ქართველი“ მგლები შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ და სამეცნიერო მუშაობა არ შეწყვეტილიყო. 1994 წლამდე „ნაკრესი“ ამ ფონდზე იყო დამოკიდებული“, შედეგად, იასონ ბადრიძის პირმშო — „ნაკრესი“ არ დაშლილა. ასე იქცა ნაკრესელებისთვის „ღობიდან გადმომძვრალ მფარველ ანგელოზად“ რესპექტაბელური შვეიცარიელი ქალბატონი ჩეტვინი...**

„ნაკრესმა“ 1997 წელს შვეიცარიელებისგან მიიღო გრანტი „მგლის კონსერვაციისთვის“. საგულისხმოა, რომ **იმ წელს თვითონ შვეიცარიაში არც ერთი მგელი არ ბინადრობდა, ხოლო გარეული ჩლიქოსნების რაოდენობით ეს, საქართველოზე ლამის ორჯერ პატარა, ქვეყანა ასჯერ მეტად გვისწრებდა — 22 ათასი ირემი და 109 ათასი შველი... რით მოხიბლა შვეიცარიელები კავკასიურმა მგელმა და სინამდვილეში რა ინტერესი ამოძრავებდათ მათ, ჩემთვის უცნობია, მაგრამ „ნაკრესის“ მამოძრავებელი სტიმული უდავოდ ფული იყო იმიტომ, რომ მგელი იმ წლებში (და ახლაც) ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ცხოველი იყო საქართველოში და მას დასაცავი და გადასარჩენი არაფერი სჭირდა!**

„ნაკრესს“ მხოლოდ გრანტი რომ აელო და ამით დაკმაყოფილებულიყო, პირში წყალს ჩავიგუბებდი: ქართველო კაცო, ილხინე ევროპელების ხარჯზე, მაგ წუწურაქებს კაკალიც რომ გააგდებინო, ცხონდები! ოღონდაც, უაზრო გრიალში არ გაფანტო; თუ საზოგადოებას არა, ოჯახს მაინც მოახმარე მოპოვებული! მაგრამ, **უბედურება არის ის, რომ გურიელიძის, ბადრიძისა და სხვათა ზეგავლენით, გარემოს დაცვის სამინისტრომ უზომოდ მომრავლებული მგელი, მისი რაოდენობის რეგულირების ნაცვლად, ფაქტობრივად, მფარველობის ქვეშ აიყვანა და ამით ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მატერიალურ კეთილდღეობას დიდი ზიანი მიაყენა!**


იასონ ბადრიძე

**რით ხსნიან ეს „გრანტიჭამია მგლები“ ასეთი საზიანო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას? — სიცრუით, ფაქტების ფალსიფიკაციითა და ცრუთეორიებით!** მაგალითად, მგლის გულის „მესაიდუმლე“, ბატონი ბადრიძე ბრძანებს: **„მგლის გარეშე მისი ყველა მსხვერპლი-ცხოველი დეგრადირდება“** (ჟურნალი „პირველი“, 002 წ., №4 გვ. 56).

ჰმ... **დიდი ბრიტანეთის კუნძულზე უკანასკნელი მგელი მე-18 საუკუნეში მოკლეს. მას შემდეგ ირმის ისეთი „დეგრადაცია“ დაიწყო, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებისთვის მათმა რაოდენობამ 270 ათასი შეადგინა. შემდეგ ეს ბადრიძისეული „დეგრადირება“ ისე გაგრძელდა, რომ დღეისათვის ირმების რაოდენობამ თითქმის 400 ათასს მიაღწია!** შოტლანდიაში მათი მასა სელექციის მეშვეობით 1,5-ჯერ გაიზარდა, დღეს იქ ევროპელი მონადირეები სარეკორდო რქების მქონე ირმების მოსანადირებლად ჩადიან! ესაა „პიკასოს ბიჭი“... ბოდიში, ესაა, ბატონო იასონ, დეგრადაცია? ღმერთმა არ მოუშალოს ირმებს ასეთი „დეგრადაცია“!

**იმის გამო, რომ აღარ ხდებოდა მგლის რიცხოვნობის რეგულირება (წელიწადში 500 ერთეულის ლიკვიდაცია), ამ მტაცებლის რაოდენობამ კატასტროფულად მოიმატა. მგელი გამოჩნდა რეგიონებში, სადაც კარგა ხანია, უკვე აღარ ბინადრობდა (იმერეთი, გურია, სამეგრელო) თავისი მეტად სავალალო შედეგებით.**

**მივმართავ ბატონ ზურაბ გურიელიძეს: ახლახან, როდესაც ვეფხვმა ყელი გამოღადრა ადამიანს, ამ ტრაგედიის მთავარ დამნაშავედ თქვენი თავი გამოაცხადეთ, მაგრამ რატომ არ სცნეთ თავი დამნაშავედ 2005 წელს, როდესაც მგელმა იმსხვერპლა დუშელი ბიჭუნა გიორგი ბადაგაძე? რატომ არ დაიყარეთ თავზე ნაცარი, როდესაც სოფელ საჩხეურაში მეზობლებმა ნახეს თავი და ხელმოჭმული მარკოზ მანაგაძის ცხედარი?**

რატომ? ა-ა, გასაგებია. ამ ტრაგედიებმა ისე არ იქუხა, როგორც „ლაგუნა ვერეზე“ მომხდარმა, არა? ცრემლი ვის გამო წაგსკდათ? ნუთუ დაღუპული ლომების, ვეფხვებისა და აფთრების გამო? არა! „დედუქციური ალღო“ მკარნახობს — დაღუპულ მგლებზე...

ახლა, ბატონო ზურაბ, ვაქვეყნებ თქვენი და თქვენი თანამოაზრეების „მეცნიერული“ ავანტიურის მსხვერპლთა სიას:

**1. გიორგი ბადაგაძე,** 12 წლის, 2005 წლის სექტემბერი („კვირის პალიტრა“, 2005 წლის 26 სექტემბერი); **2. მამაკაცი ცხინვალიდან**, რომელსაც ცოფიანმა მგელმა თავზე უკბინა. ჩამოიყვანეს თბილისში („რეზონანსი“, 2008 წლის 9 ნოემბერი); **3.** ხანში შესული ქალი გვარად **მარგებაძე**. საგარეჯოს რაიონი, სოფელი გიორგიწმინდა („ახალი თაობა“, 2009 წლის 21 თებერვალი); **4. ვერა ფაზუაშვილი**, დუშეთის რაიონი, სოფელი ქაისხევი (ინფორმატორი — მისი ვაჟი, ვალერი ფაზუაშვილი); **5. გია კაკაშვილი,** 26 წლის, სოფელი საქობო („კვირის პალიტრა“, 2010 წლის 8 თებერვალი); **6. მწყემსი.** გურჯაანის რაიონი, „ნავთისხევი,“ ინფორმატორი — თემურ ქოჩლაშვილი (2012 წლის 10 აპრილი, „იმედი“, ქრონიკა 8:00 საათი. „პირველი არხი,“ 9:00საათი); **7. მამაკაცი.** გურჯაანი (2012 წლის 8 თებერვალი, „იმედი“, ქრონიკა, 9:00 საათი); **8. გიგა ელიზბარაშვილი**, 17 წლის, სოფელი ვაჩნაძიანი („ახალი თაობა“, 2010 წლის 21 ოქტომბერი); **9. მარკოზ მანაგაძე**, სოფელი საჩხეურა, 2011 წლის მარტი (ამონაწერი ინტერნეტიდან, „მთელი საქართველო“); **10. სკოლის დარაჯი,** სურამი (რადიო „მაესტრო“, 2013 წლის 16 ნოემბერი); **11. პატარა ბიჭი,** სოფელი ყაურმა. ინფორმატორი — ჟურნალისტი არჩილ ქიქოძე; **12. ვიაჩესლავ ბრუშკოვი,** სამტრედია („ქრონიკა“, 2015 წლის 2 თებერვალი); კიდევ დაღუპულია ორი ადამიანი აჭარაში. მათ შესახებ მასმედიას ინფორმაცია ჯერ არ გაუვრცელებია.

**გიორგი კორძაძე**

**გურიელიძის, ბადრიძისა და სხვათა ზეგავლენით გარემოს დაცვის სამინისტრომ უზომოდ მომრავლებული მგლები, მისი რაოდენობის რეგულირების ნაცვლად, ფაქტობრივად, მფარველობის ქვეშ აიყვანა და ამით ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მატერიალურ კეთილდღეობას დიდი ზიანი მიაყენა! რით ხსნიან ეს «გრანტიჭამია მგლები» ასეთი საზიანო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას? — სიცრუით, ფაქტების ფალსიფიკაციითა და ცრუთეორიებით!**



**იმ წელს შვეიცარიაში არც ერთი მგელი არ ბინადრობდა, ხოლო გარეული ჩლიქოსნების რაოდენობით ეს, საქართველოზე ლამის ორჯერ პატარა, ქვეყანა ასჯერ მეტად გვისწრებდა — 22 ათასი ირემი და 109 ათასი შველი... რით მოხიბლა შვეიცარიელები კავკასიურმა მგელმა და სინამდვილეში რა ინტერესი ამოძრავებდათ მათ, ჩემთვის უცნობია, მაგრამ „ნაკრესის“ სტიმული უდავოდ ფული იყო იმიტომ, რომ მგელი იმ წლებში (და ახლაც) ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ცხოველი იყო საქართველოში და მას დასაცავი და გადასარჩენი არაფერი სჭირდა!**



## იარაღის ლეგენდარულმა კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა

**იარაღის ლეგენდარულმა კომპანია „კოლტმა“ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, — წერს გაზეთი „ფაინენშელ თაიმსი“. სტატიაში 179 წლის კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადების მიზეზად დასახელებულია მის პროდუქციაზე მოთხოვნის სტაგნაცია და გაჭიანურებული სახელმწიფო შეკვეთები. ლაპარაკია კომპანიაზე, რომლის იარაღმაც „თავის დროზე დასავლეთი დაიპყრო“.**

კონექტიკუტის შტატში დაფუძნებულმა კომპანიამ დელავერის შტატის სასამართლოში მას შემდეგ შეიტანა განაცხადი გაკოტრების შესახებ, რაც მისმა აქციონერებმა არ მიიღეს კომპანიის შეთავაზება კრედიტორებისგან დამატებით უპირატესი სესხის მიღებაზე. ეს დამატებითი სესხი 20 მილიონ დოლარს შეადგენდა სანაცვლოდ კომპანიის რესტრუქტურიზაციისა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს ჩარევის გარეშე. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 355 მილიონი დოლარის ოდენობის ვალით დამძიმებულ „კოლტს“ პრობლემები შეექმნა თავის მიმწოდებლებთან.

„კოლტის“ ისტორია 1830-იან წლებში დაიწყო, როცა სემუელ კოლტმა ამერიკაში გახსნა თავისი იარაღის პირველი მაღაზია და ცოტა ხნის შემდეგ პირველი რევოლვერები აწარმოა. მეოცე საუკუნეში კომპანიის ბიზნესი ყვაოდა, რომელსაც ხელი შეუწყო იარაღის შესყიდვებზე სარფიანმა კონტრაქტებმა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან. კომპანია აწარმოებდა ისეთ ცნობილ იარაღს, როგორიცაა M-16-სა და M-4 შაშხანები, რომლებსაც საომარი მოქმედებებისას ფრონტის წინა ხაზზე იყენებენ.

ზემოაღნიშნული კონტრაქტები დასრულდა 2013 წელს, ამას სირთულეების სახით დაემატა ნაწარმზე სახელმწიფო და უცხოეთიდან ახალი შეკვეთების მიღების გაჭიანურება და კომპანიის მიმწოდებლებთან გაჩენილი პრობლემები. გარდა ამისა, გასაღების ბაზარზე სულ უფრო მზარდია მოთხოვნა სპორტულსა და კომერციულ იარაღზე. ყველა ამ ფაქტორმა მძიმედ დაარტყა „კოლტის“ ბიზნესს და შარშან 30 პროცენტით შეამცირა გაყიდვა. შედეგად გასული თვის ბოლოს კომპანიის რეზერვმა მხოლოდ 11 მილიონი დოლარი შეადგინა.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა არც კი იცის, სად მდებარეობს ე.წ. პრეზიდენტის სასახლე ზუგდიდში, რომლის აშენებაც კოლოსალური თანხა დაჯდა.**

# რა დანიშნულება აქვს პრეზიდენტის სასახლეს ზუგდიდში?

**ათიოდე წლის წინათ საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ზუგდიდში ბოტანიკურ ბაღთან, პოლიტექნიკური კოლეჯის ტერიტორიაზე, აშენდა პრეზიდენტის სასახლე — „მეგრული ოდა“.**

2005 წელს პოლიტექნიკური კოლეჯის ხელმძღვანელობამ განათლების სამინისტროდან მიიღო შეტყობინება კოლეჯის ტერიტორიიდან პრეზიდენტის რეზიდენციის ასაშენებლად 3410 კვ.მ ფართობის დათმობის თაობაზე. კოლეჯმა ეს ფართობი იმ პირობით დათმო, რომ სახელმწიფო აუნაზღაურებდა იმ უძრავი ქონების საფასურს, რომელიც განადგურდა რეზიდენციის მშენებლობისას.

ეს იყო სასწავლო სახელოსნოები, სპორტული კომპლექსი, საქვაბე და სხვ. თუმცა კოლეჯისთვის არავის არაფერი აუნაზღაურებია, უფრო მეტიც, ორი წლის შემდეგ კოლეჯი გააუქმეს და უკვე შვიდ წელზე მეტია, პოლიტექნიკური კოლეჯის 4333 კვ.მ ფართობის მქონე ოთხსართულიანი შენობა, რომლის მეპატრონე ეკონომიკის სამინისტროა, გაპარტახებული და გაჩანაგებულია.



რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლეს, ის კოლეჯის მიერ დათმობილ ფართობზე მოკლე ხანში აშენდა. ამ რეზიდენციას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარებაში. ამ „მეგრულ ოდაში“ აფხაზეთის საკითხებზე უნდა გამართულიყო შეხვედრები ენგურს გაღმელ-გამოღმელებთან, თუმცა ეს იდეა იდეად დარჩა და მიხეილ სააკაშვილი ორჯერ თუ სამჯერ ეწვია მხოლოდ ამ სასახლეს, ხოლო 2008 წლის შემდეგ, როცა ამ სასახლეში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი სერგეი ჩაბანი დაბანაკდა ცოტა ხნით, მიხეილ სააკაშვილი ამ სასახლეს საერთოდ აღარ გაჰკარებია. მისი გაყიდვის თაობაზე ბრძანებაც კი გასცა, მაგრამ ისეთი ფასი დაადო, მყიდველი დღემდე არ გამოჩენილა.

**საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა არც კი იცის, სად მდებარეობს ე.წ. პრეზიდენტის სასახლე ზუგდიდში, რომლის აშენებაც კოლოსალური თანხა დაჯდა. სასახლე დღემდე უფუნქციოდაა და 10 წელია, მის მოსავლელად მომსახურე პერსონალს ბიუჯეტიდან დიდძალი თანხა ერიცხება. რატომ და რისთვის იხდიან ამ თანხებს, გაუგებარია. ასევე გაუგებარია თვით ამ ე.წ. სასახლის დანიშნულებაც, რომელიც ასევე ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაშია.**

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მესვეურები ცდილობენ, „მეგრული ოდა“ დაათმობინონ ეკონომიკის სამინისტროს და იქ ზუგდიდელებისთვის მნიშვნელოვანი დანიშნულების ობიექტები განათავსონ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

# «რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს»




**„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“, — ეს სიტყვები ქართული ენისადმი უდიერმა დამოკიდებულებამ ათქმევინა გამოჩენილ ქართველ პოეტ გრიგოლ ორბელიანს XIX საუკუნეში. XXI საუკუნეშიც მძიმე განსაცდელშია ჩვენი მშობლიური ენა, რომელსაც არც სააკაშვილის ხელისუფლება სწყალობდა და არც ამჟამინდელი ხელისუფლება.**

სახელმწიფო ენის ხელშეწყობის, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და ენის ნორმათა დამკვიდრების მიზნით, 1997 წელს საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტი, ბატონი **ლევან ღვინჯილია.** პრეზიდენტს დაქვემდებარებულმა ამ სტრუქტურამ, რომელიც მართლაც ქმედუნარიანი იყო, მხოლოდ შვიდი წელი იარსება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ენის პალატა ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს, ხოლო მოგვიანებით, საერთოდ გააუქმეს.

ათ წელზე მეტია, დღის წესრიგში დგას ენის პალატის აღდგენის ან თუნდაც ანალოგიური სტრუქტურის შექმნის საკითხი, მაგრამ ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.




საქართველოში, ქართული, ეროვნული, სახელმწიფო ენა სრულიად დაუცველია. **ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა აფხაზურიც, ამიტომ აფხაზებთან დასაახლოებლად, მათ ჩვენკენ შემოსაბრუნებლად აუცილებელია ქართული და აფხაზური ენების დამცავი სტრუქტურის შექმნა, ხელისუფლება კი რატომღაც აფერხებს, აჭიანურებს ასეთი უწყების შექმნას.** არადა, ამისთვის მიზერული თანხის გამოყოფაა საჭირო ბიუჯეტიდან.

**ქართული ენის გასაცოდავებულ მდგომარეობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით კოლხეთის უძველეს მიწაზე. ზუგდიდში განსაკუთრებით თვალში საცემია, შენობების ფასადებზე გაკრული აბრები, ბანერები, რეკლამები და ა.შ. მათზე უპირატესობა, ქართულთან შედარებით, ენიჭება ინგლისურ ენას, უფრო მეტიც — ქართული წარწერა ბევრგან საერთოდ არ არის.** ამის თაობაზე თხოვნით მივმართე ზუგდიდის საკრებულოს, მერიას, ქართული ენის რაიმე დამცავი მექანიზმის შექმნამდე, თავიანთი ძალებით ეზრუნათ ქართული ენის დაცვაზე. იდეა მოეწონათ, დაპირებაც იყო, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია, არადა, ამის შესაძლებლობა და სახსრები ნამდვილად აქვთ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი



# «ლაგუნა ვერეს» აღდგენა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს ხელეწიფება

**13 ივნისის ღამეს მომხდარ ტრაგედიაზე ლაპარაკისას მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, ვერეს ხეობაზე, ზოოპარკზე, სვანიძის ქუჩასა და ახალდაბასთან ჩამოწოლილ მეწყერზე კეთდება.
ზარალი 100 მილიონ ლარზე ბევრად მეტიაო, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ხადურმა.**

ამ ფონზე „ლაგუნა ვერეს“ იავარქმნა მეორე პლანზე გადავიდა, მაგრამ ზარალი, რომელიც ამ უნიკალურმა სპორტულმა კომპლექსმა განიცადა, არნახულად დიდია.

**საქართველოს დედაქალაქის მოქალაქეთა სახელით თავს უფლებას ვაძლევთ, მივმართოთ ბიძინა ივანიშვილს: თქვენ ერთხელ უკვე გადაარჩინეთ „ლაგუნა“, როცა იგი ხელიდან გამოსტაცეთ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს. დადგა დრო, კვლავ ითავოთ ამ კომპლექსის აღდგენის საქმე.**

თქვენი კეთილშობილება კიდევ ერთხელ დაადასტურეთ, როცა განაცხადეთ, რომ 13 ივნისის ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციოდ მზად ხართ; იქ, სადაც მთავრობა ვერ გასწვდება, საკუთარი სახსრებით დაეხმაროთ ხელისუფლებას.

ამ განცხადების გაკეთებისას თქვენ მოიშველიეთ ანდაზა — ზოგი ჭირი მარგებელიაო. ეს ხალხური სიბრძნე ზედგამოჭრილია „ლაგუნაზე“, რომელიც წელიწად-ნახევარი კაპიტალური რემონტის მოლოდინში იყო.

მოგმართავთ თხოვნით და ვიმედოვნებთ, რომ არ აღმოვჩნდებით იმ წყალწაღებულის მდგომარეობაში, რომელიც ხავსს ეჭიდებოდა. სხვას არავის ხელეწიფება ამ კეთილშობილური საქმის გაკეთება!

**საინიციატივო ჯგუფი**



**საქართველოს სავაჭრო-სატრანსპორტო ფლოტის გენერალურ დირექტორად მიხეილ სააკაშვილმა დანიშნა ვინმე დოქბაია, რომლის კავშირი ფლოტთან იმით გამოიხატებოდა, რომ იგი ფოთის პორტში ჯერ მზარეულად, შემდეგ კი კომკავშირის მდივნად მუშაობდა. ფლოტის საბაზრო ღირებულებას 360 მილიონი დოლარი შეადგენდა, მან კი, პრეზიდენტის ნებართვით, გემები სასაცილო თანხად, 60 მილიონ დოლარად, გაყიდა, თუმცა, ეს ფულიც სად გაქრა, არავინ იცის. ასევე არავის შეუძლია თქვას, სად წავიდა ფოთის პორტში ბაზირებული საოკეანო-სარეწაო ფლოტის გემების გაყიდვით მიღებული ფულიც — დაახლოებით 100 მილიონი დოლარი.**

უცხოური მედია საქართველოზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თბილისში ადამიანები და ზოოპარკის ცხოველები მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარიზმის მსხვერპლნი გახდნენ

The Christian Science Monitor

**ავტორი სტატიისა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ, არის ბრიტანელი ბიზნესმენი, ბათუმში დაბადებული ვიაჩესლავ კოლოდიაჟნი. მან უკრაინის ქალაქებში — ოდესასა და ნიკოლაევში — მრავალი ბიზნესპროექტი განახორციელა.**

თბილისში მდინარე ვერეს ხეობის განაშენიანება, სადაც ამას წინათ კატასტროფული წყალდიდობა მოხდა, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებში მისი პირადი განკარგულებით, სპეციალისტების აზრის გაუთვალისწინებლად განხორციელდა. საქართველოს ყოფილ ლიდერს ახლა თავისი ექსპერიმენტები ოდესის ოლქში გადააქვს.

**როცა თბილისის დატბორილ-განადგურებულ ზოოპარკის მდგომარეობის ამსახველ ფოტოებს ვუყურებ, ჰოლივუდის ფილმი „ჯუმანჯი" მახსენდება: იქაც ადამიანები და ცხოველები კოშმარული თამაშების მსხვერპლნი გახდნენ და შიშისაგან ქუჩაში გაიფანტნენ... განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „ჯუმანჯიში" ეს ყველაფერი დადგმული იყო, თბილისში კი — ნამდვილად მოხდა.**

**ადამიანები და ცხოველები იმ „თამაშების" მსხვერპლნი გახდნენ, რომელსაც ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის სამშობლო საქართველოში ახორციელებდა და, რომლებსაც, ეჭვი არავის შეეპაროს, ოდესაშიც განაგრძობს.**

თავის დროზე თბილისელი არქიტექტორები, მშენებლები და მეცნიერები ერთხმად ეწინააღმდეგებოდნენ ქალაქის იმ ნაწილში დაგეგმილ მშენებლობას, რომელიც ამ დღეებში წყალმა დაფარა. არ შეიძლება ჭირვეული მდინარე ვერეს მილში მომწყვდევაო,— ამბობდნენ, მაგრამ რა გამოვიდა? — ზოგიერთი, ვინც ხელისუფლების გეგმას მხარს არ უჭერდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს, სხვების აზრი კი ფეხებზე დაიკიდეს. მდინარე კვლავ მილებში დატოვეს, მათ ზემოთ კი, პრეზიდენტის მითითებით, მოედნები გაშენდა, გზა გაიყვანეს და ძეგლი ააგეს. ახლა პროკურატურა სწორედ ამ პროექტის ბიზნესმოდელში გარკვევას შეეცდება. მას პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაავალა, ყველა დამნაშავეს დააკისროს პასუხისმგებლობა, ვინც უნდა იყოს ის.




**სპეციალისტების აზრისა და პოზიციების გაუთვალისწინებლობა, თანამდებობებზე ადამიანების პირადი ერთგულების პრინციპით დანიშვნა, სიხარბე, სხვაგვარად მოაზროვნეთა რეპრესიები — აი, ასეთია „ვარდების რევოლუციის" ლიდერის მმართველობის სტილი.**

ერთი მაგალითი, რომელიც ძალიან კარგად ვიცი:

**საქართველოს სავაჭრო-სატრანსპორტო ფლოტის გენერალურ დირექტორად მიხეილ სააკაშვილმა დანიშნა ვინმე დოქბაია, რომლის ფლოტთან კავშირი იმით გამოიხატებოდა, რომ იგი ფოთის პორტში ჯერ მზარეულად, შემდეგ კი კომკავშირის მდივნად მუშაობდა. ფლოტის საბაზრო ღირებულებას 360 მილიონი დოლარი შეადგენდა, მან კი, პრეზიდენტის ნებართვით, გემები სასაცილო თანხად — 60 მილიონ დოლარად გაყიდა, თუმცა, ეს ფულიც სად გაქრა, არავინ იცის. ასევე არავის შეუძლია თქვას, სად წავიდა ფოთის პორტში ბაზირებული საოკეანო-სარეწაო ფლოტის გემების გაყიდვით მიღებული ფულიც — დაახლოებით 100 მილიონი დოლარი.**

საქართველოში ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილი ყოველი ასეთი ოპერაციიდან საკომისიოს, „ოტკატკის" სახით, სულ ცოტა, 10%-ს იღებდა (საქართველოს „განვითარებაში" შეტანილი წვლილისთვის). **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ათი წლის განმავლობაში ქვეყანამ 13 მილიარდი დოლარის კრედიტი აიღო, მაშინ იოლია იმის წარმოდგენა, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორსა და მის ქართულ გარემოცვას აქაური ხელფასი იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც მიმალვა ქართული თემიდისგან. მიხეილ სააკაშვილის აღებული კრედიტები კი ქართველი ხალხის გადასახდელია.**

ვფიქრობ, მდიდარი ოდესის ოლქი ქართველი გუბერნატორისათვის ახალი შესაძლებლობების ადგილია... მკითხავი და წინასწარმეტყველი არ სჭირდება იმას, რომ სააკაშვილი მალე დააყენებს ოდესის ნავსადგურის პრივატიზების საკითხს, გაყიდის იუჟნისა და ილიჩევსკის პორტებს, იქ არსებულ ქარხნებს. გუმანით ვხვდები, რომ მათზე უკვე უჭირავს თვალი ვიღაც-ვიღაცებს და მალე ხელში ჩაიგდებენ.

დავიჯერო, ოდესელებს სძინავთ?! დავიჯერო, დააშინეს თუ განგებ იბრმავებენ თვალს?! თუ განგებ იბრმავებენ, მათ ეს საქციული უკან დაუბრუნდებათ. მიხეილ სააკაშვილის გამოცდილებას ადამიანთა დაშინებასა და დევნაში საქართველოში კარგად იცნობენ, ხოლო მისი დიდი მიღწევების მეთოდებმა თავისი ნაყოფი ამ დღეებში თბილისში გამოიღო.

ასე რომ, ახლა ოდესელებიც უნდა მოემზადონ.

**RUSSIA INSIDER**
**(აშშ/რუსეთი)**

**მომზადებულია გლობალური კვლევების ცენტრის მიერ**

# ისტორია განმეორდა

**13 ივნისს, ღამით, საშინელი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს თბილისს — მთიდან მოწყვეტილმა ნიაღვარმა, მდინარე ვერემ დედაქალაქის ერთი უბანი თითქმის მთლიანად წალეკა და საშინელ ნგრევასთან ერთად ადამიანების მსხვერპლი გამოიწვია.**



ტრაგედია ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა და მოვლენები ისე ელვისებურად განვითარდა, რომ ადამიანები საშინელი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელსაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და უზარმაზარი მატერიალური ზარალი, რომელმაც წინასწარი გამოთვლებით 100 მილიონს გადააჭარბა. ამ ტრაგედიაში ყურადღება მიიქცია ერთმა, მეტად მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რომელმაც კალამი ამაღებინა ხელში. ეს არის ის საოცარი თავგანწირვა, გმირობა, რომელიც გამოავლინეს ადამიანებმა, განსაკუთრებით — ახალგაზრდებმა, განსაცდელში ჩავარდნილთა გადასარჩენად. ეს იყო ნიმუში მასობრივად გამოვლენილი ჭეშმარიტად გმირული თავდადებისა, რომლის ანალოგიც ძნელად მოიძებნება.

**თბილისში 13 ივნისს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ და მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსული ადამიანების ერთსულოვნებამ ძალაუნებურად გამახსენა 74 წლის წინათ ფაშისტური გერმანიის მიერ ჩვენს სამშობლოზე ვერაგული თავდასხმით თავსდატეხილი უბედურების წინააღმდეგ საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნება.**

1941 წლის 22 ივნისს ზაფხულის მშვენიერი, მზიანი, მშვიდი დილა გათენდა საქართველოში. არაჩვინ არსაიდან რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას არ ელოდა და ამ მომენტში ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი თავდასხმა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ადამიანები თითქოს შეიცვალნენ და ქვეყანა ერთ მუშტად შეიკრა, ყველაფერი საომარ ყაიდაზე გადაეწყო — სამხედრო კომისარიატებთან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ფრონტზე მოხალისედ წამსვლელთა რიგები დადგა, ხალხმა სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული და თავდადება გამოიჩინა. ფრონტი და ზურგი გაერთიანდა, ყველაფერი კეთდებოდა მტერზე გასამარჯვებლად. ჩვენი მებრძოლები სასწაულებრივ გმირობას სჩადიოდნენ. საბჭოთა ადამიანების მონოლითური ერთობითა და სამშობლოსათვის თავგანწირვით, დიდი სტალინის მხედართმთავრობითა და ქვეყნის ბრძნული ხელმძღვანელობით იმ ჯოჯოხეთურ ომში გავიმარჯვეთ კიდეც. **დიდ სამამულო ომში გამარჯვება იყო ბრწყინვალე მაგალითი იმისა, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, ადამიანები, როგორ უნდა იბრძოლო ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.**

როდესაც ტელევიზორის ეკრანზე თვალს ვადევნებდი 13 ივნისს ღამით თბილისში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას და მის წინააღმდეგ შემართული ადამიანების თავგანწირულ ბრძოლას, თვალწინ წარმომიდგა სამამულო ომის პერიპეტიები. მე იქ ვიხილე, როგორ მოქმედებდნენ ადამიანები განსაცდელში მოხვედრილთა სიცოცხლის გადასარჩენად. იქ იყო გასაოცარი თავგანწირვა და ენთუზიაზმი სასიკვდილოდ განწირულ ადამიანთა დასახმარებლად...

ამ განსაცდელის ჟამს განსაკუთრებით ჩვენმა ახალგაზრდობამ გვიჩვენა საშური ერთიანობა, დარაზმულობა, მხარში ამოდგომისა და ვაჟკაცობის ბრწყინვალე მაგალითი. **13 ივნისის ტრაგედიამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ გვყავს დიდებული ახალგაზრდობა, რომელსაც შეუძლია საგმირო საქმეების ჩადენა. მათი გმირული შემართებიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია, ვირწმუნოთ, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია, რომ საქართველო აუცილებლად გადარჩება.** მემატიანე, ალბათ, შემოუნახავს ისტორიას ამ ახალგაზრდების სახელებს, რომელთა მაგალითზეც უნდა აღიზარდოს ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობები.

**დიდ სამამულო ომში საქართველოდან წარგზავნილი მებრძოლების მიერ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სამშობლოს დასაცავად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გამოჩენილი გმირობა და ამ დღეებში თბილისში მომხდარი სტიქიური ტრაგედიისას ჩვენი ახალგაზრდობის მიერ ადამიანების გადარჩენისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობა არის სამშობლოს სიყვარულითა და პატრიოტიზმით აღზრდის ჭეშმარიტად ქრესტომათიური მაგალითი.** არადა, დიდ სამამულო ომში მონაწილე ადამიანების გმირული ეპოპეა უკვე დავიწყებას ეძლევა. 22 ივნისს შესრულდა დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 74 წელი, მაგრამ იმ ომში ჩვენი ხალხის მიერ ჩადენილი გმირობა და გმირები ვინმეს გაახსენდა?

თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურებისას თბილისელთა მიერ გამოვლენილი თავგანწირვა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად პირდაპირი გამოძახილია იმ თავდადებისა და გმირობისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში სამშობლოს გადასარჩენად გამოავლინა. ამჯერად ისტორია განმეორდა, ოღონდ სხვა ასპექტში. თბილისში მომხდარი სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილი გმირები ხალხმა უნდა გაიცნოს, იცოდეს მათი სახელები.

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე**

ტრაგედიის ნაპირები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გრძელვადიანი პროგნოზი აუცილებელია. როცა მდინარესთან გაქვს საქმე, ათი, ოცი, ოცდახუთი წლის დაკვირვება არ კმარა. ჩვენთან ჰიდრომეტრული პოსტები გააუბედურეს, გაანადგურეს, დაიტაცეს ყველაფერი და დამკვირვებელიც აღარავინ დარჩა“



# უჩა ზვიადაძე: ვერეს ხეობის მოწყვეტის სიბრტყე პოტენციურად ჭავჭავაძის გამზირამდე აღწევს

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს საუბრების ციკლს ქართველ მეცნიერებთან იმ კატასტროფის მიზეზების შესახებ, რომელიც ჩვენს დედაქალაქს 2015 წლის 13 ივნისის ღამეს თავს დაატყდა.**
**— კატასტროფის პერსპექტივა, ანუ სად შეიძლება განვითარდეს ტექნოგენური კატასტროფები თბილისსა და, საერთოდ, საქართველოში? — ამ შეკითხვით ვიწყებთ საუბარს ცნობილ მეცნიერ-გეოლოგთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სრულ პროფესორთან, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ უჩა ზვიადაძესთან.**

— თქვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა დანაწევრებული რთული რელიეფით, ამიტომ ნებისმიერი საინჟინრო - გეოდინამიკური პროცესი შეიძლება განვითარდეს ჩვენს ქვეყანაში და ვითარდება კიდეც — მეწყერი, ღვარცოფი, არაფერი რომ არ ვთქვათ მიწისძვრაზე, რომელსაც თავიდან ვერ აიცილებს ადამიანი.

**ამ ზოგადი დახასიათებიდან კონკრეტულ მაგალითებზე გადასვლას ჩემი რესპონდენტი ვერეს ხეობით იწყებს, პატარა, უძალო მდინარით, რომელიც, ჩვეულებრივ, ისე მოწანწკარებს, რომ ადამიანი (თუ არ დაეზარება) გადაახტება კიდეც. მაგრამ, თუ ადიდდა, მტრისას! და ბატონი უჩა იხსენებს, ახლა უკვე მედიის წყალობით ყველასთვის ცნობილ შემთხვევებს, კალაპოტიდან ვერეს გადმოსვლით რა ზარალიც დაატყდა თბილისს, თუნდაც, ზოოპარკის ნაწილობრივ წალეკვა.**

— მეწყერი განსაკუთრებით ხშირია დასავლეთ საქართველოში, მთიან აჭარაში, რაჭაში, აფხაზეთში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერეთში. ღვარცოფები ხშირია აღმოსავლეთში — არაგვის მარჯვენა შენაკადები, ხანდოსხევით დაწყებული და მლეთისხევით დამთავრებული, ყველა ღვარცოფულია.

**— აქედან გამომდინარე, ჰესების მშენებლობა ყოველთვის ამ პრობლემების გადალახვასთანაა დაკავშირებული...**

— მე დიდი ჰესების, ე.წ. ფართომასშტაბიანი პროექტების წინააღმდეგი ვარ. ხუდონჰესის პროექტი განვიხილოთ. გათვალისწინებულია 205 მეტრის სიმაღლის კაშხლის აგება. დაიტბორება 590 ჰექტარი, რაც ნიშნავს, რომ წყალსაცავი, რომელიც ენგურის ხეობას გაჰყვება, შევა მდინარეების — ნენსკრასა და ხაიშურას ხეობებში და ხაიშიდან თორმეტიოდე კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელ ჯორკვალამდე მიაღწევს. ხაიში წყლით დაიფარება.

**ბატონი უჩა მნიშვნელოვანი ტექნოგენური კატასტროფის შესაძლო ადგილად მომავალი ხუდონჰესის კაშხალს ასახელებს. დაწვრილებით ყვება იმ გეოლოგიურ თავისებურებაზე, რომელიც განასხვავებს ჯვრის თაღოვანი კაშხლის ფერდობებს (კირქვები, ანუ მკვრივი ქანები, წყალში მინიმიზებული ხსნადობით — 0,013 გრამი ერთ ლიტრ წყალზე) ხუდონჰესის ასაგები კაშხლის ფერდობების გეოლოგიური ფორმაციისგან.**

— ეგ კი არა, — **ხაზს უსვამს ბატონი უჩა,** — იმ ხეობაში რომ ახვალთ, ნახავთ, თავისით როგორ მოდის ფერდობებიდან ქანის ნაშალი.

**ბატონი უჩა ამ ხეობაში სპეციალურად იყო მივლინებული და მისი არასაიმედოობა საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული. საინტერესო ამბავი: მდინარე ხაიშურას, თურმე, სხვა სახელიც ჰქვია — ვედრულა — მაღალმთიან სოფელ ვედაში სვანებს სტალინის ბიუსტი აუტანიათ და იქ დაუდგამთ — გარეშე თვალისგან მოფარებულ ადგილზე.**

— ეს წყალსაცავი კარგს არაფერს გვიქადის. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**— ზღვამ ფოთის სანაპირო რომ წალეკა და ახლა, ბოლო ღელვამ მიხეილ სააკაშვილის „ახალი ბულვარიც“ მიაყოლა — ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

— ზღვის სანაპიროს ადრე ინტენსიურად სწავლობდა ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი **იოსებ ბუაჩიძის** ხელმძღვანელობით.

მოგეხსენებათ, რომ აჭარისწყალზე შენდება კაშხლების კასკადი. მდინარის მიერ ჩამონატანი მყარი მასალა სანაპიროს, პლაჟის ზოლს ერთგვარად აწონასწორებს. თუ ეს მასალა გზადაგზა დავიჭირეთ კაშხლებით, მაშინ ბუნებრივი გაწონასწორების პროცესიც მოიშლება, ზღვა გააქტიურდება (ისედაც აქტიურია) და, **თუ ქვეყნის ენერგეტიკულ სიძლიერესა და ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ჩვენი ბუნება გადავაყოლეთ, ადამიანების სიცოცხლე, ასეთი დამოუკიდებლობის, მართალი გითხრათ, არ მწამს.**

**— თბილისში, ბატონო უჩა, ვერეს ხეობის გარდა, კიდევ რომელი ადგილის უნდა გვეშინოდეს?**

— უწინარესად, ვერეს ხეობის იმ მონაკვეთის, რომელიც მის მარჯვენა ფერდობზე გადის, ყოფილი მეცხრე საავადმყოფოდან მოყოლებული, უნივერსიტეტის მთავარ კორპუსამდე, ეს ფერდობი მთლიანად მეწყრულია. ატენის ქუჩა, რომელზეც ვცხოვრობ, აქ გადის და ჩვენი სახლი ხევში მიბრძანდებოდა, მაგრამ 1945-1946 წლებში აქ მოიყვანეს გერმანელი ტყვეები და ქვემოთ, ხევში, თორმეტი მეტრის სიღრმეში, ძირითად ქანამდე გაიყვანეს შურფები, რომლებიც რკინა-ბეტონის არმატურით შეავსეს. შემდეგ ზიდეს და ზიდეს სამშენებლო ნაგავი, მიწა და ამოავსეს ცარიელი სივრცე, დარგეს აკაციის ნერგები, რომელსაც ფესვების ღრმა სისტემა აქვს. ახლა, ფერდობზე აკაციის კორომია.

**— ახლა იქ, ყოფილი „ლეჩკომისიის“ საავადმყოფოს უკან, მრავალსართულიანი „პრესტიჟული სახლი“ აიშენეს ყოფილებმა; ქვემოთ, ხევში კიდევ ერთს აგებენ. ეს ხომ რისკის ზონაა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ არა — ერთადერთი. მაგალითად, თბილისში, გლდანის მხარეს არის ე.წ. **ლიბანის მეწყერი** და ასეთი ადგილი ბევრია.

**ვერეს ხეობას თუ დავუბრუნდებით და სპეციალურ ლიტერატურას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იმ მონაკვეთში, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ, მოწყვეტის სიბრტყე პოტენციურად აღწევს ჭავჭავაძის პროსპექტამდე. ყოფილ მეცხრე საავადმყოფოსთან ამჟამად შენდება 22-სართულიანი სახლი. არადა, ასეთი მაღალი სტატიკური დატვირთვა მეწყერსაშიშ ფერდობზე უეჭველად მიგიყვანს კატასტროფამდე დღეს — არა, ხვალ — არა, ზეგ — მაინც.** ვუთხარი ამის შესახებ მშენებელს, რის გამოც დიდი უსიამოვნება შემხვდა...

**დურუჯი, ანთოკი, თვალთხევი,** რომელი ერთი ჩამოვთვალო. თვალთხევს (საგარეჯოს ჩამოუდის) აგვისტოში რომ შეხედავ, შეგეცოდება — ერთი მეტრის სიგანის პაწია ნაკადული მოწანწკარებს, მაგრამ ძალიან განიერი კალაპოტი აქვს — 100-150 მეტრის სიგანის, რომელიც ამოვსებულ-ამოხერგილია უზარმაზარი ლოდებით, კაჭარითა და კენჭნარით, რაც ამ „ნაკადულის“ ნამუშევარია ადიდების ჟამს.

თელავის ხევი, თუნდაც. შუა ქალაქში ჩამოდის ღვარცოფული, ძალიან ვერაგი, ძალიან დაუნდობელი მდინარე. ადრე ბრწყინვალე ინჟინრის — **ხერხეულიძის** შემოთავაზებული დამჭერი კონსტრუქციები ააშენეს, ისეთი, რომ აცტეკების ქალაქში გეგონებათ თავი. ეს აკავებს კიდევ. **ეგ რომ არა, ღვარცოფით ჩამოტანილი მასალა მთლიანად დაფარავდა თელავის ქუჩებს.**

**— თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, ერთ-ერთი ადიდებისას მტკვარმა „პესკები“ რომ დატბორა...**

— ახლაც გადმოვიდა მტკვარი მარჯვენა სანაპიროზე. **მთის მდინარეებს ძალიან ავი ზნე სჭირს: ვერ იტყვი, რომ მათი რეჟიმი სტაბილურია.** მე ჰიდროლოგი არ ვარ და ამ დარგში შეიძლება ნაკლები ცოდნა მაქვს, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **გრძელვადიანი პროგნოზი აუცილებელია. როცა მდინარესთან გაქვს საქმე, ათი, ოცი, ოცდახუთი წლის დაკვირვება არ კმარა. ჩვენთან ჰიდრომეტრული პოსტები გააუბედურეს, გაანადგურეს, დაიტაცეს ყველაფერი და დამკვირვებელიც აღარავინ დარჩა. ვერე რომ გადაკეტა მთიდან მოწყვეტილმა მიწის მასამ ახალდაბაში, წყნეთთან, არ უნდა შეისწავლო წინასწარ ასეთი ფერდობი?!** არ უნდა ყოფილიყო იქ მოწყობილი თუნდაც სულ პატარა სამონიტორინგო ქსელი?! ერთი სტაბილური რეპერი უნდა, მეტი კი არა, რომელიც მეწყერსაშიში ზოლის გარეთ იქნება და იქიდან დააკვირდები მასის გადაადგილებას, რა სიჩქარით, რა მანძილით და რა დროში ხდება მასის გადაადგილება.

**— რეპერი?!**

— რეპერი არის გეოდეზიური ნიშანი, რომელიც სტაბილურ ადგილზეა ჩამაგრებული, საიდანაც დაკვირვება წარმოებს სათანადო ხელსაწყოებით.

**— რეპერები კი არა, გეოლოგიური სამმართველოც კი მოშალეს და გააუქმეს.**

— გეოლოგიური სამმართველო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა და ემორჩილებოდა საკავშირო გეოლოგიურ სამინისტროს. დიდძალი დაფინანსება ჰქონდა. **საქართველოს ტერიტორიის ერთი ხუთასიათასზე მასშტაბის გეოლოგიური რუკა, რომლის ავტორია გრიგოლ გუჯაბიძე და რედაქტორი ერეკლე გამყრელიძე, ოქროს ზოდია. საქართველოში არ არის კუთხეკუნჭული, რომელიც ამ რუკაზე გეოლოგიურად არ იყოს ზუსტად განსაზღვრული,** როგორი ფორმაციაა, რა სიმძლავრისაა და ა.შ.

**— და იმ სამმართველოშია გაკეთებული...**

— რა თქმა უნდა. მერე რატომღაც ვიღაცას თავში მოუვიდა აზრი, რომ გეოლოგიური სამსახური თურმე საჭირო არ არის: საქართველოში უკვე ყველაფერი ნაპოვნიაო.

ამ სამმართველოს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მეცნიერები და პიროვნებები **ბორის გუჯეჯიანი, კოტე კერესელიძე, ანტიფორე კალანდაძე, თამაზ ჯანელიძე.** ძალიან გამოცდილი ადამიანები. გეოლოგიურ სამმართველოს ჰქონდა გეოლოგიური პარტიები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მუშაობდნენ, მათ შორის — ჰიდროგეოლოგიური პარტიებიც. მაგალითად, მამაჩემი ვანიჩკა ზვიადაძე იორის ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსი იყო. ორი-სამი მილიონი მანეთი ჰქონდა ამ პარტიებს წლიურ ბრუნვაში. მაშინ ერთი დოლარი 0,7 საბჭოთა მანეთი ღირდა. გვქონდა ჩვენი მაღაზიები, რომლებიც არაჩვეულებრივად მარაგდებოდა ნებისმიერი სურსათით შეღავათიან ფასებში. თანაც, ველზე მომუშავე გეოლოგი ძირითადი ხელფასის 60-პროცენტიან დანამატს იღებდა. პრივილეგიური კასტა ვიყავით გეოლოგები.

**დღეს გეოლოგიური სამსახური საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს, პაწია შპს-ებია აქაიქ. ეს არ არის გეოლოგია, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უნდა იყოს. თავის რჩენის კანტორებია.**

**— ვარაზისხევი-თამარაშვილის შემაერთებელი ტრასის კატასტროფის მიზეზებზე იტყვით რამეს?**

— ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მაგ ფერდობზე საავტომობილო გზას არავითარ შემთხვევაში არ დავაპროექტებინებდი. რატომ? ახლავე მოგახსენებთ.

ეგ არის ე.წ. სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობი, რომელსაც მზე უყურებს — ამოსვლიდან ჩასვლამდე. ზაფხულის თვეებში, როცა ეს ქვები, ძირითადად, ქვიშაქვები და არგილიტები (თბილისის ფლიშს ვეძახით გეოლოგები) დღის განმავლობაში ხურდება, ღამე გრილდება — გაფართოვდა, შეიკუმშა, დანაპრალიანდა, — იშლება.

**— როგორც უდაბნოში ხდება.**

— დიახ. ზამთარში კიდევ წყლის (თოვლის) გაყინვის ეფექტიც ემატება. ეს ნაშალი მასალა ჩამოდის ხევში. **ახლა ლითონის ბადეები ააფარეს, მეტი არაა ჩემი მტერი, ამან საქმეს უშველოს. თუ დროზე არ გაწმინდეს, იმ ბადეს მოგლიჯავს და ქვები გზაზე გადმოიყრება.**

არ შეიძლებოდა ესტაკადის გაკეთება?! ბოლოს და ბოლოს, ეს ფერდობი ორ კილომეტრზე მეტი ხომ არ არის?! სხვათა შორის, მანდ ქანები ფერდობის დახრილობის მხარეს კი არ ეცემა, არამედ პირიქით — მდინარიდან ფერდობის სიღრმისკენ. ეს ძალიან ხელსაყრელია ხიმინჯების დასაყენებლად. პრობლემებიც მოიხსნებოდა.

**— და მსხვერპლსაც თავიდან ავირიდებდით.**

— რა თქმა უნდა! მდინარეს ერთი უცნაური თვისება აქვს: ერთ ნაპირს უტევს, რეცხავს და მეორე ნაპირზე აგროვებს ჩამონატან მასალას. ადამიანის ჩარევას ვერ იტანს მდინარე. თავნებაა და თავის ხასიათს მაშინ გამოაჩენს, როცა არავინ ელოდება: **„იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს!“** — ბრძნული ნათქვამია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** მდინარე ვერეს არსებობა, რომელსაც ძველმა თბილისელებმა „ვერარეჩკა“ შეარქვეს, ახლებს შეიძლება შემჩნეული არც ჰქონდათ, არც შიში არსებობდა.

მიწანწკარებდა თავისთვის ჩუმად და... რა უბედურება დაგვატეხა თავს?!

ფატალური დამთხვევა: სვანიძის ქუჩაზე, რომელიც 13 ივნისის ღამის კატასტროფის ერთ-ერთი ეპიცენტრია, მდებარეობდა „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მიერ გაუქმებული ჰიდროლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორია. ქუჩა ამ ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს გივი სვანიძის სახელს ატარებს.

ხოლო ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის უკანასკნელი ხელმძღვანელი იყო სელური ნაკადების თვალსაჩინო სპეციალისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი, ბენდუქიძემ გააუქმებინა.

„მიკვირს, რატომ არ მიადგა თბილისის მოსახლეობა „რუსთავი 2“-ის ოფისს და არ გამართა უმწვავესი მიტინგი, კატეგორიულად არ მოითხოვა „ნაცმოძრაობის“ სარეაბილიტაციო პროპაგანდის შეწყვეტა. დაგვიჩლუნგდა პროტესტის განცდა და მზად ვართ, კვლავ დავადგათ სააკაშვილის მონობის უღელი ჩვენს საყვარელ სამშობლოს?!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გურამ საღარაძე:

# «დიდ შვიდეულში» დააავიწყდათ, ვინ გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში?

**სახელგანთქმული ქართველი ფალავანი გურამ საღარაძე აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში და ჩვენი ყველა სატკივარი გულთან ახლოს მიაქვს. ეს სახელდახელო ინტერვიუც ქვეყნის წინაშე მდგარ აქტუალურ საკითხებზეა. საუბარს მისთვის დამახასიათებელი ემოციურობით იწყებს: საუბრობს ისე, როგორც ჭიდაობდა — შეტევით, სწრაფად! მაგრამ კარგად გათვლილი და გააზრებული პოზიციიდან, რომელიც ყოველთვის ისეთივე გულღია და ალალია, როგორიც თვითონ გურამ საღარაძე.**

**იმიტომ კი არ გენდეთ, ბატონებო, რომ ჩვენ, ხალხი, საკუთარ გულს შევასკდეთ და ნერვები დავიწყვიტოთ! მართალია, ცხოვრება ისე გვიჭირს, რომ თვალში ვერ გამოგვიხედია, მაგრამ ღირსება არ დაგვიკარგავს. სააკაშვილებსა და ადეიშვილებს თავს ვერ გავაბითურებინებთ!**

— ვერ ვმალავ ჩემს აღშფოთებას იმაზე, რაც ქართულ ტელესივრცეში ხდება. მაშინ, როცა სრულიად საქართველო შეძრულია 13 ივნისის ღამის ტრაგედიით, „რუსთავი 2“ და, ჩემდა გასაოცრად, „მაესტროც“, რომელიც ერთ დროს მართალი ტელევიზია იყო, ისე წარმოგვიდგენენ ამ ტრაგედიის მიზეზთა- მიზეზს — მიხეილ სააკაშვილს, თითქოს არაფერი მომხდარა. სააკაშვილის „მოღვაწეობა“ თითქოს ძალიან გვაინტერესებს იქ, ოდესაში — ხან თათბირს ატარებს, ხან რას აკეთებს, ხან — რას.. ეტყობა, ამათთვის ყოფილი „შუქურა“ დღესაც გზის მანათობელია. „რუსთავი 2“-მა სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებული, საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი ადეიშვილიც ტელევარსკვლავად წარმოგვიდგინა. ეს კოლექტიური ტელეადვოკატები, პრესის თავისუფლების პრინციპს ამოფარებულები, ცდილობენ, საქართველოს დამღუპველი ყოფილი მაღალი მოხელეები უცოდველ კრავებად დაგვიხატონ, სამშობლოსთვის თავგადაკლულ მოღვაწეებად.

**მიკვირს, რატომ არ მიადგა თბილისის მოსახლეობა „რუსთავი 2“-ის ოფისს და არ გამართა უმწვავესი მიტინგი, კატეგორიულად არ მოითხოვა „ნაცმოძრაობის“ სარეაბილიტაციო პროპაგანდის შეწყვეტა. დაგვიჩლუნგდა პროტესტის განცდა და მზად ვართ, კვლავ დავადგათ სააკაშვილის მონობის უღელი ჩვენს საყვარელ სამშობლოს?!**

კოაბიტაციით მოვიწამლეთ?

ძველი რომაელი ფილოსოფოსი **სენეკა** თავის ნაშრომში „კეთილ საქმეთა შესახებ“ წერს, რომ „ბევრი რამ მოგებულია სისწრაფის წყალობით, ბევრიც წაგებულია სიზანტის გამო. ასე, მაგალითად, ყველა სატყორცნ შუბში ლითონის სიმტკიცე ერთნაირია: მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია განსხვავება (დარტყმის ძალის), რაც დამოკიდებულია იმაზე, ძლიერი თუ სუსტი მკლავი სტყორცნის შუბს“ (წიგნი მეორე, თავი მეექვსე).

**ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლების მკლავის ძალის დასუსტება მაშფოთებს, ორგანიზატორულ უნარს ვგულისხმობ, კონტრარგუმენტების სიმყარეს, სწრაფ აზროვნებასა და მოწინააღმდეგეზე ერთი ნაბიჯით მაინც წინ ყოფნას. იმიტომ კი არ გენდეთ, ბატონებო, რომ ჩვენ, ხალხი, საკუთარ გულს შევასკდეთ და ნერვები დავიწყვიტოთ! მართალია, ცხოვრება ისე გვიჭირს, რომ თვალში ვერ გამოგვიხედია, მაგრამ ღირსება არ დაგვიკარგავს. სააკაშვილებსა და ადეიშვილებს თავს ვერ გავაბითურებინებთ!**

ხომ ცნობილია, რომ ხალხს ბელადი სჭირდება. წინამძღოლის გარეშე ადამიანების მასა ცხვრის ფარას ემსგავსება, რომელიც შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის საქმის ორგანიზებით თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეგწევთ თავკაცობა.

ამიტომ მოგიწოდებთ: **ყოველთვის იბელადეთ, ახალგაზრდებო, ჩვენ, ვეტერანები, მხარში ამოგიდგებით!**

**— კრიტიკა, რომლითაც ასეთი სიუხვითა და პრინციპულობით არის გაჯერებული იგივე ტელესივრცე, ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას, თუ მოქმედი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ არის მიმართული?**

— სიმართლეს გავუსწოროთ თვალი. რაც ახლა მსოფლიოში ხდება, კატასტროფაა. თქვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, ერთი შესანიშნავი ფილმი „ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“. იმასთან შედარებით, რაც ახლა ხდება მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, იმ ფილმის „შეშლილობა“ მსუბუქი დისკომფორტია, **ნეოგლობალიზმი უფსკრულისკენ უბიძგეს კაცობრიობას. დასამალი არაფერია, ყველამ იცის, ვინც მართავს ამ პროცესებს — ამერიკის შეერთებული შტატები, სუპერსახელმწიფო.** თუ არ შეჩერდა ეს დამღუპველი ტენდენცია, მაშინ ისევ უფალმა უნდა გადმოგვხედოს და გვიშველოს. ჩემი სალოცავი კუთხე მაქვს სამსახურში, სადაც დილა-საღამოს ვლოცულობ, რათა ღმერთმა გადაგვირჩინოს ჩვენი სამშობლო და ხალხი.

**ამდენი შინაური მტერი თუ ეყოლებოდა საქართველოს, ვერც კი წარმოვიდგენდი. მათ მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, როგორც წესი, არაკონსტრუქციულია და ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას უფრო ჰგავს.** საქართველოში კონსტრუქციული ოპოზიცია არ არსებობს.

სწორად გამიგეთ, კრიტიკა ისევე აუცილებელია ხელისუფლებისთვის, როგორც წახალისება, მაგრამ ჩვენთან განწყობილების ისეთი ველია შექმნილი, რომ, თუ სიტყვა წამოგცდება ხელისუფლების სასარგებლოდ, დაუყოვნებლივ კონფორმისტობას დაგაბრალებენ.

ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ კარგი სახელმწიფო მოხელეებითა და ცუდი კანონებით ქვეყანა ნორმალურად იმართება, მაგრამ, თუ სახელმწიფო მოხელე ცუდი გყავს, რაგინდ კარგი კანონები გქონდეს, ქვეყანას ვერ გაუძლვები.

ჩვენი მოხელეები, სამწუხაროდ, შორს არიან იდეალისგან, ამიტომ, თუ ვინმეს სჭირდება კრიტიკა, უწინარეს ყოვლისა — მათ. მაინცდამაინც დაბალი რანგის მოხელეებს არ ვგულისხმობ, მთავრობის გარკვეულ წევრებსაც არ გამოვრიცხავ.

**— გეკითხებით, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს: ერთი მხრივ — ქრისტეს მცნებანი, მეორე მხრივ — ადამიანის უფლების მოშველიებით მამათმავლობის ქადაგება. თქვენ რომელ მხარეს დგახართ?**

— ღვთის წინააღმდეგ წასვლა უდიდესი ცოდვაა და დაღუპავს ადამიანს. სოდომის ცოდვაზე სიტყვას არ გაგიგრძელებთ, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ, **თუ კრიტიკის მსგავსი რამ წამოგცდებათ ლგბტ ოჯახის მისამართით, ჰომოფობად მოგნათლავენ. ჩასაფრებულები არიან ე.წ. არასამთავროები, იმავე წამს თავს დაესხმიან ადამიანებს, რომლებიც არ იზიარებენ მათ პრინციპებს. თუმცა რა გასაკვირია, — რაც უფრო მეტია დაფინანსება, უფრო ძლიერია „პრინციპების ერთგულება“.**

არაერთხელ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ: ვერავინ შეეხება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას — საქართველოს, მის მარადიულ ტრადიციებსა და ჩვენი ხალხის სულიერ სისპეტაკეს ვერ დაგვიბინძურებს.

**— კრიტიკას მივუბრუნდეთ, ბატონო გურამ, კრიტიკოსებს.**

— უფრო ზუსტი იქნება, თუ უმეტესობას **კრიტიკანებს** ვუწოდებთ. ჩემთვის მიუღებელია კრიტიკული შენიშვნები მისგან, ვინც სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს, თავისაში კი — დირესაც ვერა.

მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო უნდა წავიდეს კეთილი გზით. ისევ ბატონმა ბიძინამ უნდა იტვირთოს ეს საქმე.

**— უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში?**

— დაბრუნდება თუ არა, ივანიშვილის გადასაწყვეტია, მაგრამ მგონია, რომ იგი უნდა იდგეს საქართველოს გადარჩენის ეპიცენტრში. მის გარშემო უნდა დაირაზმონ საღი აზროვნების ადამიანები, ისინი, ვისაც უყვარს საქართველო და ჩვენი ხალხი.

**— გინდათ, თქვათ, რომ დღეს ასეთი ადამიანები არ დგანან ქვეყნის მართვის საჭესთან? ვერ ხედავთ ასეთებს?**

— ყველას — ვერა. უამრავი, მანამდე საქვეყნო საქმეების კეთებაში შეუმჩნეველი ადამიანი წარმოაჩინა, დააწინაურა პასუხსაგებ თანამდებობებზე ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ბევრმა ვერ გაუმართლა.

**ირაკლი ღარიბაშვილი** ძალიან ახალგაზრდა კაცია, დიდ პატივს ვცემ და ღმერთმა ქნას, რომ ის მძიმე უღელი, რომელიც ქედზე დაიდო, ღირსეულად ეტარებინოს, ბოლომდე გაეწიოს ჭაპანი. უმადურობა იქნებოდა იმის დაუნახაობა, როგორ იბრძვის და ცდილობს ქვეყნის მართვას, ეროვნული კაცია, მაგრამ ყველაზე ამას ვერ იტყვი.

სათქმელი სხვაც დაგროვდა, ბევრი. ისევ ძველებურადაა ბიძაშვილ-მამიდაშვილობა. უფრო მეტიც. **ახლა რომ ნეპოტიზმია, ისეთი კომუნისტების პერიოდში არ ყოფილა.** ამას ფაქტებზე დაყრდნობით ვამბობ. გულდასაწყვეტია, რომ ნეპოტიზმზე „ნაციონალებს“ ალაპარაკებენ, მაშინ, როცა ნეპოტიზმის ჩემპიონები ისინი იყვნენ და ახლა, დეპუტატ ირმა ნადირაშვილის ხელმძღვანელობით, რაიონიდან რაიონში დადიან და იქ „აღმოჩენილ“ ფაქტებს ტელეეკრანებიდან კარგი სნაიპერებივით ესვრიან საზოგადოებრიობას.

საპარლამენტო უმრავლესობას კი ასეთ დარაზმულობასა და აქტივობას, თუნდაც ამ ნეგატიური მოვლენის აღმოსაფხვრელად, ვერ ვამჩნევთ.

**საად არიან მაჟორიტარი დეპუტატები? რას აკეთებენ? რა დაეტყო მათი მისვლით იმ რაიონებს, რომლებშიც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში აირჩიეს?**

ჰაერზე არ ვლაპარაკობ. უამრავი ადამიანი მირეკავს, მხვდება, თავის გასაჭირზე მელაპარაკება... ვცდილობ, დავეხმარო, მაგრამ სად ჩემი შესაძლებლობები, სად — მაჟორიტარი დეპუტატების?!

**ეკონომიურად ძალიან გაუჭირდა ხალხს, შრომა დააავიწყდა, არა იმიტომ, რომ გავზარმაცდით, არამედ იმიტომ, რომ დასაქმების ადგილის უქონლობის გამო გადავეჩვიეთ.** ამას კი სხვა უბედურება დაერთო. უპირველესად დავასახელებ შინაგანი კულტურის დაკარგვას. თბილისი, მაგალითად, ჩვენს ქალაქად აღარ მიგვაჩნია, **ისე ვიქცევით, ვითომ მხოლოდ დავით ნარმანიას საზრუნავია დედაქალაქის მოვლა-პატრონობა.**

ისე არ გამიგოთ, რომ ქადაგად დავვარდი და სხვების ჭკუის დამრგებლის როლი მოვირგე. ერთი პროექტის განხორციელებას შევუდექით — ქართული წყლის პროექტის, რომელსაც აკადემიკოსი **პაატა გიორგაძე** ხელმძღვანელობს. ერთ-ერთი აქციონერი მეც ვარ. ამ პროექტის სიკეთეზე სიტყვას არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მისი განხორციელებით საქართველო უმოკლეს ხანში გაიმართება წელში, გამთლიანდება, შურიც უკან დაიხევს, ბოროტებაც. მოლოდინში ვართ იმისა, რომ მთავრობაც მხარს დაგვიჭერს. პროექტი მზად არის, სპეციალისტები მობილიზებულები არიან... ინვესტორებიც ნაპოვნი გვყავს. ყველა წინაპირობა გააქტიურებულია „სიცოცხლის ამ ელექსირის“ ასამოქმედებლად.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!.. სხვა პრობლემაზე მაინტერესებს თქვენი აზრი — საქართველოს გაერთიანებას რა ეშველება? ხომ არ აჯობებდა, ამ პრობლემის მოგვარება კანონით დაკისრებოდა ჩვენს პრეზიდენტს?**

— საქართველოს პრეზიდენტს — გიორგი მარგველაშვილს პატივს ვცემ. მის ოჯახსაც ვიცნობ. მას სისხლში უნდა ჰქონდეს გამჯდარი საქართველოს, ქართველობის სიყვარული. თუ განუხრელად ივლის ამ გზით, რომლიდანაც ვერ გადაახვევინებენ ვერავითარი ლიბერასტები, ლგბტ-ები და ასე შემდეგ, თუ საქართველოს გამთლიანებას, როგორც მიზანს, გულის ფიცარზე დაიწერს, მაშინ არავითარი სპეციალური კანონის მიღება საჭირო არ იქნება.

თუმცა არც კანონის მიღება გააფუჭებს საქმეს. დრო საქართველოზე მუშაობს.

**— მაგრამ ამ დრომ და უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორი გახადეს. თქვენი დამოკიდებულება როგორია?**

— სახტად დავრჩი. **როგორ დაუშვა უკრაინელმა ხალხმა, ჩვენმა მოძმე, დიდი ტრადიციების ერმა, როგორ აიტანა სახელმწიფო დანაშაულობათა გამო ძებნილი კაცის, რომელსაც თავის ქვეყანაში არ დაედგომება, თუნდაც ერთ მხარეში, მაგრამ მაინც ხელმძღვანელ თანამდებობაზე აღზევება?! არაადეკვატურ კაცზე ვლაპარაკობ, რომელმაც საქართველოს ყოფა უტირა და უარესს უზამდა, რომ დასცლოდა...**

**— რით დამთავრდება სააკაშვილის გაგუბერნატორება?**

— არ დამთავრდება კარგად, არც პოროშენკოსი და არც სააკაშვილის. არიან საღი ძალები, რომლებიც ამაზე ფიქრობენ.

**— ორიოდ დღის წინათ დიდი შვიდეული შეიკრიბა და მიიღო გადაწყვეტილება რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გაგრძელების შესახებ...**

**— „დიდ შვიდეულში“ დააავიწყდათ, ვინ გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში?** მას შემდეგ რუსეთი, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, ათჯერ უფრო გაძლიერდა. ნუ იზამენ ისე, რომ მან დაიწყოს ახალი ომი. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ მსოფლიოს სამი მეოთხედი განადგურდება. არ შეიძლება რუსეთის გაღიზიანება. **ჩვენ კი რუსეთთან უნდა გვქონდეს მეზობლური, მეგობრული ურთიერთობა. მთელი ჩემი ახალგაზრდობა რუსეთში გავატარე, ათი წელიწადი საბჭოთა კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდის წევრი ვიყავი, მათგან შვიდი წელიწადი — ნაკრების კაპიტანი. სადაც მივდიოდი, ყველგან სიხარულის ზეიმი მხვდებოდა. ეს იყო კარგად შეკრული უდიდესი ოჯახი. ისტორიას ვერ გადახაზავ, ვერ შეცვლი. მოვა დრო, ყველაფერი დალაგდება.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა მხოლოდ 2002 წელს გაუქმდა. 1990-დან 2007 წლამდე, 17 წლის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის 56 შემთხვევა აღირიცხა, მათ შორის: ირანში, იემენში, ჩინეთში, კონგოში, ნიგერიაში, პაკისტანში, საუდის არაბეთში, სუდანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

## ნაწილი I

# სტალინი და ბავშვები

**ნიკიტა ხრუშჩოვმა პარტიის მეოცე ყრილობაზე სტალინის სახელი 61-ჯერ ახსენა უარყოფით კონტექსტში. 61 ბრალდება, რომელმაც შოკში ჩააგდო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი და სოციალიტური ბანაკის ქვეყნები, არამედ კაპიტალისტური სამყაროც, რამდენიმე წლის შემდეგ ანეკდოტურ ბრალდებებად იქცა.**

ამერიკელი ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „ანტისტალინური სისაძაგლეები", მონტკლერის (ნიუ ჯერსის შტატი) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გროვერ ფერი** ამბობს: **„როგორც გაირკვა, მოხსენების ყველა „სამხილი" მტკიცებულებიდან, რომელიც შემოწმებას ექვემდებარებოდა, არც ერთი არ აღმოჩნდა მართალი. არც ერთი!"** და იქვე: **„დახურულ" მოხსენებაში ხრუშჩოვს ისეთი სიტყვაც არ დასცდენია სტალინსა და ბერიაზე, რომელიც შეიძლებოდა, სიმართლე ყოფილიყო".**

„დახურულ" მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი სტალინის ბავშვთმოძულეობაზე და ამიტომაც თემა „სტალინი და ბავშვები" არც იყო განხილვის საგანი, მაგრამ ახლა, სტალინის გარდაცვალებიდან თითქმის 50 წლის შემდეგ, როდესაც რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ეთერში საქართველოს დიდმა „მეგობარმა", ჟურნალისტმა **ანდრეი განაპოლსკიმ** განაცხადა, რომ: „სტალინმა მოაწერა ხელი ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც დახვრიტეს 12 წლამდე ბავშვები, როგორც სამშობლოს მტრები" და დღის წესრიგში დააყენა სტალინური ეპოქის, როგორც „ბავშვთმოძულეობისა და გაუგონარი სისასტიკის ხანის" შესწავლა, გაჩუმება შეუძლებელია.

სწორედ ამ თემას ეძღვნება ჩემი წერილი, რომლის პირველ ნაწილსაც დღეს გთავაზობთ.

ჟურნალ „გზაში" გამოქვეყნდა ინტერვიუ რიმა ჭყონიასთან, რომელიც მას ჟურნალისტმა ლიკა საჯაიამ ჩამოართვა. ამ ინტერვიუში ვკითხულობთ:

„— როგორც გადმოცემით ვიცი, დედა სამეგრელოდან იყო. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ქმრის ოჯახიდან გამოგდებული ფეხმძიმე ქალი საქართველოში გავლით მყოფ კაცს მოსკოვში, კერძოდ — კრემლში წაუყვანია და დედა სტალინთან მოსამსახურედ მუშაობდა ისევე, როგორც ბევრი სხვა ქართველი თუ რუსი. მე დავიბადე 1936 წელს. დედა არ მახსოვს — თურმე, ჩვილს კი მივლიდა, მაგრამ მერე სადღაც გაქრა, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. შეიძლება, მოკლეს კიდეც. მაშინ ხომ ადამიანების ხოცვა არავის უკვირდა...

პატარა გოგონას მძიმე ცხოვრება მქონდა. დაახლოებით 4 წლის ბავშვს მევალებოდა გრძელ და ბნელ სარდაფში ჩასვლა, სადაც იყო ბევრი თეთრი „ვანა" და მასში მოფართხალე ან უკვე გაცივებული ადამიანის სხეული. ეს გახლდათ ოთახი, სადაც კრემლისთვის არასასურველ ხალხს კლავდნენ. მაშინ ამ ყველაფერს ცხადია, ვერ ვაცნობიერებდი. ძალიან კარგად მახსოვს, რომ ამ სარდაფიდან უამრავი მიწისქვეშა გასასვლელი იყო, ჩვენ კი ამ სასაკლაომდე რომ მივსულიყავით, გზად ტაძარიც უნდა გაგვევლო და მახსოვს, ყოველი გავლისას ვლოცულობდით ხოლმე.

**— იმ სარდაფში მარტო ჩადიოდით თუ სხვებთან ერთად?**

— ერთ რუს ქალს ჩავყავდი და ვედროს მაძლევდა, რომელშიც სისხლის სუნით გაჟღენთილი ტილო ეგდო და მეუბნებოდა, — იატაკი გაწმინდეო. მოკლედ, სისხლის წმენდა მევალებოდა...

თუმცა მაშინ ისიც არ ვიცოდი, სისხლი რა იყო. მახსოვს, იქ ლამპები ბჟუტავდა ხოლმე. ხშირად, უნებურად, ხელით შევხებივარ ცივ სხეულს და შემშინებია, არაერთხელ მიტირია კიდეც. ჩემი ბავშვობა კოშმარულ სიზმარს ჰგავდა.

**— თქვენთან ერთად ვინც ალაგებდა სარდაფს, ის ქალი როგორ დაგამახსოვრდათ?**

— იმ ქალის სახე კარგად მახსოვს, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ არის... ძალიან ცელქი, მაგრამ დამჯერი ვიყავი. ერთხელ სტალინის ოთახის დალაგებაც კი დამავალეს. დაგვის დროს მაგიდის ქვეშ რაღაც ოქროსფერი, გრძელი „ტრუბკა" ვნახე და ისე მომეწონა, ავიღე, საგულდაგულოდ შევინახე. რამდენიმე საათის შემდეგ აჩოჩქოლდნენ მოსამსახურეები, — სტალინმა ყალიონი დაკარგაო. ბავშვი კი ვიყავი, მაგრამ მივხვდი: ახლა რომ გაიგონ, მე ავიღე, მაწამებენ-მეთქი და მოპარული ნივთი საპირფარეშოში ჩავაგდე. ძალიან „ქვა" ვიყავი და რომ მოგეკალი, ვერ გამომტეხავდი. ხომ მაწამეს, მცემეს, მუხლებზეც დიდხანს დამაყენეს ქალებმა, — ოთახი ხომ შენ დაალაგე და იპოვიდიო, მაგრამ ვერაფერი დამაცდევინეს.

**— სტალინს ხშირად ხვდებოდით?**

— ცხადია, ზოგჯერ ვხვდებოდი ხოლმე დერეფანში. ის მოსამსახურეებს ცუდად არ გვექცეოდა, მაგრამ რაც იქ ვნახე, საშინელება იყო. სხვათა შორის, ებრაელებს შტამპს რომ უკეთებდნენ, ხომ იცით? ჰოდა, მეც დაშტამპული ვარ — ზურგზე ახლაც მეტყობა ნიშანი".

**როგორც რესპონდენტის მონაყოლიდან ირკვევა, ფეხმძიმე ქალი ვიღაც გამვლელს მოსკოვში ჩაუყვანია, იქ ისე, როგორც ბევრი სხვა, სტალინთან დამლაგებლად მოუწყვია, სადაც იმშობიარა კიდეც. „ბიულეტენიდან" დაბრუნებულ ქალს ჩვილი იქვე, კრემლში მიუგდია და თვითონ გაუჩინარებულა.** მონათხრობიდან არ ჩანს, ვინ გაზარდა ჩვილი, მაგრამ ფაქტია, რომ გაიზარდა და **უკვე ოთხი წლის გოგონას კრემლის სარდაფში მოწყობილ ადამიანების სასაკლაოში დამლაგებლად ამუშავებდნენ. ის ხშირად უყურებდა თეთრ „ვანაში" მოფართხალე მომაკვდავ ადამიანებს. ერთხელ, როდესაც ის (ოთხი წლის გოგონა!) სტალინის სამუშაო ოთახს ალაგებდა კრემლში მაგიდის ქვეშ უპოვია ოქროსფერი „ტრუბკა", რომელიც მოეწონა.**

სტალინს თურმე ხშირად ხვდებოდა კრემლის დერეფანში... გოგონამ იქ უამრავი საშინელება ნახა. და, **როგორც ადებდნენ ებრაელებს ზურგზე დამღას, სწორედ ასეთი დამღა ამჩნევია ზურგზე. ასეთი დამღა კი თურმე კრემლში ბევრს ჰქონია.**

ჟურნალ „გზაში" გამოქვეყნებულ სტატიაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ მოგიყვებით ასეთ ფაქტს:

1995 წელს ვიმყოფებოდი ბულგარეთში, სადაც შევხვდი უკვე ძალადაკარგული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკებს. შესვენებისას ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი და მითხრა: „შევიტყვე, საქართველოდან ხართ და სტალინის საზოგადოებას ხელმძღვანელობთ". როცა ვუთხარი, მთელი ჩემი ცხოვრება სტალინის ფენომენის შესწავლას ვემსახურები-მეთქი, გაკვირვებულმა შემომხედა, — თქვენ სერიოზულ პიროვნებად გამოიყურებით და, როგორ შეიძლება, სტალინის სახელს სცემდეთ პატივსო. შემდეგ კი დასძინა, სტალინი შეიყვანდა შახტაში 1000-2000 ბავშვს, ავტომატით ხოცავდა, შემდეგ კი მათ სისხლში დადიოდაო. კომენტარს არც ამაზე არ გავაკეთებ, რადგან ამ ორ ადამიანს, მათ ნათქვამს ერთი და იგივე დამკვეთი ჰყავს.

რატომ გახდა საჭირო ხრუშჩოვის შემდეგ სრულიად ახალი ბრალდებების წამოყენება სტალინის წინააღმდეგ?

მას შემდეგ, რაც ფარდა აეხადა სრულიად უსაფუძვლო და ყალბ ბრალდებებს, რომლებიც ხრუშჩოვის მიერ მეოცე ყრილობაზე იქნა გამოთქმული, და აქტიურად დაიწყო სტალინის პიროვნების რეაბილიტაცია (თუმცა ის არავის გაუსამართლებია — გრ. ონიანი), აგონიაში ჩავარდნილმა კაპიტალისტურმა სამყარომ ახალი შეტევა წამოიწყო სტალინსა და სტალინიზმზე და ამისათვის გამონახეს ყველაზე ფაქიზი და მტკივნეული თემა — არასრულწლოვნები. ამის წინა პლანზე წამოწევის საფუძველი გაუთვითცნობიერებლად და თვალის ასახვევად გახდა **1935 წლის 7 აპრილის ბრძანებულება,** რომელიც საბჭოთა კავშირში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის დანაშაულის დასჯას ეხებოდა. ეს კი გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი **სერგეი ჩერნიახოვსკი** წერს:

„ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირში გაუქმებული იყო არასრულწლოვან მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მათზე მზრუნველობა დაკისრებული ჰქონდა სამედიცინო და პედაგოგიურ სამსახურებს. აღნიშნულმა გარემოებებმა შექმნა ქვეყანაში დაუსჯელობის ატმოსფერო და გახშირდა როგორც ძარცვა-ყაჩაღობა, ასევე ადამიანთა მკვლელობა. კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო ის გარემოება, რომ დამნაშავეთა სამყარომ თავისი დასაყრდენი ჰპოვა არასრულწლოვანებში, რომელიც გადაიქცა ქაოსისა და ანარქიის ძირითად წყაროდ".

ამ და სხვა გარემოებათა გამო **კლიმენტ ვოროშილოვმა** პოლიტბიუროს სახელზე შეიტანა განცხადება, განეხილათ ქვეყანაში არასრულწლოვან მოქალაქეთა სისხლის სამართლის დანაშაულთა საკითხი და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. საკითხის ღრმად შესწავლის შემდეგ, 1935 წლის 7 აპრილს, პოლიტბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე, სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება არასრულწლოვანთა დანაშაულის მოზრდილთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან გათანაბრების თაობაზე, რომელსაც ხელს აწერდა **მიხეილ კალინინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი და ივანე აკულოვი.**

**1935 წლის 9 აპრილს გაზეთმა „პრავდამ" სრულად გამოაქვეყნა ბრძანებულება და დაავალა ყველა პედაგოგიურ კოლექტივსა და ბავშვთა დაწესებულებას, ჩაეტარებინათ ფართო ახსნა-განმარტება არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის გაზრდის თაობაზე.**

საარქივო მასალების ხელმისაწვდომობის შემდეგ ანტისტალინელები გამალებით ეძებდნენ ბავშვთა მიმართ გამამტყუნებელი საქმიანობის საბუთს; დაეძებდნენ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით დაქირავებული აგენტები, არამედ ცნობილი უცხოელი მკვლევარებიც.



**მას შემდეგ, რაც ფარდა აეხადა სრულიად უსაფუძვლო და ყალბ ბრალდებებს, რომლებიც ხრუშჩოვის მიერ მეოცე ყრილობაზე იქნა გამოთქმული, და აქტიურად დაიწყო სტალინის პიროვნების რეაბილიტაცია (თუმცა ის არავის გაუსამართლებია — გრ. ონიანი), აგონიაში ჩავარდნილმა კაპიტალისტურმა სამყარომ ახალი შეტევა წამოიწყო სტალინსა და სტალინიზმზე და ამისთვის გამონახეს ყველაზე ფაქიზი და მტკივნეული თემა — არასრულწლოვნები**



## ახალი ზოოპარკი, შესაძლოა, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსდეს

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ ზოოპარკის საკითხზე მერიაში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ადრინდელ პროექტებს გადაამუშავებს.**

„ზოოპარკის გადარჩენილი ცხოველები დროებით, მოკლევადიან პერიოდში დარჩებიან ამ ტერიტორიაზე და ახალი ზოოპარკის მშენებლობის შემდეგ ეტაპორივად იქნებიან გადაყვანილი", — განაცხადა ნარმანიამ. მისი თქმით, შესაძლოა, ახალი ზოოპარკი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსდეს.



# საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში, 1921 წლიდან 1991 წლამდე, არასრულწლოვანის სიკვდილით დასჯა მხოლოდ ერთხელ მოხდა, 1964 წლის 11 აგვისტოს, და ისიც ხრუშჩოვის ბრძანებით.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კანადელი მეცნიერი და მკვლევარი **პიტერ სოლომონი**, რომელიც თავგამოდებულ ანტისტალინელად არის ცნობილი, თავის გამოკვლევაში წერს:

**„საარქივო მასალების მრავალმხრივ დამუშავების შემდეგ მე (და ჩემმა მეგობრებმაც) ვერ აღმოვაჩინეთ სტალინურ პერიოდში არასრულწლოვანთა დახვრეტის ვერც ერთი ფაქტი.**

1935 წლის 31 მაისის სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის (№-32, სტ. 252) გადაწყვეტილებაში კატეგორიულად იყო ჩაწერილი, რომ:

**„არ შეიძლება დაიხვრიტოს პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ შესრულებია 18 წელი, და ქალები ორსულობის პერიოდში“.**

1940 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიების მთავარმა სამმართველომ მთავრობის სახელზე შეადგინა საიდუმლო მოხსენება სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომლის ერთი თავი დათმობილი აქვს არასრულწლოვანთა შორის მუშაობას. მასში ნათქვამია:

„სისტემაში მუშაობს მიმღებ-გამანაწილებელი იზოლატორი და შრომითი კოლონიები არასრულწლოვანთა და ზედამხედველობის გარეშე დატოვებულ მოზარდთათვის.

მიმღებ-გამანაწილებელი უზრუნველყოფს ქუჩიდან უპატრონოდ და უმეთვალყურეოდ დატოვებულ ბავშვთა მიღებას, რომელიც ჩერდება ადგილზე ერთი თვის განმავლობაში. თუ მოზარდს არ გამოუჩნდება მშობელი ან მასზე მზრუნველი სანდო პირი, მოზარდები ნაწილდებიან სხვადასხვა მიმართულებით.

162 მიმღებ-გამანაწილებლის არსებობის ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში მიღებული და განაწილებული იქნა 952 834 მოზარდი, როგორც საბავშვო ბაღებში, ისე მრეწველობის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროებში, ასევე, შრომით კოლონიებში.

ამჟამად ქვეყანაში ღია და დახურული ტიპის 50 შრომითი კოლონიაა.

ღია ტიპის კოლონიებში იმყოფებიან მოზარდები, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული, ხოლო დახურული ტიპის კოლონიებში არიან დამნაშავე მოზარდები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ორჯერ და მეტჯერ.

ჩვენი მოვალეობაა, მოზარდებს შევუქმნათ გამოსწორებისა და მათი სწორი აღზდის ყველა პირობა.

**კოლონიებში არასრულწლოვანები მუშაობენ შემდეგ დარგებზე: ლითონის დამუშავება, ხის დამუშავება, ფეხსაცმელების წარმოება და საფეიქრო მრეწველობა. ყველა კოლონიაში მოქმედებს საშუალო და დაწყებითი სკოლები.**





**როგორც რესპონდენტის მონაყოლიდან ირკვევა, ფეხმძიმე ქალი ვიღაც გამვლელს მოსკოვში ჩაუყვანია. იქ ისე, როგორც ბევრი სხვა, სტალინთან დამლაგებლად მოუწყვია, სადაც იმშობიარა კიდეც. «ბიულეტენიდან» დაბრუნებულ ქალს ჩვილი ბავშვი იქვე, კრემლში მიუგდია და თვითონ გაუჩინარებულა**

კოლონიებში არსებობს კლუბები შესაბამისი თვითშემოქმებითი სექციებით: მუსიკალური, დრამატული, სიმღერის, ტექნიკური, ფიზკულტურისა და სხვ.

კოლონიებს ემსახურება 1200 აღმზრდელი, ხოლო სკოლაში — 800 მასწავლებელი; 225 ხელოვნების მუშაკი ემსახურება თვითშემოქმედებით სექციებს.

ყველა კოლონიაშია პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციაა, რომლებშიც გაერთიანებული არიან გაუსამართლებელი მოზარდები. 1940 წლის 1 მარტისთვის კოლონიებში ირიცხება 4126 პიონერი და 1075 კომკავშირელი.

დღის რეჟიმი კოლონიებში შემდეგნაირად არის გაწერილი: 16 წლამდე არასრულწლოვანები ყოველდღიურად მუშაობენ წარმოებაში 4 საათი და სწავლობენ სკოლაში 4 საათი. დანარჩენ დროს ისინი თვითშემოქმედებით წრეებში და კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში ატარებენ.

16-დან 18 წლამდე მოზარდები წარმოებაში მუშაობენ 6 საათი, დანარჩენ დროს ისინი სწავლას და წრეებში მუშაობას ანდომებენ.

**1939 წელს მოზარდებმა შრომით კოლონიებში შეასრულეს 169 778 მანეთის პროგრამა — გამოშვებული იქნა ფართო მოხმარების საგნები.**

შრომითი კოლექტივებიდან გასული მოზარდებიდან ოთხნახევარი წლის განმავლობაში წარმოებაში ჩაება და პროფესიულ საქმიანობას განაგრძობს 28 280 ყოფილი მსჯავრდებული; მათგან 83,7% მრეწველობასა და ტრანსპორტშია დაკავებული, 7,8% — სოფლის მეურნეობაში, 8,5% — სხვადასხვა დაწესებულებაში“.



ბავშვების მიმართ სტალინისა და სტალინური ეპოქის დამოკიდებულებას უფრო კარგად მომავალ წერილებში მოგითხრობთ, მაგრამ ამჟამად მინდა, გაგაცნოთ „ტირან“ და „ბავშთმოძულე“ სტალინის შემდეგ მოსული „დემოკრატი“ ხრუშჩოვის დამოკიდებულება ბავშვების მიმართ.

**საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში, 1921 წლიდან 1991 წლამდე, არასრულწლოვანის სიკვდილით დასჯა მხოლოდ ერთხელ მოხდა, 1964 წლის 11 აგვისტოს, და ისიც ხრუშჩოვის ბრძანებით.**

**1964 წლის 27 იანვარს ლენინგრადში მოხდა საშინელი მკვლელობა. 37 წლის დიასახლისი ლარისა კუპრეევა თავის 3 წლის ბიჭუნასთან საკუთარ ბინაში ნაჯახით დაჩეხეს.**

სამი დღის შემდეგ დაიჭირეს მკვლელი — 15 წლის ლენინგრადელი **არკადი ნეილანდი.** იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში ბავშვის დახვრეტის პრეცენდენტი არ ყოფილა, მკვლელმაც თავისუფლად ითანამშრომლა გამოძიებასთან და სამართალდამცველებს დაწვრილებით მოუყვა ტრაგედიის ამბავი.

1964 წლის 17 თებერვალს ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით, მკვლელობიდან 20 დღის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის გამოყენების შესახებ.

**მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდიუმის დადგენილება ირიბად არკადი ნეილანდის მიმართი იქნა გამოტანილი, მას დახვრეტა მაინც არ ემუქრებოდა, რადგან კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს.**

„დემოკრატიის ბაირახტარმა“ ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც მთელი 10 წლის განმავლობაში თავი გამოაცხადა კანონმდებლადაც და კანონის აღმსრულებლადაც, პრინციპულად მოსთხოვა სასამართლოს, არკადი ნეილანდისთვის დახვრეტის განაჩენი გამოეტანა.

1964 წლის 23 მარტს საბჭოთა სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ პირველად გამოიტანა სიკვდილითY დასჯის განაჩენი, იმის მიუხედავად, რომ საკანონმდებლო, სასამართლო და იურიდიული სამყარო აპროტესტებდა კანონის უგულებელყოფას.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმჟამინდელი თავმჯდომარის, ლეონიდ ბრეჟნევის, კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, არკადი ნეილანდი, როგორც ხრუშჩოვის ზვარაკი, 1964 წლის 11 აგვისტოს დახვრიტეს.

**ცნობისათვის:**

***ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა მხოლოდ 2002 წელს გაუქმდა. 1990-დან 2007 წლამდე, 17 წლის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის 56 შემთხვევა აღირიცხა, მათ შორის: ირანში, იემენში, ჩინეთში, კონგოში, ნიგერიაში, პაკისტანში, საუდის არაბეთში, სუდანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (რაც დღესაც ხდება).**

* 2002 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის საკითხი წყდებოდა ხუთმა ხმამ გაიმარჯვა ოთხის წინააღმდეგ. სწორედ იმ ერთმა ხმამ იხსნა 72 ამერიკელი არასრულწლოვანი, რომლებიც დასახვრეტად ჰყავდათ გამზადებული, თუმცა მათ სასჯელი უვადო პატიმრობით შეუცვალეს ყოველგვარი შეღავათის გაუთვალისწინებლად დროზე ადრე გათავისუფლების შესახებ.

***შემაძრწუნებელია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1944 წლის 16 ივნისს 14 წლის ჯორჯ სტინის სიკვდილით დასჯის სცენა.**

ადგილობრივი შერიფის განცხადებით, შავკანიანი ჯორჯ სტინი ქუჩაში ესაუბრებოდა თეთრკანიან გოგონას, რომელიც მეორე დღეს მის მეგობართან ერთად მოკლული ნახეს. სწორედ შერიფის განცხადება გახდა საფუძველი 14 წლის ჯორჯ სტინის სიკვდილით დასჯისა, რომელსაც ასე აღწერს თვითმხილველი:

ჯალათები უხერხულობაში ჩავარდნენ, რადგან განსასჯელი ისე პატარა იყო, რომ მის წვრილ მაჯებს სახელურები არ შემოეჭირა. განსასჯელი ტანითაც პატარა იყო ელექტროსკამისთვის და საჭირო სიმაღლეს ვერ წვდებოდა. ამის გამო შედგა ოქმი და ჯორჯს სკამზე დაუდეს ბიბლია, რომელიც თან ჰქონდა და იმაზე დასვეს, რათა სიმაღლე მომატებოდა და სტანდარტებში მოქცეულიყო.

ახლობლებმა ჯორჯის სიკვდილით დასჯიდან 70 წლის შემდეგ სასამართლოს წარუდგინეს მტკიცებულებები, რომ ჯორჯი მკვლელი არ იყო, ეს მტკიცებულებები გაიზიარა ამერიკულმა სასამართლომ და აღიარა, რომ დაშვებული იყო სამართლებრივი შეცდომა — ჯორჯ სტინი უდანაშაულო იყო.

ამაზეა ნათქვამი: ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის — ოქროც არაო.

სტალინი თურმე ბავშთმოძულე და ტირანი იყო, სხვები კი დემოკრატები და მამა აბრამის ბატკნები.

**გაგრძელება იქნება**

# რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია განახორციელა

**რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება ძალაში შევიდა. მისი რატიფიცირება რუსეთის დუმამ უკვე განახორციელა. რამდენიმე თვის წინათ კი ეს პროცედურა ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. პარლამენტმაც დაასრულა.**

დოკუმენტი ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, აგრეთვე, სოციალურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში. ამას გარდა, ე.წ. შეთანხმება საერთო თავდაცვითი სივრცის შექმნასა და საბაჟო სამსახურების ინტეგრაციას გულისხმობს. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთი ვალდებულია, მესამე ქვეყნის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა მასზე თავდასხმად მიიჩნიოს და შესაბამისი ზომები მიიღოს.

მსგავსი შინაარსის შეთანხმება მოსკოვმა გასული წლის ნოემბერში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთანაც გააფორმა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ მაიკლ ტერნერმა ინტერპოლს თითი რომ უქნია, — არ გაბედოთ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადებაო, ამით საერთაშორისო კანონმდებლობას სცა პატივი თუ ალმართის მხვნელ ძალადობას? რატომ ვერ ხვდებით, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობის ისტერიკული მოთხოვნით სულ დაკარგეთ ავტორიტეტი და საქართველო გაპარსულ ზღარბს დაამსგავსეთ, რომელზეც შიშველი ადგილით დაჯდომა ყველა ბილწს და ოხერს შეუძლია?**

# არ გათეთრდება ყორანი!

**ქართველებს, რაც დრო გადის, „ქართული ოცნების“ გახსენებაზე სინანულით შენელებული გულისტკივილი რჩება. რას დაემსგავსა „ქართული ოცნება“? ალბათ, ამგვარი უსახური არსება მრავალჭირნახულ წარსულშიც ძნელად მოიძებნება. ან რაღა მაინცდამაინც „ქართული ოცნება“ დაირქვეს?! ნუთუ, ასეთი უნდილი, უმარილო და ულიმღამო ოცნებები აქვთ ქართველებს?! განა ქართველთა ოცნება ლგბტ თემის მხარდამჭერი კანონების შემოღება, პედერასტების, სქესობრივად გარყვნილთა და უზნეოთა „აგულავებაა“?!**

დღევანდელი ჩვენი სავალალო ყოფა იმ დიდი იმედების მსხვრევაა, ხელისუფლებიდან „ნაციონალთა“ გადაცურებას რომ ახლდა.

„დაუსჯელობა დანაშაულის უდიდესი წახალისებაა!“ — უთქვამს **ციცერონს** და ვერ შეედავები. გვეგონა, მოვიდა ძალა, რომელიც შეუპოვრად შეუტევდა ყველა ავსა და ბოროტს, დაუსჯელს არ დატოვებდა იმ პარაზიტს, რომელმაც ესოდენი ტკივილი მიაყენა ერთიან ქართულ ორგანიზმს. ზეიმობდა საზარელი უსამართლობის მსხვერპლი ხალხი, თითქოს შვებით ამოსუნთქვას აპირებდა მრავალი უბედურებისგან ძაძით შემოსილი. იდგა დრო ავისა და ბოროტისთვის სათანადო პასუხის მიგების. ბიძინა ივანიშვილს ტრიბუნაზე გათეთრებული შავი ყვავებივით გვერდით ედგნენ მისი ნდობით „შემოსილი“, ოღონდ ხალხში ნდობადაკარგული პარტიების თავკაცები, ბიძინას ავტორიტეტს მაშველი რგოლივით რომ ჩაბღაუჭებოდნენ და პირმოთნე ღიმილით ერთგულების შაქრად დნებოდნენ.

**საქართველოს გაუმარჯოს! — გაიძახოდა ბიძინა, მას ღრიალით სდევდა პირმოთნეთა ანგარებიანი ერთგულება და გუგუნებდა იმედით აღვსილი გულუბრყვილო ხალხი — შეჰყურებდა ბიძინას ამალაში შეგროვილ გათეთრებულ ყვავებს და ავიწყდებოდა მამაპაპური სიბრძნე: არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!** ნაწამებთა, გაძარცვულთა და დამცირებულთა იმედად ცეცხლს აფრქვევდა თემიდას მახვილი. დამფრთხალი ნაცხროვა ვირთხის სოროში შესაძრომად ბარგს კრავდა; უამრავი ბრალდება მუშტად იკვრებოდა; ბიძინას გამარჯვებული კოალიცია ხალხისთვის თავდადებით მებრძოლ ავანგარდად ინათლებოდა...

სამართლიანობის ზეიმის იმედად გამოჩნდა პროკურორი **კბილაშვილი.** მას შეეძლო, ერისკაცობას ზიარებოდა, მაგრამ იწვალა, ივაგლახა, ბევრის მოლოდინი გაახუნა, თემიდას მახვილსაც დაუბლაგვა ფხა და ლოკოკინის კვალის დატოვებით იმ ნაჭუჭში შეძვრა, რომელშიც კუჭის დემონთა მბრძანებელი.

ანტიეროვნული, მოღალატეობრივი, ქვეყნის დამაქცევარი მოქმედებისთვის ხალხი „ნაციონალთა“ გასამართლებას ელოდებოდა, მაგრამ გაირკვა, რომ ყორანი არ გათეთრებულა და ამოიღეს კიდეც ხმა, — „ნაციონალები“ უნდა შევინარჩუნოთო! და მოგონილი კოჰაბიტაციით ჩაეხუტნენ მათ. გაწბილებულ ხალხს კი უკვე მერამდენედ შემოაბნელდა სამართლიანობის აღდგენის ნათელი იმედი.

რა ძალა ჰქონია კოჰაბიტაციას, რომ „ქართული ოცნება“ სარეველამორეულ ნაკვეთში დაკნინებული კულტურულ მცენარესავით ჩაიკარგა და ველარ გვიპოვია.

**რადგან ასე თავდავიწყებით ვროკავთ ევროატლანტიკური დუდუკის ანტიეროვნულ ჭყვიტინზე და ერთსქესიანთა ქორწინების აღვირახსნილობა კარზე გვიკაკუნებს, მივიღეთ რესპუბლიკელებისა და „ოცნების“ ერთსქესიანთა კავშირი.**

**კალიების ერთ-ერთი სახეობა მტაცებელია — სხვა მწერებით იკვებება. სქესობრივი აქტის დროს დედალი იწყებს მამლის ჭამას და აქტის დამთავრებისას უკვე შეჭმული ჰყავს. სწორედ ასე, ნელ-ნელა მიირთმევს რესპუბლიკელთა გაუმაძღრობა „ქართული ოცნების“ არსებობას. ალბათ, შორს აღარ არის დრო, „მეოცნებენი“ კოჰაბიტაციის ნაჭუჭიდან „რესპუბლიკურად“ რომ შემოგვძახებენ: არავითარი საქართველოს გაერთიანება, გაუმარჯოს გადაგვარება-გარყვნილებას!“**

ე.წ. ევროატლანტიკურ მისწრაფებას კი უზნეობის დამამცირებელი შემოთავაზება და მისი აბების ძალით გადაყლაპვის მცდელობა ახლავს. **ევროპის სასამართლომ საქართველო 30 ათასი ევროთი დააჯარიმა პედერასტების სასარგებლოდ, — როგორ გაბედეთ გარყვნილთა აღლუმის გაპროტესტებაო. ჯერ სად არის, — ევროპას მათხოვარივით რომ მიდგომიხარ და ყელის გამოწევით ეხვეწები, ევროპელად მიმიღეთო, და დღეს პარლამენტში ლგბტ თემის მფარველები სხედან, ხვალ იქ პედერასტების ყოფნას მოგვთხოვენ.** თუ უკმაყოფილებას გაბედავ, ისეთ ჯარიმას გამოგიწერენ, რომ ისედაც გამოხრულ ბიუჯეტს თავზე დაგამსხვრევენ. ჰოდა, იმანო, **ევროპელობას ასე უცერემონიოდ რომ ეტენები, — მეც ევროპელი გამხადეო, პედერასტებიც უნდა ჩაიხუტო, ერთსქესიანთა ქორწინებაც ამრავლო და თვითონაც გაპედერასტდე.**

**კოჰაბიტაციამ ისე დააბეჩავა „მეოცნებეთა“ კოალიცია, რომ „ნაცებს“ ეჯიბრებიან ნატოსა და ევროატლანტიკელებთან ლაქუცში.** დანაღმულ ველზე ხომ არ დადიხართ, ასე ზუსტად რომ ადგამთ ფეხს „ნაციონალთა“ ნაფეხურებზე?! ისინი უცხოეთის ჯინჯილიანი ძაღლიშვილები არიან, როგორც უნდა იბეჯითოთ, ლიქნში მაინც ვერ აჯობებთ. მაგრამ იმას კი მიაღწევთ, ევროატლანტიკურმა ლაქუცმა ეგ მისწრაფება ნამდვილ დანაღმულ ველად გიქციოთ.

**ხალხი მოითხოვს ცხინვალის ავანტიურის, რუსეთ-საქართველოს ომად რომ ნათლავენ, გამოძიებას და ქვეყნის დამაქცევართა სათანადოდ დასჯას. რატომ მიჩუმათდა ერის ამ ღია ჭრილობის მკურნალობის საქმე?**

ვის აქვს უფლება, ქართველ ხალხს აუკრძალოს ჭეშმარიტების სააშკარაოზე გამოტანა და დამნაშავეთათვის სათანადოდ მიზღვა?! განა ამან ამერიკის სახე არ გააშიშვლა?

**ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ მაიკლ ტერნერმა ინტერპოლს თითი რომ დაუქნია, — არ გაბედოთ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადებაო, ამით საერთაშორისო კანონმდებლობას სცა პატივი თუ ალმართის მხვნელ ძალადობას? რატომ ვერ ხვდებით, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობის ისტერიკული მოთხოვნით სულ დაკარგეთ ავტორიტეტი და საქართველო გაპარსულ ზღარბს დაამსგავსეთ, რომელზეც შიშველი ადგილით დაჯდომა ყველა ბილწს და ოხერს შეუძლია?!**

დღემდე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ მიხვდა, რომ მისი სიძლიერე ხალხის ინტერესების დაცვაშია. უცხოეთის ცურზე მოჭიდებული მარიონეტის ბოლო კი ისეთი რისხვა და პანღურია, რომლისგან ვერავითარი ძლიერი მფარველი ვერ დაიცავს.

**ამერიკელები მართლმსაჯულებისთვის არ იმეტებენ თავიანთ ძაღლიშვილს, რომლის ღალატითაც შეძლეს საქართველოს გაერთიანების მცდელობის მოუსავლეთში გადატანა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივის გახუნება;** შედეგად, ქვეყანა აღვირით სამართავ არსებად გაიხადეს. **ამერიკის ელჩად წოდებული, ფაქტობრივად, 51-ე შტატის გუბერნატორი, გაყოყოჩებული დაგვცინის და, საითაც უნდა, იქით მიგვაგრიხინებს; თუ კისერს მოვიტეხთ, ჩვენსავე თავქარიანობას დააბრალებენ.**

**განა მასხარად აგდებაზე უარესი არ არის, როცა თავდაცვის მინისტრად მოულოდნელად დაგვინიშნეს თავის დროზე ამერიკული გრანტებით ნაკვები დედაკაცი** და გაათავისუფლეს სამხედრო საქმის მცოდნე, პრინციპული მინისტრი, რომელმაც განაცხადა, — უკრაინაში ქართველი სამხედროების წასვლა არ შეიძლებაო.

აშშ-ის ელჩად წოდებულმა საქართველოს გუბერნატორმა მოხსნა პრინციპული მინისტრი და მის ადგილზე დედაკაცი დანიშნა, — როგორებიც ხართ, ისეთივე მინისტრს იმსახურებთო. ეს ამბავი ახალგაღვიძებულმა პრემიერმინისტრმა თვალების ფშვნეტისას შეიტყო. მაგარი ბიჭი ხარ და შეედავე, დინების საწინააღმდეგოდ მოცურავის ბრალდება არ აგცდება.

პოზიციასა თუ ოპოზიციაში კაცი არ გამოჩნდა, თამამად ეთქვა, რომ კიტრი არ არის შემოთავაზებული ბადრიჯანი, რომელზეც გვეუბნებიან, დალეჭეთ, რადგან ჩვენ ასე გვეხუშტურებაო. თუ იაპონიაში ახალ თაობას თავში უტენიან, რომ მათი ქვეყანა ატომით რუსეთმა დაბომბა, საქართველოში ნორლანდის ქვეშევრდომები გვაბოლებენ, ევროპაში შევდივართ კი არა, თურმე იქ ვბრუნდებით!

**თქვენ თუნდაც ასჯერ დაბრუნდით ევროპაში, ოღონდ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქართველი ერი კავკასიური წმინდათაწმინდა ტრადიცი-** ▶



**კალიების ერთ-ერთი სახეობა მტაცებელია — სხვა მწერებით იკვებება. სქესობრივი აქტის დროს დედალი იწყებს მამლის ჭამას და აქტის დამთავრებისას უკვე შეჭმული ჰყავს. სწორედ ასე, ნელ-ნელა მიირთმევს რესპუბლიკელთა გაუმაძღრობა «ქართული ოცნების» არსებობას. ალბათ, შორს აღარ არის დრო, «მეოცნებენი» კოჰაბიტაციის ნაჭუჭიდან «რესპუბლიკურად» რომ შემოგვძახებენ: არავითარი საქართველოს გაერთიანება, გაუმარჯოს გადაგვარება-გარყვნილებას!»**

მსოფლიო



## ვროკავშირის ფინანსთა მინისტრებისა და საბერძნეთის მთავრობის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა

**ლუქსემბურგში საბერძნეთის ეკონომიკურ კრიზისზე საგანგებო შეხვედრა გაიმართა ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებსა და საბერძნეთის მთავრობას შორის, თუმცა ეს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. საბერძნეთს ორ კვირაზე ნაკლები აქვს იმისათვის, რომ საერთაშორისო კრედიტორებთან შეთანხებას მიაღწიოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ფულის გარეშე დარჩება, რასაც დეფოლტი და შესაძლოა, საბერძნეთის ევროზონიდან გასვლა მოჰყვეს.** ევროკომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის ცენტრალური ბანკი ათენისგან გარკვეული რეფორმების, კერძოდ, საპენსიო და საბიუჯეტო ცვლილებების გატარებას მოითხოვენ, რაზეც საბერძნეთის მთავრობა არ თანხმდება.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ისინი, ვისი ავტორიტეტიც ხალხში ნულთან ახლოსაა, ევროატლანტიკურ „თანამეგობრობაში“ ჩახუტებული ჰყავთ. უშფოთველად სხედან „ნაციონალთა“ ნამუხთლარ პარლამენტში, აფრიალებენ „ნაციონალთა“ მიერ მითვისებულ ჯვაროსნების ხუთჯვრიან და ევროკავშირის დროშებს და ელაქუცებიან ევროატლანტიკელ მფარველებს. ევროპელები კი, ალბათ, გაკვირვებულნი კითხულობენ, — ნეტა, ესენი ვინღა არიან, ასე რომ გვეგლისებიანო?!

**◀ ების მქონეა. მის მეზობლადაც წინაპართა ხსოვნის, უფროსი თაობის, ოჯახის სიმტკიცის, მორალის, ზნეობის სქესობრივი სისპეტაკის თაყვანისმცემელი ხალხები ცხოვრობენ. გარყვნილება-გადაგვარებისა და უზნეობის დამკვიდრებით, გინდათ, საქართველოს გაერთიანება?!**

აზერბაიჯანის ლგბტ-არასამთავრობო ორგანიზაციამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. **ისა შამილმა** (მათმა ვაჭარაძემ) თავი ჩამოიხრჩო. ევროსასამართლომ კი აზერბაიჯანს, რომელიც ევროკავშირს არ ელაქუცება, სიტყვა ვერ შეჰბედა, არათუ დააჯარიმა. ჩვენთან კი **ლგბტ ვაჭარაძე** პატრიარქს ლანძღავს და პრეზიდენტის „რაიხსტაგში“ დიდი პატივით სარგებლობს.

აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის პრობლემა აქვს და, თანამოძმე თურქეთის დიდი **მხარდაჭერის მიუხედავად, ესმის, რომ რუსეთის გარეშე ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. ჩვენსავით ლანძღვა-გინებით კი არ იკლებენ რუსეთს, — ნორმალური ურთიერთობით ინარჩუნებენ სტაბილურობას, სიმშვიდესა და წარმატებას. მათ ჰყოფნით ჭკუა, რომ რუსეთი არ ლანძღონ, ჩვენ კი რუსეთის ლანძღვითა და ევროატლანტიკურ კარზე მათხოვარივით კაკუნით უბედურებას ვიმკით.** აზერბაიჯანელები არც ევროპის ლაქიაობას კადრულობენ, ამიტომაც მათ უფრო მეტი პატივით ეპყრობიან, ვიდრე ევროპელობის ბაცილაშეყრილ საქართველოს.

**ევროპასთან სავიზო რეჟიმის გაუქმების ისტერიკას თითქმის მთელი „ოცნება“ მიახარჯეს. იფიქრებდი, ამის შემდეგ საოცნებო აღარაფერი იქნებოდა. არადა, რამხელა „შეღავათია“, დავრდომილი მოხუცების მოსავლელად ქართველი მანდილოსნები უვიზოდ რომ წავლენ უცხოეთში?!** ევროპელობის შეპირებას იმ გიჟის მოლოდინით ვხვდებით, აღფრთოვანებული რომ იყო, — მშრალ აუზში თავდაყირა ვხტებით და ფსიქიატრიულის უფროსი შეგვპირდა, თუ კარგად მოიქცევით, წყალს ჩაგისხამთო.

არადა, **ამაზე კარგად როგორღა უნდა მოვიქცეთ, როცა ევროპელობის ფსიქოზს აყოლილები, მზად ვართ, წინაპართა სისხლით მორწყული მიწები უცხოელებს გადავულოცოთ; პედერასტებს, ლესბოსელებსა და ათასი ჯურის სქესობრივ მანიაკებს მამაპაპური ზნეობა, მორალი და ეროვნული სიამაყე ვანაცვალოთ?!**

მსოფლიოში საამაყო ქართული მწერლობა ქვიშაზე ამოგდებულ კალმახს დავამსგავსეთ; **გარყვნილ, უზნეო, მყრალი ტუალეტის მწერლებს წიგნების გამოქვეყნებას ვუფინანსებთ, პრემიებს ვაძლევთ და საზღვარგარეთ ვგზავნით თავიანთი ნაცოდვილარით უცხოელთა „გასაოცებლად“. ნამდვილ მწერლებს კი კერძო მეწარმეობას ვთხოვთ და, თუ რამეს გამოქვეყნება მოახერხეს, წილში ვუდგებით.**

**რეცეპტების გარეშე წამლების გაცემა ავკრძალეთ,** რათა ისედაც დამშეული პენსიონერები როგორმე მოვიცილოთ. მათი პენსია ხომ ვირთხის მიერ გამოსრუტულ კვერცხის ნაჭუჭს დავამსგავსეთ. ახლა დამშეულებს ან პენსიის მიღების, ან რეცეპტის აღების რიგში ამოსძვრებათ სული.

ახლა ერთსქესიანთა ქორწინებასაც დავაკანონებთ და იმ მოთხოვნებსაც შეგისრულებთ, დამშეულ-დაბეჩავებული ხალხისთვის ბოლომდე რომ ვერ გაგვიმჟღავნებია.

საგარეო საქმეთა მინისტრად ბერძენიშვილს დავსვამთ და ამ ანტიეროვნულ სამთავრობო ბუკეტს კაბინეტში მივართმევთ მაკკეინს, მაიკლ ტერნერს, გუბერნატორ ელჩს, რათა ყოველდღე მისი სურნელით დატკბნენ.

სხვა რაღა ვილონოთ, მოგეცათ ეგ არასავიზო რეჟიმი და ისედაც განახევრებული ქვეყანა ქართველთაგან სულ დაიცლებოდა. აი, მერე კი სრულიად თავისუფლად „იგულავებდით“ აღმა-დაღმა. ოღონდ სიფრთხილეა საჭირო, ღვთისმშობლის კუთვნილის მითვისება ღვთის რისხვად რომ არ გექცეთ!

ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ ყველა მრუდისა და უკუღმართის მიმართ რისხვაჩამდგარი მუქარის მოსმენისას გული გაგინათდება, იფიქრებ, ეს გვიშველისო. მაგრამ ბოლოს ამბობენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტერიტორიების დაბრუნებასა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ამერიკელთა შუამდგომლობით მივაღწევთო. ამაზეა ნათქვამი, ფონი კარგია, მაგრამ ერთგან ახრჩობსო. **თუ ტერიტორიების დაბრუნება და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ამერიკელთა შუამდგომლობით შეიძლება, დღეს ისინი საქართველოს ფაქტობრივი გამგებლები არიან და რატომ არ სურთ ჩვენი ტკივილის მოშუშება?! რატომ ვერ ვხვდებით, რომ ამერიკას დასუსტებული, დაჩეხილი, გაძვალტყავებული და გამათხოვრებული საქართველო სჭირდება?!** ცხოვრების ჩარხი კი ბრუნავს და განუკითხაობის ჭაობში უფრო ღრმად ვეფლობით. დამოუკიდებლობის ღრიალით ისეთი მტაცებლის ხახაში მოვხვდით, ერი ჩვენ თვალწინ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადგა. ხელისუფლებაში ხალხზე მზრუნველი მამულიშვილების მოყვანა ვერ შევძელით. სამაგიეროდ, მომრავლდნენ ქვეყნის მაცოცხლებელ არტერიაზე მოჭიდებული სტომაქის მონა, ცრუპატრიოტი, ყბედი და დემაგოგი ადამიანები.

ცხინვალის მხრიდან ქართველთა რეგულარული გატაცებისა და მერე მათ დაბრუნებაზე ევროპაში ჩივილის ფონზე, როგორ უნდა გვაბითურებდნენ დასავლელი „მეგობრები“, რომ თურმე ავღანეთში, აფრიკაში თუ სადღაც, ცხრა მთას იქით უცხოტომელებთან ბრძოლით საქართველოს ვიცავთ. ირგვლივ მიმოვიხედოთ, რომელიმე დამოუ-



**სრულიად ერი თქვენი კუჭის ბორგვას უნდა გადააყოლოთ? თქვენს პრემიებსა და ხელფასის დანამატს ბიუჯეტი ვეღარ აუდის. როგორ არ უნდა იკმაროთ ის, რაც რიგითი ქართველის შემოსავალზე ასჯერ მეტია?! საკუთარ თავზე მზრუნველ პარლამენტში დეპუტატს, 18 წლისაა თუ 118-ის, ისეთ მუდმივ პენსიას უნიშნავენ, რომ პენსიონერი ვერც კი იოცნებებს. ეს ხდება ქვეყანაში, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები შიმშილით იხოცებიან**



კიდებელ ქვეყანას ჰყავს უცხოეთის ლაქუცზე მორგებული ამგვარი ხელისუფლება?!

**სრულიად ერი თქვენი კუჭის ბორგვას უნდა გადააყოლოთ? თქვენს პრემიებსა და ხელფასის დანამატს ბიუჯეტი ვეღარ აუდის. როგორ არ უნდა იკმაროთ ის, რაც რიგითი ქართველის შემოსავალზე ასჯერ მეტია?! საკუთარ თავზე მზრუნველ პარლამენტში დეპუტატს, 18 წლისაა თუ 118-ის, ისეთ მუდმივ პენსიას უნიშნავენ, რომ პენსიონერი ვერც კი იოცნებებს. ეს ხდება ქვეყანაში, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები შიმშილით იხოცებიან.** ამას დავუმატოთ ყველა ყოფილი მაღალჩინოსნისთვის დაცვის დანიშვნა და, თუ კვლავ ასე გაგრძელდა, ბიუჯეტი მათ ძირგავარდნილ მადას არ ეყოფა.

ასეა, **ევროატლანტიკური ზომბირების შხამის შეშხაპუნება ადამიანში ერისა და ბერის სიყვარულს ბოლოს უღებს.**

არც პარლამენტარები და არც პრეზიდენტი ხალხისგან დავალებული არ არიან, რადგან ხალხმა ხმა ბიძინას მისცა კეთილდღეობის მოპოვების იმედით. მის მიერ ხალხისთვის შემოსაღებულ ურეიტინგო პარტიებს კი დღეს ბაირამობა აქვთ და ჰგონიათ, სამყარო მათ ირგვლივ ტრიალებს. ერთი კი ცხადია — **ისინი, ვისი ავტორიტეტიც ხალხში ნულთან ახლოსაა, ევროატლანტიკურ „თანამეგობრობაში“ ჩახუტებული ჰყავთ. უშფოთველად სხედან „ნაციონალთა“ ნამუხთლარ პარლამენტში, აფრიალებენ „ნაციონალთა“ მიერ მითვისებულ ჯვაროსნების ხუთჯვრიან და ევროკავშირის დროშებს და ელაქუცებიან ევროატლანტიკელ მფარველებს. ევროპელები კი, ალბათ, გაკვირვებული კითხულობენ, — ნეტა, ესენი ვინღა არიან, ასე რომ გვეგლისებიანო.**

უკრაინასთან ურთიერთობა ხომ მწარე ღიმილის მომგვრელი უთავმოყვარეობის მაგალითია. საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არაფრად აგდებენ და „ნაციონალებს“ საქართველოში სარევანშოდ ასათბურებენ. შენ რაღას ეტმასნები, მის ევროამერიკულ როკვას უნდა გადააყოლო თავმოყვარეობა?! საქართველოს ხელისუფლება ვარო, მაინც ნულა იბრალებ, აღიარე ამერიკელთა მარიონეტობა და ყველა ანტიეროვნული ცოდვის ბრალდება მოგეხსნება. რუსეთთან კონფრონტაციის უცხოეთის დავალებას თუ ასრულებ, რა შუაშია ფაშისტური ჭირის განადგურებაში საქართველოს უდიდესი ღვაწლის უსირცხვილოდ გახუნების მცდელობა, რასაც დორბლის ნთხევით ესწრაფვიან ქართველი ნეოფაშისტები.

თვითონ გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** გადაუხადა მადლობა საბჭოთა მეომრებს ფაშისტური უბედურებისგან გერმანიის დახსნისთვის, ჩვენთან კი ნაცისტები სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკებს ანგრევენ და პასუხს არავინ სთხოვთ.

**რაც უნდა ეცადოს ისტორიის გაყალბების ჭაკაზე ამხედრებული დასავლეთი, წაღმას უკუღმა ვერ დაატრიალებს. ფაშიზმი კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა, სტალინმა, დაასამარა. ქართველმა ქანთარიამ რუს ეგოროვთან ერთად ააფრიალა რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა; ქართველი მხატვრის — თოიძის გენიალური პლაკატი აღაფრთოვანებდა მებრძოლებს ომის განმავლობაში; ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ ამერიკის ოდენი მსხვერპლი გაიღო და არ ეკუთვნოდა, გამარჯვების 70 წლისთავი დამსახურებისამებრ ეზეიმა?!**

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გერმანიის ფაშიზმი ევროამერიკელებმა გამოკვებეს რუსეთის დასაკბენად. ახლა კი უკრაინაში ნეოფაშისტებს ანებივრებენ და ქართველ ნაცისტებს აყეფებენ.

არადა, დაღუპვის გზაზე შემდგარი ქართველი ერის გადარჩენა ისევ ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობას შეუძლია. ერთხელ ხომ უკვე გადაგვარჩინა?!

გამოფხიზლებას იწყებს ქართველთა თვითგადარჩენის მძლავრი გენი, რომელიც ევროატლანტიკური უბედურების ჯადოს მალე მოისვრის მოუსავლეთში და საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობით კვლავ გამთლიანდება, აღორძინდება, აყვავდება და გამარჯვებას მასთან ერთად იზეიმებს!

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი



## პატრიარქმა სტიქიით დაზარალებულ რვასულიან ოჯახს ოთხოთახიანი ბინის გასაღები გადასცა

**წყნეთის ხევში დაზარალებული ოჯახი საცხოვრებელი ფართობით უკვე უზრუნველყოფილია. ენუქიძეების ოჯახს კათოლიკოს-პატრიარქმა ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ოთხოთახიანი ბინის გასაღები გადასცა.** უწმინდესისა და უნეტარესისგან დაზარალებულებმა ფულადი დახმარებაც მიიღეს. ბინის გასაღების გადაცემას პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც ილია მეორეს დაზარალებული ოჯახის დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდებას ენუქიძეების რვასულიანი ოჯახის ერთი წევრი ემსხვერპლა, წყალდიდობამ მათი სახლი მთლიანად გაანადგურა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოფიციალური პროგრამის“ 15 პუნქტს შორის აღნიშნული იყო: ევროპული სტრატეგია, გლობალიზაცია, საბერძნეთი, ირანი, ახლო აღმოსავლეთი, ნატო, რუსეთი, ტერორიზმი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები, ქიმიური იარაღის გამოყენების საფრთხეები. მაგრამ, დამსწრეთა შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთავარი ყურადღება ეთმობოდა თემებს: „ხელოვნური ინტელექტი“, „კიბერნეტიკული უსაფრთხოება“ და „მიმდინარე ეკონომიკური პრობლემები“.**



# გლობალური ელიტა ელექტრონულ საკონცენტრაციო ბანაკს აშენებს

**წლეულს, 11-დან 14 ივნისამდე, ავსტრიის ალპებში მდებარე ტელფსში, სასტუმრო InterAlpen-ში ბილდერბერგის კლუბის 63-ე ყოველწლიური სხდომა გაიმართა. ამ შეკრების თავისებურება იყო ის, რომ ის შედგა „შვიდიანის“ ლიდერების შეხვედრის (9-10 ივნისი) და ასტანის მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერთა მეხუთე ყრილობის (7-8 ივნისი) დასრულებისთანავე. სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა კუთხიდან განიხილებოდა ერთი და იგივე საკვანძო პრობლემა — გლობალური მმართველობის მექანიზმის შექმნა.**




**როგორც ყოველთვის, შეხვედრაში მონაწილეობდა ჰენრი კისინჯერიც, ნატოს გენერალური მდივანიც, წამყვანი ბანკებისა და კომპანიების ხელმძღვანელებიც, ამასთანავე, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი კომპანია — Google იყო წარმოდგენილი სამი ადამიანით: პრეზიდენტი ერიკ შმიტი, ვიცე პრეზიდენტი დემის ჰასაბისი და ხელმძღვანელობის წევრი რეჯინა დუგანი**



თუ „დიდი შვიდეულის“ შეკრებაზე ყურადღება დაუთმეს ტერორიზმისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას, ფინანსური ბაზრების რეგულირებას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გაძლიერებას, აშშ-სა და ევროკავშირს შორის ტრანსატლანტიკური პარტნიორობის ჩამოყალიბებას, ასევე გადასახადებისთვის თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლას, ებოლას ციებცხელებასთან გამკლავების გზებსა და „გლობალური ეკოლოგიის“ სისუფთავეს, ასტანაში გამართული ეკუმენისტური შეკრება მიმდინარეობდა „გლობალური ეთიკის“ ნიშნით.

ნიშანდობლივია, რომ ასტანის შეხვედრის შედეგების შესახებ დეკლარაციის ტექსტი წაიკითხა საერთაშორისო დიალოგის სფეროში პაპის საბჭოს პრეზიდენტმა **ჟან-ლუი ტორანმა** და არა შეკრებაზე დამსწრე გაეროს გენერალურმა მდივანმა **პან გი მუნმა** ან ეუთოს გენერალურმა მდივანმა **ლამბერტო ზანიერიმ.**

ეს ყველაფერი ღიად განსახილველი საკითხებია, კონტროლის რეალური მექანიზმები კი დახურულ კარს მიღმა განიხილებოდა. წელს **„ბილდერბერგის კლუბმა“ მიიღო განსაკუთრებით მკაცრი გადაწყვეტილებები ინფორმაციის რაიმე სახით გაჟონვის თავიდან ასაცილებლად** — სამხედრო საკონტროლო-გამშვები პუნქტებით გადაკეტეს გზები, რომლებიც სასტუმრო InterAlpen-ისკენ მიდის, და შეხვედრის ადგილის გარშემო დაამონტაჟეს მობილური კავშირის დამხშობი უახლესი აპარატურა. არადა, ევროკავშირის ქვეყნებში, ევროკომისიის დირექტივის შესაბამისად, ამგვარი ტექნიკის გამოყენება არაკანონიერია. პოლიციამ განაცხადა, რომ ნებისმიერი, ვისაც უსაფრთხოების პერიმეტრზე აიყვანდნენ, 500 ევროთი დაჯარიმდებოდა ან ორი კვირით ციხეში აღმოჩნდებოდა.

შედეგად, გარდა მონაწილეთა სახელებისა და განხილვის თემებისა, „ბილდერბერგის კლუბის“ ამ შეხვედრის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაჟონილა, მაგრამ ეს სიები ბევრს არაფერს ამბობს, რადგან საკითხები, რომელთაც სინამდვილეში განიხილავენ ხოლმე ამგვარ შეხვედრებზე, არასდროს საჯაროვდება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არ გაუშუქებიათ ეს მოვლენა და, მიუხედავად იმისა, რომ ტელფსში შეხვედრას მასმედიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ისინი დუმილს არჩევენ. მედიასაშუალებების წარმომადგენელთაგან დამსწრეთა შორის იყვნენ კანადელი ჟურნალისტი და National Post-ის გამომცემელი ენდრიუ კოინი, გაზეთ Bloomberg News-ის (ეს გაზეთი დღეში 5 000-მდე სტატიას აქვეყნებს და მსოფლიოში 150 წარმომადგენლობა აქვს) მთავარი რედაქტორი ჯონ მიკლტუეიტი, Economist-ის მთავარი რედაქტორი ზანი მინტონ ბედოსი, რომელიც კარნეგის ფონდის ადმინისტრაციული საბჭოს წევრიცაა, თავის დროზე კი მსოფლიო სავალუტო ფონდის ბანკსტერებზე მუშაობდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ Finanical Times-ის მთავარი მიმომხილველი, ცენტრალური ბანკების გულმხურვალე დამცველი **მარტინ ვოლფი**, ამ გაზეთის ყოფილი დირექტორი **რონა ფერჰედი**, რომელიც დღეს BBC Trust-ს ხელმძღვანელობს და უმსხვილესი საბანკო კონგლომერატის — HSBC-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია. საინტერესოა, რომ, როდესაც ფერჰედი BBC Trust-ში დაინიშნა, HSBC-ის ზოგიერთმა აქციონერმა მისი იურიდიული დევნა დაიწყეს ტერორისტებისა და მექსიკური ნარკოკარტელებისთვის ფულის გათეთრების საქმეში დახმარების ბრალდებით.

საიდუმლო არ არის, რომ ამერიკული და ბრიტანული მასმედიის უკიდურესი მონოპოლიზაციის გამო, ასევე, მასმედიის ხელმძღვანელების უმჭიდროესი კავშირების გამო სახელმწიფოების ხელისუფლებებთან მოქმედებს უმკაცრესი ცენზურა, რომელიც უზრუნველყოფს მათ სრულ ურთიერთქმედებას, რომლის დროსაც ისინი მუშაობენ პოლიტიკური პოზიციის ერთ საკმაოდ ვიწრო სპექტრში და საზღვრებში. ასე რომ, ჩამოთვლილი პირების შეხვედრაზე დასწრება მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ იდეები, რომლებსაც იქ განიხილავდნენ, შეუმჩნევლად და საჭირო კალაპოტში გაჟონავს მათ გამოცემებში საჭირო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით.

და მაინც, მიუხედავად „ბილდერბერგის კლუბის“ შეხვედრის ესოდენი გასაიდუმლოებისა, დამსწრეთა სია და განხილული თემების ჩამონათვალი შესაძლებელს ხდის შემდგარი დისკუსიის მთავარი ტენდენციის განსაზღვრას. **„ოფიციალური პროგრამის“ 15 პუნქტს შორის აღნიშნული იყო: ევროპული სტრატეგია, გლობალიზაცია, საბერძნეთი, ირანი, ახლო აღმოსავლეთი, ნატო, რუსეთი, ტერორიზმი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები, ქიმიური იარაღის გამოყენების საფრთხეები. მაგრამ, დამსწრეთა შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთავარი ყურადღება ეთმობოდა თემებს: „ხელოვნური ინტელექტი“, „კიბერნეტიკული უსაფრთხოება“ და „მიმდინარე ეკონომიკური პრობლემები“.**

**როგორც ყოველთვის, შეხვედრაში მონაწილეობდა ჰენრი კისინჯერიც, ნატოს გენერალური მდივანიც, წამყვანი ბანკებისა და კომპანიების ხელმძღვანელებიც, ამასთანავე, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი კომპანია — Google იყო წარმოდგენილი სამი ადამიანით: პრეზიდენტი ერიკ შმიტი, ვიცე პრეზიდენტი დემის ჰასაბისი და ხელმძღვანელობის წევრი რეჯინა დუგანი.**

ამ უკანასკნელის განვლილი გზა ძალზე ნიშანდობლივია, რადგან ასახავს, რა მჭიდროდაა დაკავშირებული Google აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან. 2009 წლის შუა პერიოდიდან 2012 წლამდე დუგანი სათავეში ედგა DARPA-ს — პენტაგონის მოწინავე თავდაცვითი კვლევითი პროექტების სააგენტოს, რომელიც პასუხისმგებელია უახლესი ტექნოლოგიების შემუშავებასა და განვითარებაზე ამერიკის შეიარაღებულ ძალებში მათი გამოყენების მიზნით. ახლა იგი ხელმძღვანელობს „სპეციალურ პროექტებს“ „გუგლის“ კუთვნილ კომპანიაში Motorola Mobility.

რეჯინა დუგანი ცნობილია, როგორც ტოტალური თვალთვალის დამყარების მომხრე. მის მიერ ყველაზე აქტიურად მხარდაჭერილ პროექტებს შორის არის ელექტრონული ტატუირება იმ პლასტირის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს არადაბეჭდილ ელექტრონულ სქემას ანტენითა და ორიოდე სენსორით, რომელიც შეიძლება ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მექანიზმის ნაწილად გამოდგეს. ამგვარი ტატუირება დუგანმა საკუთარ ხელზეც გაიკეთა, ხოლო მისი შემქმნელი არის კომპანია MC10, რომელიც ზემოხსენებული Motorola Mobility-ს პარტნიორია. **დუგანის ხელმძღვანელობით შემუშავებული კიდევ ერთი პროექტია პიროვნების ბიომეტრიული იდენტიფიცირების მეთოდი — მიკროჩიპი, რომელსაც შეიცავს ელექტრონული „აბი“. ეს „აბი“ ორგანიზმში მოხვედრისთანავე იწყებს 18-ბიტიანი რადიოსიგნალის ტრანსლირებას.** ის გასაღებივით იწყებს მოქმედებას ტელეფონთან ან კომპიუტერთან შეხებისას. „აბები“ უკვე სერტიფიცირებულია ამერიკის სანიტარული ზედამხედველობის საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების სამმართველოს (FDA) მიერ და მათ წარმოადგენს კალიფორნიული კომპანია Proteus-ი. შემქმნელები ირწმუნებიან, რომ ადამიანს შეუძლია, სიცოცხლის ბოლომდე ყოველგვარი დაავადების გარეშე მიიღოს დღეში 30 ამგვარი „აბი“.

▶

მსოფლიო



## აშშ-ის სენატმა უკრაინის ჯარისთვის 300 მილიონი დოლარი გამოყო

**აშშ-ის სენატმა დაამტკიცა 2016 წლის სამხედრო ბიუჯეტი, რომელმაც 612 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.** აქედან 300 მილიონი დოლარი გათვალისწინებულია უკრაინისთვის სახმედრო დახმარებისთვის. ახალი კანონპროექტი საშუალებას აძლევს აშშ-ის თავდაცვის მდივანს, სახელმწიფო მდივანთან კოორდინაციით ამ თანხის შესაბამისი დახმარება გაუწიოს უკრაინის შეიარაღებულ ძალებს. 300 მილიონიდან ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი 60 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც უნდა დაიხარჯოს უკრაინის ჯარისთვის სამხედრო ტექნიკის გადაცემაზე, დანარჩენი თანხა კი — უკრაინის ჯარის გაწვრთნაზე, ლოჯისტიკის მოგვარებაზე, მომარაგებაზე და სხვ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ ამ დასავლური ინტერვენციის შედეგია მსოფლიოში მიმდინარე დაუსრულებელი ომები. „შვიდეული“ ახდენს ომების, აგრესიის, არაადამიანური სანქციებისა და ტერორის პროვოცირებას არა მხოლოდ ერაყსა და სირიაში, არამედ ევროპაშიც, კერძოდ უკრაინაში, სადაც ხელისუფლებაში მოიყვანეს მემარჯვენე რადიკალები და ფაშისტები — აშშ-ის მარიონეტები.**

◀ ამგვარი მიღწევები არის DARPO-ს მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება, ეს კომპანია არა მხოლოდ მიკროსისტემებითა და სტრატეგიული ტექნოლოგიებით არის დაკავებული, არამედ საინჟინრო ბიოლოგიით, მათ შორის გენური ინჟინერიითა და ნეირომეცნიერებების ასპექტებითაც.

თავის მხრივ, სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს Google-თან, რომელიც, NASA-ს მსგავსად, ცხოვრებაში ახორციელებს ტრანსჰუმანიტარულ ფორსაიტ-პროექტებს, რომლებიც შემუშავდება NASA-ს სინგულარობის უნივერსიტეტში. ეს კვლევები მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის გონების მართვისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შექმნისკენ. კლუბის შეხვედრაზე ამ თემების განხილვა მიანიშნებს მნიშვნელოვან წინსვლაზე „ხელოვნური ინტელექტისა“ და „კიბერნეტიკული უსაფრთხოების“, ასევე „ელექტრონული ხელისუფლების“ შექმნის სფეროებში მნიშვნელოვან წინსვლაზე და იმაზეც, რომ გლობალური ელიტა სერიოზულად აღიქვამს საზოგადოების გლობალური გარდაქმნის თემას; ასევე, ადამიანის შეცვლას ტრანსჰუმანიზმის იდეოლოგიის საფუძველზე. თანაც ამ ყველაფრის გაკეთება ჩაფიქრებულია საკმაოდ მოკლე ვადებში, პირადი ცხოვრების უფლების ჯერ მკვეთრად შეზღუდვით, შემდეგ კი საერთოდ გაქრობით.

ამასთანავე, „ბილდერბერგელები“ თავისებურად ხსნიან პირადი ცხოვრების ცნებას. მაგალითად, მარტინ ვოლფი, როდესაც მას შეხვედრების საიდუმლო ხასიათზე მიანიშნეს, აცხადებდა, რომ ეს პირადი ცხოვრების გამოვლინებაა.

ჯერ კიდევ **„ბილდერბერგის“ 2013 წლის შეხვედრამ აჩვენა, რომ კლუბი სერიოზული ტრანსფორმაციების ეპოქაში შევიდა. კომპანია GOOGLE-თან კავშირის გაფორმებით, „ბილდერბერგი“ შეუმჩნევლად გადაკეთდა „გუგლბერგად“ და ყურადღების ცენტრი გადაიტანა მენტალურ ომებსა და პიროვნების კონტროლზე.**

თვით „გუგლი“ პირველია არა მხოლოდ ადამიანური გონების სიღრმეებში შეღწევის სფეროში, კომპანია უკვე გეგმავს თავისი კერძო ქალაქების დაარსებას. ამის შესახებ ღიად განაცხადა მისმა კიდევ ერთმა ხელმძღვანელმა ლარი პეიჯმა, რომელიც აპირებს დააარსოს ნაციონალური ხელისუფლებებისგან ავტონომიური ზონები, რომლებიც შეძლებენ ექსპერიმენტების ჩატარებას სოციალური საერთო საცხოვრებლის წესებზე. ეს პროექტები მსოფლიოს შეცვლის ახალ ინსტრუმენტებად იქცევა — კორპორატიული ადმინისტრირება-მმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს ტოტალიტარულ წესრიგსა და ტოტალიტარულ თვალთვალს.

საუბარია, უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებზე, რომლებშიც, როგორც „გუგლის“ ხელმძღვანელები მიანიშნებენ, ხელისუფლების სათავეებში „მტაცებლები“ დგანან და საკუთარ მოქალაქეებს, არ აძლევენ რა ბიზნესის კეთების საშუალებას, სილატაკისთვის იმეტებენ. ჰონდურასში უკვე მიღებულია კანონი, რომელიც ავტონომიური ზონების შექმნის უფლებას იძლევა. ამ ზონებს შეუძლიათ, უარი განაცხადონ ცენტრალიზებულ სამოქალაქო და კომერციულ უფლებებზე და შერჩევით მოახდინონ საკუთარი თავისთვის სამართლებრივი სისტემის იმპორტირება. ანალოგიური ზონების შექმნას აპირებენ სალვადორი და კოსტა-რიკაც.

**მაგრამ ტოტალური ელექტრონული კონტროლის მთავარი ინსტრუმენტი არის ელექტრონული ფული. ბოლო წლის განმავლობაში საბანკო წრეებში უკვე ღიად განიხილავენ ნაღდი ფულის მკვეთრად შემცირებისა და სრულად გაუქმების იდეებს.**

ვიდრე გლობალური ელიტების დაფინანსებაზე მყოფი ბოევიკები და პოლიტიკოსები სამოქალაქო ომების ქაოსში ხვევენ არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებს, არამედ რეგიონებს, ვიდრე კაცობრიობა მობილიზდება იმავე ელიტის დაკვეთით შექმნილი ვირუსებისა და ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად, **ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნება „ელექტრონული ხელისუფლებების“ ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მსოფლიოს მოქალაქეთა შესახებ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე. ნებისმიერ მოქალაქეს უნდა მიენიჭოს ერთიანი და უცვლელი პიროვნული იდენტიფიკატორი — ერთიანი საერთაშორისო სტანდარტის პირადი ნომერი.** ეს ერთიანი გამანაწილებელი მონაცემთა ბაზის შექმნას შესაძლებელს გახდის, სადაც რეალური დროის რეჟიმში შეგროვდება, შეინახება და გაანალიზდება ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ყველაზე კონფიდენციალური სფეროების, შესახებ ინფორმაცია. ადამიანის ცხოვრება უნდა გახდეს აბსოლუტურად გამჭვირვალე მმართველი სტრუქტურებისთვის. ასე რომ, **ბანკები, სპეცსამსახურები, პენტაგონი და „გუგლი“ მჭიდრო ურთიერთკავშირში მუშაობენ და აშენებენ ელექტრონულ გულაგს, რომელშიც არ იქნება ადგილი არც სახელმწიფოსთვის, არც ნაციონალური სუვერენიტეტისა და არც პიროვნული თავისუფლებისთვის. მათთვის ყველაფერი არის საშუალება ერთადერთი მიზნის — აბსოლუტური ძალაუფლების მიღწევისთვის...**

fondsk.ru

# დაკარგული თაობა: არც ღმერთი, არც კანონი



**გაზეთ Suddeutsche Zeitung-ის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი შტეფან კორნელიუსი მსოფლიოს ყველაზე აგრესიული სამხედრო ბლოკის — ნატოს გულმხურვალე მხარდამჭერია. ეს ფაქტი უკვე თავისთავადაა უზარმაზარი პრობლემა, რომელიც ადასტურებს მსოფლიოში სერიოზული დისბალანსისა და გიგანტური სამხედრო აპარატის ბატონობის ფაქტს; კატასტროფა, რომელიც უკავშირდება ლიბიიდან და სირიიდან სულ ახალახალი დევნილების მოდინებას ევროპაში სწორედ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა და საკუთარი კანონების დამრღვევი აშშ-ის, ევროკავშირისა და გერმანიის საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების შედეგია.**

**ლიბიის, როგორც სახელმწიფოს, დაშლა „დიდი შვიდეულის“ დესტრუქციული მოღვაწეობის შედეგებიდან მხოლოდ ერთ-ერთია. მანვე განაპირობა ბოლო დროის ყველა ჰუმანიტარული კატასტროფა.** მასმედიის მხრიდან სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომზე საუბარი მხოლოდ ნიღბავს „დიდი შვიდეულის“ დამნაშავეობრივ ინტერვენციას, რადგან არავის სურს, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას.

**სწორედ ამ დასავლური ინტერვენციის შედეგია მსოფლიოში მიმდინარე დაუსრულებელი ომები. „შვიდეული“ ახდენს ომების, აგრესიის, არაადამიანური სანქციებისა და ტერორის პროვოცირებას არა მხოლოდ ერაყსა და სირიაში, არამედ ევროპაშიც, კერძოდ უკრაინაში, სადაც ხელისუფლებაში მოიყვანეს მემარჯვენე რადიკალები და ფაშისტები — აშშ-ის მარიონეტები.**

შტეფან კორნელიუსი აღმაშფოთებელი ცინიზმით აქებს „დიდი შვიდეულის“ ღირებულებათა ერთობლიობას, მაგრამ სიტყვასაც არ ამბობს იმავე „შვიდეულის“ აბსოლუტურ კრახზე უკრაინის კრიზისის შედეგების აღმოფხვრის საქმეში, მსოფლიოში იმ უდიდესი კრიზისების აღმოფხვრაზე, რომელთა პროვოცირებაც თვითონ მოახდინა.

შამაგიეროდ, გაზეთი Junge Welt-ი წერს: „კიევში იმ პუტჩის შემდეგ იაცენუკის ახალი მთავრობა და პრეზიდენტი პოროშენკო ფაშისტებთან ერთად სისტემატიურად თრგუნავდნენ ოპოზიციასა და სხვაგვარად მოაზროვნეებს... ოდესის პროფკავშირების სახლში გაჩენილი ხანძარი, რომელიც 2014 წლის 2 მაისს ფაშისტებმა მოაწყვეს და რომლის დროსაც 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ამ ქმედებების სამწუხარო აპოგეად იქცა... უკრაინის დასავლეთში 70-ზე მეტი მართლმადიდებლური ეკლესია დაიკეტა. მრავალი მღვდელი თავის ოჯახთან ერთად იძულებული გახდა, რუსეთში გაქცეულიყო. პრემიერი იაცენიუკი ამბობდა, რომ დონბასის მკვიდრნი არიან „არაადამიანები, რომელთაგანაც უნდა გაიწმინდოს უკრაინა“.

ამგვარი კაცთმოძულე ადამიანი შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ვალტერ შტაინმაიერს. ეს როგორი „ღირებულებათა ერთიანობაა“? სახელმწიფოებში, რომლებიც იყენებენ წამების მეთოდებს, ხოცავენ ხალხს და აჩაღებენ ომებს, სათავეში ბანდიტები დგანან! იქ საერთოდ არაა საუბარი არანაირ ღირებულებებზე — ისინი მხოლოდ ბოროტებას ქმნიან და განასახიერებენ.

უკრაინა „სულ უფრო მეტად პოლიციური სახელმწიფო ხდება“, — დაასკვნა მემარცხენე პარტიის დეპუტატმა ვოლფგანგ გერკემ მას შემდეგ, რაც უკრაინის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, „დროებით უარი ეთქვა“ ქვეყნის აღმოსავლეთით ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებაზე.

მასმედიის ინფორმაციით, არსებობს იმ საშინელი სამხედრო დანაშაულების ვიდეოჩანაწერი, რომლებიც მარიუპოლთან ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე ფაშისტური ბატალიონის მებრძოლებმა ჩაიდინეს. ექსპერტების დასკვნით, ეს ჩანაწერი ნამდვილია. მასზე ადამიანი ჯერ ჯვარს აცვეს, შემდეგ კი დაწვეს.

**სირიაშიც „დიდი შვიდეულის“ „ღირებულებების ერთობამ“ აჩვენა, რომ „შვიდეულის“ ნდობა არ შეიძლება. ის, რომ კორნელიუსი მსგავს დანაშაულებში „დიდი შვიდეულის“ რაღაც „ფასეულობათა ერთობლიობას“ ხედავს, ადასტურებს, თუ რამდენად დაკარგა მან ორიენტირები, მასთან ერთად კი ეს ორიენტირები დაკარგა ომისშემდგომი მესამე თაობის უამრავმა ადამიანმა — დაკარგულმა თაობამ,** რომელიც, როგორც ჩანს, არც ღმერთს აღიარებს და არც კანონს. სწორედ ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული ყველა არაჰუმანური აზრი, არაადამიანური ექსტრავაგანტული გამოხდომა.

„დიდი შვიდეულის“ რიგებში, „დაბნეულობა“ კი არა, ცვლილებების უუნარობა სუფევს. ამ ქვეყნებს უნარი არ შესწევთ, აღიარონ საკუთარი შეცდომები და საკუთარი არაადამიანური პოლიტიკა, რომელიც ისედაც არამშვიდ მსოფლიოში სულ ახალ-ახალ პრობლემებს ქმნის. ელმაუში „დიდი შვიდიანის“ სამიტი ანგელა მერკელმა იდეალურ პროამერიკულ წარმოდგენად აქცია. კანცლერი შეეცადა, როგორმე გაებათილებინა აშშ-ის სპეცსამსახურებზე ის არასასიამოვნო შთაბეჭდილება, რომელიც მოსმენების სკანდალის შემდეგ დარჩა და დაერწმუნებინა გერმანელები, რომ აშშ და გერმანია მეგობრები არიან. ამისათვის მან ექსკლუზიური მიღება მოუწყო ობამას კოლორიტულ, მაგრამ ხელოვნურ ბავარიულ დეკორაციებში.

მაგრამ ეს სხვა არაფერი იყო, გარდა წარმოდგენისა — აბსოლუტურად ფუჭი შეხვედრა, რომელზეც არავინ არაფერზე შეთანხმებულა. გერმანიუმ, უბრალოდ, ფუჭად დახარჯა რამდენიმე მილიონი ევრო. დემოკრატიული სახელმწიფოს წოდება კიდევ უფრო მეტად ავალდებულებს მის მესვეურთ, პატივი სცეს ცივილიზაციის მასშტაბებსა და საერთაშორისო სამართალს. თუ დემოკრატიული სახელმწიფო არღვევს კანონს, კარგავს ლეგიტიმურობას და დანაშაულისთვის პასუხიც უნდა აგოს.

**ლიბიის, როგორც სახელმწიფოს, დაშლა «დიდი შვიდეულის» დესტრუქციული მოღვაწეობის შედეგებიდან მხოლოდ ერთ-ერთია. მანვე განაპირობა ბოლო დროის ყველა ჰუმანიტარული კატასტროფა**

0815-Info.de

მოკლედ



## აშშ-ში მამაკაცმა ეკლესიაში 9 ადამიანი მოკლა

**აშშ-ში, სამხრეთ კაროლინის შტატში, ქალაქ ჩარლზტონში ახალგაზრდა მამაკაცმა ისტორიულ ეკლესიას, რომელშიც აფროამერიკული საზოგადოება დადის, ცეცხლი გაუხსნა.** შედეგად ცხრა ადამიანი დაიღუპა, ხოლო დამნაშავე მიიმალა. როგორც ჩარლზტონის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა განაცხადა, მკვლელობა რასიზმთანაა დაკავშირებული. მსგავსი განცხადება გააკეთა ქალაქის მერმაც. მოგვიანებით პოლიციამ დააკავა 21 წლის თეთრკანიანი მამაკაცი, რომელიც ეჭვმიტანილია ეკლესიაში ცხრა ადამიანის მკვლელობაში. ეჭვმიტანილი პოლიციის მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც დილან რუფი. ჩარლსტონის პოლიციის უფროსის — გრეგორი მალენის ინფორმაციით, თავდამსხმელი ეკლესიაში იჯდა მრევლთან ერთად, სანამ მათ ცეცხლს გაუხსნიდა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ექვსი ქალი და სამი მამაკაცი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბილდერბერგის კლუბში“ დაბრუნდა ჰენრი კისინჯერი, რომელმაც მის შეკრებაში პირველად 1950-იან წლებში მონაწილეობდა. შეხვედრაზე აშშ წარმოდგენილი იყო 33 სტუმრით, დიდი ბრიტანეთიდან შეკრებას ესწრებოდა 12 ადამიანი, საფრანგეთიდან — 10, ავსტრიიდან — 9. სულ შეხვედრაზე 22 ქვეყნის წარმომადგენლები ჩავიდნენ.

# ბრძოლა აბსოლუტური ძალაუფლებისთვის

**11-14 ივნისს ავსტრიის ქალაქ ტელფს-ბუჰენში „ბილდერბერგის კლუბის“ წევრების მორიგი ყოველწლიური შეკრება გაიმართა. შეკრებილი 133 სტუმრიდან 21 პოლიტიკოსი იყო. მათ შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი ჯორჯ ოსბორნი და ბრიტანეთის ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ლეიბორისტი ედ ბოლსი. კონფერენციას ესწრებოდნენ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩეველი ფინანსებისა და ეკონომიკის საკითხებში — ლოურენს ბუნი, ნიდერლანდების პრემიერმინისტრი მარკ რიუტე და ავსტრიის პრეზიდენტი ჰაინც ფიშერი.**




ტექნოლოგიურ კომპანიებს წარმოადგენდა ექვსი სპეციალისტი, მათ შორის „გუგლის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ერიკ შმიდტი და ამ კომპანიის ხელმძღვანელობის ორი წარმომადგენელი.

მასმედიას 18 მონაწილე წარმოადგენდა.

კვლევითმა ცენტრებმა და ლობისტურმა ჯგუფებმა შეხვედრაზე 14 წარმომადგენელი გაგზავნეს. ამდენივე წარმომადგენელი იყო აკადემიური სფეროდან.

იმ თემებს შორის, რომელთა განხილვაც ამჯერად იყო მოსალოდნელი, ფიგურირებდა უსაფრთხოების საკითხები, მათ შორის ქიმიური იარაღის გავრცელება, ახლო აღმოსავლეთი, ირანი, ტერორიზმი, ნატო და კიბერუსაფრთხოება.

ფინანსურ სამყაროს წარმოადგენდა 31 ადამიანი, მრეწველობას და ტრანსპორტს — 18.

**„ბილდერბერგის კლუბში“ დაბრუნდა ჰენრი კისინჯერი, რომელმაც მის შეკრებაში პირველად 1950-იან წლებში მონაწილეობდა. შეხვედრაზე აშშ წარმოდგენილი იყო 33 სტუმრით, დიდი ბრიტანეთიდან შეკრებას ესწრებოდა 12 ადამიანი, საფრანგეთიდან — 10, ავსტრიიდან — 9. სულ შეხვედრაზე 22 ქვეყნის წარმომადგენლები ჩავიდნენ.**

„ბილდერბერგის კლუბის“ შეკრებას რუსეთიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — რუსეთის ეკონომისტური სკოლის ყოფილი დირექტორი, ეკონომისტი **სერგეი გურიევი** ესწრებოდა.

მედია იუწყებოდა, რომ შეკრებაზე უნდა ჩასულიყო ცსს-ს ყოფილი დირექტორი დევიდ პეტრეუსიც. სიის დეტალურად გაცნობის მსურველებს შეუძლიათ, შევიდნენ ბილდერბერგის კლუბის ოფიციალურ საიტზე bilderbergmeetings.org.

სიაში მრავალი საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა:

შეხვედრის თავმჯდომარე — სადაზღვევო კონცერნ AXA Group-ის გენერალური დირექტორი ანრი დე კასტრი. კონცერნი არის JP Morgan-ის, Bank of America-სა და Wells Fargo-ს ათ უდიდეს აქციონერს შორის.

შეხვედრაზე ასევე მიწვეულნი იყვნენ:

**BlackRock Inc-ის თავმჯდომარის მოადგილე ფილიპ ჰილდებრანდი**, რომელიც წინათ საერთაშორისო გათვლების ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი, ასევე ფინანსური სტაბილურობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. 2008 წლიდან ჰილდებრანდი შედიოდა მსოფლიოს ფინანსისტთა და ეკონომისტთა გაერთიანებაში — ოცდაათთა ჯგუფში. 2010 წლიდან იგი გახლდათ შვეიცარიის ნაციონალური ბანკის მმართველობის თავმჯდომარე.

2012 წლის 9 იანვარს ჰილდებრანდმა გადადგომის შესახებ განაცხადა და ეს იმით ახსნა, რომ არ შეუძლია თანამდებობაზე დარჩენა ნდობის დაკარგვის შემდეგ, რადგან „ნდობა ცენტრალური ბანკის აქტივებს შორის ყველაზე ღირებულია“. გარდა ამისა, იგი გადადგა საერთაშორისო გათვლების ბანკსა და მსოფლიო სავალუტო ფონდში დაკავებული თანამდებობებიდანაც.

სამაგიეროდ, როგორც ვხედავთ, ძალიან გამოადგა Black Rock Inc-ს.

**რიჩარდ პერლი — ამერიკის მრეწველთა ინსტიტუტიდან.** დასაქმებულია ვანგარდის ერთ-ერთი გავლენიანი კლიენტის — რ. ჩეინის მეუღლე ლინ ჩეინი, სამხედრო საკითხების ექსპერტად კი მუშაობს დევიდ პეტრეუსის მრჩეველი, რობერტ კაგანის ძმა და ვიქტორია ნულანდის ქმარი — ფრედერიკ კაგანი.

**პერლი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 2003 წლის მარტში ერაყში შეჭრაში, მაგრამ კონკურენტებმა გამოააშკარავეს მისი კომერციული ინტერესები, რამაც თანამდებობიდან პერლის გადადგომა განაპირობა**

**პერლი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 2003 წლის მარტში ერაყში შეჭრაში, მაგრამ კონკურენტებმა გამოააშკარავეს მისი კომერციული ინტერესები, რამაც თანამდებობიდან პერლის გადადგომა განაპირობა.** გაირკვა, რომ პერლმა წყნარად დაიკავა თანამდებობა ამერიკის უმსხვილეს საკომუნიკაციო კორპორაცია „გლობალ კროსინგში“და საკმაოდ სოლიდური თანხაც მიიღო, რომლიდანაც 600 ათას დოლარს იმისთვის დაისაკუთრებდა, თუ კონსულტანტი პენტაგონში რეგიონის საქჭვო გარიგებას გაიტანდა, რომელიც ერაყის ომის ზონას უკავშირდებოდა.

რიჩარდ პერლი ანალოგიურ მომსახურებას უწევდა ბრიტანულ კომპანიას — „ოტონომი კორპორეიშენ“. კომპანია ვაჭრობს რთული კომპიუტერული აპარატურით თანამგზავრებიდან თვალთვალისთვის და, ლონდონური „გარდიანის“ მტკიცებით, ერაყის ომით ამჟამადაც კოლოსალურ შემოსავალს იღებს. ეს გასაგებიცაა: რიჩარდ პერლი აღმოჩნდა „ოტონომის“ დირექტორთაგან ერთ-ერთი 75 000 აქციის პაკეტით. უფრო მეტიც, ერაყში ინტერვენციის პირველი კვირის განმავლობაში იგი დახურულ კონფერენციებში მონაწილეობდა, რომლებსაც სახელოვანი საინვესტიციო სახლი „გოლდმენ საქსი“ ატარებდა და რომლებზეც პერლი კლიენტებს კონსულტირებას უწევდა იმ „საინვესტიციო შესაძლებლობებზე, რომლებიც ომთან დაკავშირებით ჩნდება“.

თავდაცვის მინისტრი რამსფელდი იძულებული შეიქნა, თავისი საყვარელი თანამშრომლის გადადგომის განცხადება დაეკმაყოფილებინა, მაგრამ დატოვა პენტაგონთან არსებული თავდაცვითი პოლიტიკის კომისიის შემადგენლობაში რიგით წევრად.

Palantir Technologies-ის მმართველობის თავმჯდომარე ალექს კარპი.

ცსს-ის მიერ დაფინანსებული და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სპეცსამსახურების დამხმარე Palantir Technologies-ის ტექნოლოგიური სტარტაპი ინვესტორებმა სახსრების მოზიდვის ფარგლებში 9 მილიარდ დოლარად შეაფასეს.

კომპანიას სახელი ეწოდა იმ ჯადოსნური ბურთების პატივსაცემად, რომლებიც „ბეჭდების მბრძანებელში“ პერსონაჟებს შორ მანძილზე ხედვის საშუალებას აძლევდა. სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში კომპანია 50%-ით გაძვირდა. სექტემბერში ის მხოლოდ 6 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.

კომპანია დაკავებულია დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებით. ამით ის ეხმარება სპეცსამსახურებს ტერორისტებისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბანკებს კი — კიბერშეტევებისა და ინსაიდერული ვაჭრობის თავიდან აცილებაში. Palantir-ის იდეა გაუჩნდა მისი დიდი მეთაურისა და ინვესტორის — პიტერ ტილის იმ ტექნოლოგიებით აღფრთოვანების შემდეგ, რომლებიც შემუშავებულ იქნა საგადასახადო სისტემაში თაღლითების წინააღმდეგ საბრძოლველად. იდეის განვითარებისთვის მან მიიწვია თავისი მეგობარი სტენფორდის სამართლის სკოლიდან — ალექს კარპი, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას კომპანიას.

Palantir-ის ერთ-ერთი პირველი ინვესტორი გახდა ცსს-ს საინვესტიციო ფონდი In-Q-Tel-ი, სამმართველოს ანალიტიკოსები კი მის პროგრამისტებს ეხმარებოდნენ საკუთარი პროგრამების პირველი ვერსიების შექმნაში. 2005-2008 წლებში ცსს იყო ერთადერთი კლიენტი კომპანიისთვის, რომელსაც შტაბ-ბინა ჰქონდა კალიფორნიულ პალო-ალტოში. კომპანიის შემუშავებული საშუალებებით შესაძლებელი გახდა თვითმკვლელი ტერორისტების მხრიდან დარტყმების ყველაზე სავარაუდო ადგილების დადგენა ერაყსა და ავღანეთში, ასევე გაფლანგვისგან იმ სახსრების დაცვა, რომელთაც აშშ-ის ხელისუფლება კრიზისის დროს ეკონომიკის სტიმულირებისთვის გზავნიდა.

მოგვიანებით Palantir-ის პროგრამულმა უზრუნველყოფამ კლიენტები იპოვა კორპორაციულ სამყაროშიც, მაგალითად, იმ ბანკებს შორის, რომელთაც სურდათ თავდაცვა თაღლითობისა ▶

## დონალდ ტრამპი: ვმონაწილეობ საპრეზიდენტო არჩევნებში



**დონალდ ტრამპი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.** ამის შესახებ ცნობილმა ბიზნესმენმა ოფიციალური განცხადება ნიუ იორკში, მეხუთე ავენიუზე, 68-სართულიან ტრამპ თაუერში გააკეთა. „ოფიციალურად ვიღებ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში და აშშ ისევ დიდებული ქვეყანა იქნება“, — უთხრა მხარდამჭერებს ტრამპმა, რომელიც რესპუბლიკური პარტიის ნომინანტობისთვის იბრძვის. მისი განცხადებით, თავისი ქონება საშუალებას მისცემს, რომ კარგი პრეზიდენტი იყოს. „ჩვენი ქვეყანა სერიოზულ გასაჭირშია. ჩვენ აღარ ვართ გამარჯვებულები. ბოლოს როდის ვაჯობეთ ჩინეთს სავაჭრო საქმიანობაში? ისინი ყოველთვის გვჯობნიან. მე მათ ყოველთვის ვჯობნიდი“, — თქვა ტრამპმა.

# კომპანია „ვანგარდმა“ შეხვედრის მონაწილეებს შესთავაზა მორიგი ბიზნესპროექტი, რომელიც კონფლიქტების ზონაში დესტაბილიზაციის გამწვავებას უკავშირდება. ეს შემოსავლებით უზრუნველყოფს სამხედრო სამრეწველო კომპლექსის კორპორაციებს, ასევე, ფარმაცევტულ და IT-კორპორაციებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კომპანია «ვანგარდმა» პრაქტიკულად სრულად ჩამოაყალიბა ოთხდღიანი მოლაპარაკებების დღის წესრიგი. აშშ-ის მხრიდან ძალოვან ბლოკს წარმოადგენდა მხოლოდ დევიდ პეტრეუსის გარემოცვა

◀ და კიბერშეტევებისაგან, ასევე, თავიანთი ცუდი აქტივების პორტფელების ოპტიმიზება. გენერალური დირექტორის — **ალექს კარპის** თქმით, ამჟამად კერძო სექტორზე მოდის კომპანიის მთელი ბიზნესის 60%. სტარტაპის სოფტით სარგებლობენ News Corp, JP Morgan და Bank of America.

News Corp-ს, JP Morgan-ს და Bank of America-ს კომპანია „ვანგარდი“ აკონტროლებს.

**Citadel Investment Group, LLC-ის დამაარსებელი და პრეზიდენტი კენეტ გრიფინი.** Citadel-ს ყველა საინვესტიციო ფონდს შორის ერთ-ერთი უძლიერესი ინტელექტუალური ძალის ანალიტიკური განყოფილება აქვს, ასევე აქვს „სათადარიგო“ კომპიუტერული სისტემა, რომელიც სადღაც ჩიკაგოს საზღვრებს გარეთ მდებარეობს.

ორი ძირითადი ფონდი, რომელთა საშუალებითაც Citadel-ი ბირჟებზე ვაჭრობს, არის Kensington Global-ი და Wellington-ი. ამჟამად Citadel-ზე მოდის ნიუ იორკის, ლონდონისა და ტოკიოს ბირჟებზე ყოველდღიური ბრუნვის დაახლოებით 2-3% (დაახლოებით 70 მილიონი აქცია), სახაზინო ობლიგაციების ბაზრის თითქმის 10% და ოპციონების ბაზრის დაახლოებით 15%. ოპციონების ბაზარზე Citadel-ი არის ერთადერთი ჰეჯ-ფონდი, რომელსაც ნამდვილად სერიოზული გავლენის მოხდება შეუძლია ვაჭრობაზე.

ფონდი თავის ვაჭრობას არ შემოსაზღვრავს მხოლოდ ჩამოთვლილი ინსტრუმენტებით, არამედ ფულს გამოიმუშავებს ყველაფერზე, რაც კი შეიძლება გაყიდოს ან იყიდოს: გაზის ფიუჩერებიდან დაწყებული, ვალუტით დასრულებული.

Wellington Fund-ი არის აშშ-ის პირველი ბალანსირებული საერთო ფონდი, რომელიც დაარსდა 1928 წელს უოლტერ მორგანის მიერ პენსილვანიის შტატში. 1933 წელს ფონდს სახელი გადაერქვა და Wellington Management Company გახდა. 1951 წელს უ. მორგანმა დაიქირავა ჯონ ბოგლი, რომელიც 1970 წელს Wellington Management Company-ის თავმჯდომარე გახდა, 1975-ში კი დააფუძნა Vanguard Group-ი.

ძველი პარტნიორობის ნიშნად, დაარსდა ერთობლივი ფონდი Vanguard Wellington Fund-ი. ფონდის ერთ-ერთმა მმართველმა ედვარდ ბუსამ 2015 წლის მაისში სახსრების საუკეთესო დაბანდების სექტორად დაასახელა ჯანდაცვა და ისეთი კომპანიები, როგორიცაა Wells Fargo & Co, Merck & Co, Comcast Corporation-ი, Chevron and Verizon Communications-ი.

ანუ Citadel-ი ვაჭრობს არა მხოლოდ რაღაც ფონდის, არამედ იმ ფონდის საშუალებით, რომელშიც კომპანია Vanguard-ის დამფუძნებელი მუშაობდა.

**Goldman Sachs International-ის თავმჯდომარე (აღმასრულებელი უფლებამოსილებების გარეშე) და British Petroleum-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე პიტერ საზერლენდი.** British Petroleum-ის უმსხვილეს აქციონერებს შორის არიან ამერიკის საპენსიო ფონდები: Blackrock-ის, State Street-ის, Wellington-ის, Fidelity-ის და სხვა ამერიკული საინვესტიციო კომპანიების ხელმძღვანელობით.

ანუ Vanguard-ი.

გარდა ამისა, **პიტერ საზერლენდი** იყო 1995 წლის 1 იანვარს დაარსებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პირველი დირექტორი. გროზნოს საახალწლო შტურმი განპირობებული იყო ჩეჩნეთის საკითხის გადაჭრის აუცილებლობით, რათა ნოვოროსიისკის გავლით ნავთობის ტრანსპორტირება სავარაუდო ყოფილიყო და არ გამოეწვია ფასების ავარდნა, მაგრამ ნავთობის ფასების სტაბილურობა ყველას არ სჭირდებოდა.

პიტერ საზერლენდი შედის ბილდერბერგის ჯგუფის ხელმძღვანელ კომიტეტშიც.

**საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს The Goldman Sachs Group-ის თავმჯდომარე რობერტ ზელიკი.** წინათ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — კონდოლიზა რაისის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას იგი დაკავებული იყო სტრატეგიული დიალოგით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სუდანის პროვინცია დარფურში კრიზისის დარეგულირებით. ზალიკის ძალისხმევის წყალობით, 2006 წელს მოხერხდა დარფურში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. რაც შეეხება ჩინეთს, დამკვირვებელთა აზრით, მან ორმხრივი ურთიერთობები ახალ დონეზე აიყვანა: მიახვედრა ჩინეთის ხელმძღვანელობა, რომ აშშ-ს სურს, ჩინეთის სახით საერთაშორისო ურთიერთობების „პასუხისმგებელ მონაწილეს“ ხედავდეს. მან გერმანიის ხელისუფლებისგან ჯილდოც კი მიიღო გერმანიის გაერთიანებისთვის გაწეული ძალისხმევის დასაფასებლად.

**The Messina Group-ის ხელმძღვანელი ჯიმ მესინა.** იგი გახლდათ 2012 წლის არჩევნებში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას კამპანიის მენეჯერი და 2015 წელს ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კონსერვატიული პარტიის კამპანიის მენეჯერი. ამ გამარჯვებამ პრემიერმინისტრ დევიდ კემერონს საშუალება მისცა, ჩამოეყალიბებინა ერთპარტიული მთავრობა.

მესინამ ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უზრუნველყო გამარჯვებით ბარაკ ობამა 2012 წელს. მისი თქმით, მან „გუგლის“ ხელმძღვანელის — ერიკ შმიდტის რეკომენდაციით დაიქირავა „ტექნიკოსები, რომლებსაც პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ შეეძლოთ ნებისმიერი საჭირო პროგრამის კონსტრუირება; არც ამ ადამიანებს მოუთხოვიათ მაღალი ჰონორარები, რადგან „სჯეროდათ ობამასი“. ჯგუფის შტაბ-ბინა, რომელიც ყველაზე დაძაბულ პერიოდში 4 ათას წევრს ითვლიდა, მდებარეობდა არა ვაშინგტონში, არამედ ჩიკაგოში, რაც მშვიდად მუშაობის საშუალებას იძლეოდა.

მესინას განცხადებით, მიუხედავად ელექტრონული ფოსტით მოსული ყველა წერილისა და სოციალურ ქსელებთან მუშაობისა, ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა მოხალისეების საუბრები მეზობლებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან, რადგან რეკლამის მუდმივი ნაკადი ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს და იზრდება პირადი კონტაქტების მნიშვნელობა. ამასთან, სპეციალურად მოხალისეებისთვის შემუშავდა პროგრამა, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფდა მათ კარგი არგუმენტებითა და ახალ-ახალი ინფორმაციით.

იმის გათვალისწინებით, რომ ჯიმი ტრადიციულად აშშ-ის რესპუბლიკურ პარტიასთან უფრო ახლოს მდგარ ბრიტანეთის კონსერვატიულ პარტიაზე გადაერთო, იგი დაიქირავეს რესპუბლიკელების კანდიდატის — ჯებ ბუშის გამარჯვებისთვის სამუშაოდ.

**აშშ-ის პრეზიდენტის მთავარი წარგზავნილი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლ გლობალურ კოალიციაში — ჯონ ალენი.** ალენი აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ სარდლობაში პეტრეუსის მოადგილე გახლდათ და ასრულებდა ამ უწყების ხელმძღვანელის მოვალეობებს, როდესაც პეტრეუსი ავღანეთში ISAF-ს ჩაუდგა სათავეში. ერთი თვის შემდეგ ალენმა მმართველობა გადასცა ჯეიმს მეტისს — პეტრეუსის მრავალწლოვან პარტნიორს, მათ შორის FM 3-24-ის შექმნის საქმეშიც.

ჯეიმს მეტისი — ჰუვერის ინსტიტუტის სპეციალურად მოწვეული მეცნიერ თანამშრომელი.

**დევიდ პეტრეუსი,** KKR Global Institute-ის თავმჯდომარე (კომპანია Kohlberg Kravis Roberts & Co-ის გლობალური ინვესტიციების ქვეგანყოფილება).

**ჰენრი კრევისი,** Kohlberg Kravis Roberts & Co-ის თანათავმჯდომარე.

**მარი-ჟოზე კრევისი,** გ. კრევისის მეუღლე, Hudson Institute-ის ვიცეპრეზიდენტი და ბილდერბერგის ჯგუფის ხელმძღვანელი კომიტეტის წარმომადგენელი.

ანუ **კომპანია „ვანგარდმა“ პრაქტიკულად სრულად ჩამოაყალიბა ოთხდღიანი მოლაპარაკებების დღის წესრიგი. აშშ-ის მხრიდან ძალოვან ბლოკს წარმოადგენდა მხოლოდ დევიდ პეტრეუსის გარემოცვა.**

სხვა ქვეყნებიდან მიწვეულნი იყვნენ:

დანიის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი **ტომას არენკიელი.**

საფრანგეთის შიგა უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს (DGSI) უფროსი, მუსლიმანური ქვეყნების სპეციალისტი, რომელიც 1984 წლიდან მუშაობს კონტრდაზვერვის სამსახურში — **პატრიკ კალივარი**. იგი 2009-2012 წლებში სათავეში ედგა საგარეო უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს (DGSE) სადაზვერვო სამმართველოს. DGSE საფრანგეთის პრეზიდენტს ექვემდებარება, DGSI კი — შინაგან საქმეთა მინისტრს.

Koc Holding A.S.-ის თავმჯდომარე **მუსტაფა კოჩი.** ეს თურქული ჰოლდინგი მხარს უჭერს ერდოღანის ოპოზიციას და მის შემადგენლობაში შედის ფრეგატების შემუშავებაზე პასუხისმგებელი გემთმშენებლობის სეგმენტი, პირველი თურქული ძირითადი საბრძოლო ტანკის — Altay-ის შემქმნელი კომპანია Otokar-I და უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი კომპანია Turkish Petroleum Refineries Corporation-ი.

ამრიგად, **კომპანია „ვანგარდმა“ შეხვედრის მონაწილეებს შესთავაზა მორიგი ბიზნესპროექტი, რომელიც კონფლიქტების ზონაში დესტაბილიზაციის გამწვავებას უკავშირდება. ეს შემოსავლებით უზრუნველყოფს სამხედრო სამრეწველო კომპლექსის კორპორაციებს, ასევე, ფარმაცევტულ და IT-კორპორაციებს.**

cont.ws

## აზერბაიჯანელმა — სომხეთს, სომეხმა კი აზერბაიჯანს მოუგო

**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ დღეში ორი სარჩელი — ერთი სომხეთის, ხოლო მეორე აზერბაიჯანის წინააღმდეგ დააკმაყოფილა. საქმეებზე ღია სასამართლო სხდომა გაიმართა და გამოცხადდა ვერდიქტიც.** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა აზერბაიჯანული ოჯახების სარჩელი სომხეთის წინააღმდეგ და აღიარა სომხეთის მიერ მათი უფლებების დარღვევა — მათ შორის საკუთრების უფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, ადამიანის უფლების. სარჩელი იმ აზერბაიჯანელებმა შეიტანეს, რომლებსაც 90-იან წლებში, ყარაბაღის კონფლიქტის გამო, თავიანთი საცხოვრებლის დატოვება მოუწიათ. ევროპულმა სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა მინას სარგისიანის საჩივარი. სარჩელი მან 2006 წელს შეიტანა, თუმცა ვერდიქტს ვერ მოესწრო და ახლა სასამართლო პროცესს მისი მეუღლე და შვილები ესწრებიან. საჩივარი ეხებოდა აზერბაიჯანში სომხების დისკრიმინაციას, საკუთრების უფლების ჩამორთმევას, ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას, სომხური სასაფლაოების დარბევასა და სომხებისთვის სამართლებრივი დაცვის უფლების ჩამორთმევას.



## ჩრდილოეთ კორეაში ამტკიცებენ, რომ კიბოს, შიდსსა და ებოლას კურნავენ

**ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ განცხადებას, რომ ქვეყანაში შეიმუშავეს საოცარი წამალი, რომელიც კურნავს შიდსს, სიმსივნესა და ებოლას.** განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ჯადოსნური წამალი დამზადებულია ჟენშენის ექსტრაქტსა და სხვა ინგრედიენტების ნარევზე, რომელთა სპეციალური კომბინაცია არ გაუმხელიათ. ისინი აცხადებენ, რომ წამალი ინიექციის სახით იქნება და სახელად „კუმდანგ მეორე“ ერქმევა. ექიმი იონ სუნ ჰანის თქმით, ინიექცია ძლიერ იმუნოაქტივატორს შეიცავს, რომელიც ავთვისებიან და ეპიდემიურ დაავადებებს ძირფესვიანად აღმოფხვრის. ჩრდილოეთი კორეა ცნობილია მსგავსი განცხადებების კეთებით, რომელთა არსებობაც ხშირად არ დასტურდება.



მოკლედ



## ვირუს MERS-ს უკვე ევროპელიც ემსხვერპლა

**გერმანიაში 65 წლის მამაკაცი რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის რესპირაციული სინდრომით, ანუ MERS-ის დაავადებით გარდაიცვალა.** მამაკაცი თებერვალში არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში იმყოფებოდა და სწორედ იქ დაინფიცირდა. მედიის ინფორმაციით, ექიმები მომხდარის გამო გაკვირვებულები არიან, რადგან ისინი მის გამოჯანმრთელებას ელოდნენ. ამაში იმდენად დარწმუნებულები იყვნენ, რომ მაისში ცენტრალური საავადმყოფოს იზოლირებული პალატიდან რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სულ გერმანიაში ამ ვირუსით სამი ადამიანი დაინფიცირდა და მხოლოდ ერთმა შეძლო MERS-ის დამარცხება. MERS-ის ვირუსი განსაკუთრებით აქტიურია სამხრეთ კორეაში, სადაც ინფიცირების 154 შემთხვევა გამოვლენილი, ხოლო სიკვდილიანობა 12,3%-ს შეადგენს. მათ გარდა, კიდევ 5 586 ადამიანია იზოლირებული.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შოკში მყოფი ადამიანის დასახმარებლად დაუყოვნებლივ ვიძახებთ სასწრაფო დახმარებას, მანამდე კი ვუწევთ პირველ დახმარებას: ვათავისუფლებთ იმ ზეძლიერი გამღიზიანებლისგან, რომლის ზემოქმედებამაც შოკი გამოიწვია.**

# ზოგი რამ პირველადი დახმარების შესახებ

**ყოველდღიურ ცხოვრებაში არცთუ იშვიათად დგება მომენტი, როდესაც მნიშვნელოვანია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, აქტიური ქმედება ვიღაცის სიცოცხლის გადასარჩენად. პირველი დახმარება არის დახმარების სწრაფად და სწორად გაწევა ადამიანისთვის, რომლის ჯანმრთელობას უეცრად დაემუქრა საფრთხე. მისი შემდგომი ბედი ხშირად შემთხვევის მომენტში გვერდით მყოფების სწორ ქმედებაზეა დამოკიდებული. პირველი დახმარება რთული არ არის. ზოგჯერ ძალიან მარტივი ხერხით შეიძლება გადავარჩინოთ ადამიანის სიცოცხლე.**

შემთხვევის ადგილზე დაზარალებულისთვის პირველი დახმარების გაწევისას, პირველ რიგში, დარწმუნდით, რომ თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიძახეთ სათანადო სამსახური (მაგ., ხანძრის დროს — სახანძრო); შემდეგ დარწმუნდით, რომ საფრთხე არ ემუქრება დაზარალებულს. თუ მსგავსი რამ შენიშნეთ, ეცადეთ, დაზარალებული უსაფრთხო ადგილას გადაიყვანოთ.

უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულის სასუნთქი გზების დახშობის ხშირი მიზეზია ენა. დაზარალებულს გადაუწიეთ თავი უკან და ნიკაპი წინ წამოწიეთ, ეს გახსნის სასუნთქ გზებს და თავიდან აიცილებთ სასუნთქი გზების დახშობას ენით, ტრავმის შემთხვევაში სასუნთქი გზების გახსნა ხდება თავის უკან გადაწევის გარეშე.

**თუ გულის მუშაობა ჩერდება, საჭიროა გულის არაპირდაპირი მასაჟის დაუყოვნებლივ ჩატარება. რადგან გულის გაჩერებისას ადამიანი არ სუნთქავს, საჭიროა, ერთდროულად გავაკეთოთ ხელოვნური ვენტილაცია და გულის არაპირდაპირი მასაჟი ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენის მიზნით.** გულის არაპირდაპირ მასაჟსა და ხელოვნურ სუნთქვას (ვენტილაცია) უწოდებენ გულ-ფილტვის რეანიმაციას.

ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ, გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას; ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები.

ჩასუნთქვისას სასუნთქ გზებში ხვდება ჰაერი, რომელიც შეიცავს 20-21% ჟანგბადს. ამოსუნთქულ ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა მცირდება 15-16%-მდე. ამიტომ ხელოვნური სუნთქვის ჩატარების დროს, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ფილტვებში ჩადის თქვენ მიერ ამოსუნთქული ჰაერი, მასში საკმარისი რაოდენობით არის ჟანგბადიც.

**გულის არაპირდაპირი მასაჟისთვის დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი; ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი. ეს არის ის ადგილი, რომელზეც უნდა მოახდინოთ დაწოლა.**

დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, გადააჭდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი. გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. დააწექით მკერდის ძვალს ისე, რომ დაწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ. შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება (1 წუთში 100 დაწოლა მკერდის ძვალზე).

არ შეიძლება გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარება მაშინ, როდესაც გული მუშაობს. გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩასატარებლად საჭიროა შესაბამისი საწვრთნელი კურსის გავლა.

**შოკი** არის ორგანიზმის მძიმე ზოგადი რეაქცია, განვითარებული ზეძლიერი გამღიზიანებლის, განსაკუთრებით ტკივილის, საპასუხოდ. შოკის საწყის ფაზაში ადამიანი აღგზნებულია, ფერმკრთალი, ხშირად ვერც კი აცნობიერებს თავისი მდგომარეობის სიმძიმეს, ზოგჯერ წამოხტება ხოლმე და გაქცევას ცდილობს. გონი რომც არ დაკარგოს, მეტისმეტად დათრგუნულია, გამოთიშულია გარე სამყაროს, რეაქცია მკვეთრად უქვეითდება ან სრულიად უქრება. შოკში მყოფ ადამიანს სახე გაფითრებული აქვს, ნაკვთები — გამოკვეთილი, კანი — ცივი, ცივი ოფლით დაცვარული, ტემპერატურა — საგრძნობლად დაქვეითებული; განიცდის დაუოკებელ წყურვილს, პულსი — გახშირებული, სუნთქვა გახშირებული და ზედაპირული აქვს.

**შოკში მყოფი ადამიანის დასახმარებლად დაუყოვნებლივ ვიძახებთ სასწრაფო დახმარებას, მანამდე კი ვუწევთ პირველ დახმარებას: ვათავისუფლებთ იმ ზეძლიერი გამღიზიანებლისგან, რომლის ზემოქმედებამაც შოკი გამოიწვია** — ვუჩერებთ გარეგან სისხლდენას, პირის ღრუს ვუთავისუფლებთ სისხლის კოლტებისა და ამონაღები მასისგან, საჭიროების შემთხვევაში ვუტარებთ ხელოვნურ სუნთქვას, გულის არაპირდაპირ მასაჟს, ვასმევთ წყალს, თუ სურს, ვაწვდით საკვებსაც.





**თუ გულის მუშაობა ჩერდება, საჭიროა გულის არაპირდაპირი მასაჟის დაუყოვნებლივ ჩატარება. რადგან გულის გაჩერებისას ადამიანი არ სუნთქავს, საჭიროა, ერთდროულად გავაკეთოთ ხელოვნური ვენტილაცია და გულის არაპირდაპირი მასაჟი ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენის მიზნით**

**კოლაფსი** სისხლძარღვოვანი უკმარისობის მძიმე გამოვლინებაა. მისთვის დამახასიათებელია სისხლძარღვთა ტონუსის მნიშვნელოვანი ვარდნა და არტერიული წნევის დაქვეითება, რომელსაც ტვინის ჰიპოქსია — ჟანგბადოვანი შიმშილი მოჰყვება.

კოლაფსის შემთხვევაში ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა ერთბაშად უარესდება: ადამიანი ფითრდება, თვალები უცვივდება, სახის ნაკვთები უმკვეთრდება, სხეულზე ცივი წებოვანი ოფლი ასხამს, ტუჩები ულურჯდება, კიდურებს კი ცისფერი და მარმარილოსებრი ელფერი ედება. კოლაფსის დროს სხეულის ტემპერატურა ეცემა, სუნთქვა ხშირდება და ზედაპირული ხდება, პულსი ჩქარდება და, როგორც წესი, სუსტია ან საერთოდ არ ისინჯება. ზოგჯერ უნებლიე შარდვა და დეფეკაციაც ვითარდება. კოლაფსის დროს ადამიანი მოდუნებული, მოშვებულია, გონება დაბინდული აქვს, ზოგჯერ გონს კარგავს.

კოლაფსის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოთ სასწრაფო დახმარება, მის მოსვლამდე კი თავად დაეხმაროთ ავადმყოფს. ის უნდა დააწვინოთ უბალიშოდ; ქვედა კიდურები და სხეულის ქვედა ნაწილი წამოუწიოთ; შეასუნთქოთ ნიშადურის სპირტი (უკიდურეს შემთხვევაში — ძმარი ან ოდეკოლონი); შეუხსნათ საყელო, უზრუნველყოთ სუფთა ჰაერის მიწოდება; სხეული გაუთბოთ თბილი (და არა ცხელი) სათბურებით; თუ გონი არ დაუკარგავს, უნდა დაალევინოთ ცხელი ყავა ან ჩაი; კიდურები დაუზილოთ სპირტით (თუ არ გაქვთ, არყით ან ძმრით). საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ, კუნთში შეუყვანოთ ერთი ამპულა კოფეინი ან ეფედრინი. გახსოვდეთ, კოლაფსის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია, ამიტომ პირველი დახმარების აღმოჩენისთანავე ის კლინიკაში უნდა გადაიყვანოთ.

**გულის უკმარისობა** — ეს არის ორგანიზმის მძიმე მდგომარეობა, როდესაც ადამიანი უეცრად გრძნობს ჰაერის უკმარისობას, ქოშინსა და ჩასუნთქვის გაძნელებას. თუ ასეთ დროს ადამიანს სათანადო დახმარება არ გაეწია, იწყება ფილტვის სითხით ავსება, რაც აფერხებს მათში აირთა ცვლას, შედეგად კი ჟანგბადოვან შიმშილს ვიღებთ. გულის მწვავე უკმარისობა უმეტესად ღამით ვითარდება. ადამიანს უეცრად აღვიძებს ჰაერის უკმარისობა და ლოგინში წამოჯდომას აიძულებს. ქოშინი სულ უფრო ძლიერდება, ერთვის ხველა თეთრი ქაფიანი ნახველით. ზოგჯერ ნახველს ალისფერი სისხლი ერევა, კანი მორუხომოლურჯო უხდება, ყველაზე მკვეთრად ულურჯდება ტუჩები. თუ პროცესი ფილტვების შეშუპებაში გადაიზარდა, მდგომარეობა უფრო მეტად მძიმდება, სიმპტომები მძაფრდება, კისრის ვენები იბერება და ქოშინს სულხუთვა ცვლის.

**გულის მწვავე უკმარისობის** ძირითადი ნიშნების გამოვლენისთანავე უნდა გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება, მის მოსვლამდე კი ავადმყოფი ნახევრად უნდა წამოვსვათ, ზურგს უკან ამოვუდოთ ორი-სამი ბალიში, შეიძლება დავსვათ კიდეც, თუნდაც მაღალი არტერიული წნევის (ჰიპერტონიის) დროს. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში დროებით შეიძლება „ჟგუტიც“ გამოვიყენოთ. ის პაციენტს ბარძაყზე უნდა გადავუჭიროთ 5-10 წუთის ჯდომის შემდეგ, როდესაც სისხლი სხეულის ქვედა ნაწილებში მაქსიმალურად გადანაწილდება. აუცილებელია ოთახის განიავება, რათა ავადმყოფმა ჟანგბადით მდიდარი ჰაერით ისუნთქოს. გარდა ამისა, ენის ქვეშ უნდა დავუდოთ ნიტროგლიცერინი ან მისი რომელიმე ანალოგი. გულის უკმარისობის დროს ავადმყოფს სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია სჭირდება. ის აუცილებლად უნდა მოთავსდეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, სადაც სათანადო დახმარებას გაუწევენ. სამკურნალო დაწესებულებაში ის მჯდომარე ან ნახევრად მჯდომარე უნდა გადავიყვანოთ.

ტრავმის შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების პირველი წესია, არ დაიბნეთ. თუ სისხლი ცოტაა. ამ დროს ინფექციის საშიშროება მეტია. პირველი დახმარება იმით გამოიხატება, რომ მოვბანოთ ჭრილობა დასალევად ვარგისი ნებისმიერი უფერო სითხით და შევახვიოთ ის შეძლებისდაგვარად სუფთა ქსოვილით. თუ სისხლი დიდი რაოდენობითაა, დააფარეთ ჭრილობაზე რამდენიმე ფენად დაკეცილი ქსოვილი და დაადეთ დამწოლი ნახვევი. თუ სისხლი ისევ ჟონავს, მაშინ კიდევ დაახვიეთ ჭრილობაზე ქსოვილი (სისხლით გაჟღენთილი არ მოხსნათ) და ძლიერად დააწექით სისხლმდენ არეს. თუ ჭრილობიდან სისხლი შადრევანივით ასხამს, ამ დროს სისხლი ძალიან სწრაფად იკარგება და ამის თავიდან ასაცილებლად ჭრილობის ზემოთ თითით ან თითებით ზეწოლა უნდა მოახდინოთ, მერე კი ლახტი დაადოთ.

არტერიაზე ზეწოლის ადგილებია: მხრის ქვედა მესამედი და ბარძაყის ზედა მესამედი. ლახტი ზამთარში ერთი საათით, ზაფხულში ორი საათით იდება. ამ ხნის გასვლის შემდეგ ის 5-10 წუთით უნდა მოუშვათ და ხელახლა დაადოთ თავდაპირველი ადგილიდან ოდნავ ზემოთ. შეამოწმეთ, სწორად ადევს თუ არა ლახტი — სწორად დადების შემთხვევაში კიდურზე პულსი არ ისინჯება.

ჭრილობიდან არაფერი ამოვიღოთ. თუ ჭრილობიდან გამოჩრილია უცხო სხეული, ნახვევი დავადოთ გამოჩრილი უცხო სხეულის ირგვლივ.

**ცხვირიდან სისხლდენისას** დაშავებულს თავი ოდნავ წინ დაახრევინეთ და სთხოვეთ, ხელებით დაიჭიროს. ცხვირის ნესტოებთან ქსოვილის ნაჭერი მიადეთ, ცხვირზე დაადეთ ყინული ან ცივ სითხეში დასველებული ნაჭერი. თუ სისხლდენა 10-15 წუთში არ შეწყდა, გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. არ შეიძლება თავის უკან გადაწევა; შესაძლოა, ამან სისხლიანი პირღებინება გამოიწვიოს.

**ტრავმული ამპუტაციისას** მოგლეჯილი კიდური ცელოფნის პარკში ჩადეთ, ეს პარკი — მეორე პარკში და გააცივეთ. „თუ ასე მოიქცევით, 6 საათის განმავლობაში შესაძლებელი იქნება მოგლეჯილი კიდურის აღდგენა. სასწრაფოდ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება და გამოძახებისას აუცილებლად უთხარით, რომ საქმე ამპუტაციასთან ექნებათ.

**ნანგრევებში მოყოლილი** ადამიანის კიდურს მძიმე საგნის დაწოლის ადგილის ოდნავ ზემოთ ედება ლახტი და მხოლოდ ამის შემდეგ თავისუფლდება ამ საგნისგან. გათავისუფლებული კიდური მჭიდროდ შებინტეთ და მოხსენით ლახტი. დაშავებულს მიეცით დიდი რაოდენობით თბილი სითხე. ჩაატარეთ შოკის საწინააღმდეგო ღონისძიებები და დაზარალებული სასწრაფოდ გადაიყვანეთ საავადმყოფოში.

**ღია მოტეხილობის, ამოვარდნილობისა და დაჭიმვისას** ვიქცევით შემდეგნაირად: **დეფორმირებული კიდური როგორშიც არის, იმავე მდგომარეობაში უნდა დარჩეს; არტაშანი ედება ისე, რომ დაფიქსირდეს სახსარი მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ. ამოვარდნილობის ჩასწორება არ შეიძლება, ტკივილის შესამცირებლად ტრავმირებულ ადგილზე აუცილებლად უნდა დაადოთ ცივი საფენი** (აქტუალურია ტრავმის მიღებიდან 6 საათის განმავლობაში, შემდეგ — აღარ).

**თერმული დამწვრობისას** სასწრაფოდ მოაცილეთ დამაზიანებელი ფაქტორი; გააცივეთ დამწვარი ადგილი: I და II ხარისხი — 10-15 წუთის განმავლობაში გააცივეთ გამდინარე წყლით, III და IV ხარისხი — გადაახვიეთ სუფთა სველი ქსოვილი და ასე შეხვეული გააცივეთ დამდგარ წყალში; შეახვიეთ სუფთა სველი ქსოვილის ნაჭრით. ტკივილისა და კანის გაწითლებისას დამწვრობა I ხარისხისაა, ბუშტუკების გაჩენისას — II ხარისხის, ბუშტუკების დასკდომისა და ჭრილობების წარმოშობისას — III ხარისხის, გამურვისა და მგრძნობელობის დაკარგვისას კი — IV ხარისხის.

დაზიანებულ ადგილზე არ წავუსვათ ზეთი, კრემი, მალამო, ცილა და სხვა, ქაფის (პანტენოლი) დასხმაც ახალდამწვარზე არ შეიძლება. არ შეიძლება მიწებებული ტანსაცმლის მოშორება მიწებებული ტანსაცმელი ირგვლივ ▶



**თითოეულ ოჯახში, ოფისსა თუ ავტომობილში უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაკომპლექტებული მინიაფთიაქი, რათა საჭიროებისას ადამიანის სიცოცხლისთვის ძვირფასი წუთები წამლისა და სახვევი მასალის ძებნაში არ დაიკარგოს; სამკურნალო საშუალებები: ვალიდოლი — გამოიყენება გულის შეტევის (სტენოკარდიის), ნევროზის, ისტერიკის მომენტში; თავსდება ენის ქვეშ.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შემოვჭრათ, აგლეჯა არ შეიძლება. არ შეიძლება ბუშტუკების ძალით გახეთქვა; ჭრილობაზე მოშარდვა (გავრცელებული მეთოდი).

**გველის ნაკბენზე** საჭიროა ნაკბენის ზემოთ მჭიდრო ნახვევის დადება — არტაშანი, ცივის დადება, სითხის უხვად მიცემა, თუ ცუდად გახდა, გამოიწვიეთ ღებინება. არ არის სასურველი ნაკბენის ამოწოვა, მოწვა, ლახტის დადება. ტკიპის კბენის დროს ნაკბენზე წაუსვით ზეთი, ცხიმიანი მალამო, კრემი; პინცეტით, ძაფით ან თითებით დაატრიალეთ ტკიპა; თუ თავი მაინც მოსძვრა, ამოაძრეთ ისევე, როგორც აძრობთ ხიჭვს.

**ძაღლისა და სხვა ცხოველების კბენის შემთხვევაში** მთავარი შეცდომა, რიმელიც ადამიანებს მოსდით, ის არის, რომ ხშირად ჭრილობას სპირტით ან იოდით ამუშავებენ. ძაღლის ნაკბენი აუცილებლად უნდა მოიბანოს წყლითა და საპნით, შემდეგ დაედოს სტერილური სახვევი და დაზარალებული წუთის დაუკარგავად საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთ. თუნდაც ნაკბენი უმნიშვნელო იყოს, მაინც აჩვენეთ ექიმს და დაწვრილებით მოუყევით, რომელმა ცხოველმა გიკბინათ.

**ელექტროდენით დაზიანების** ხარისხი დამოკიდებულია ძაბვაზე, იმაზე, როგორ და რა ხერხით (საშუალებით) გაივლის სხეულში დენი, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და იმაზე, რამდენად დროულად გაეწევა პირველი დახმარება. ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების წარმოშობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება: გულის გაჩერება; გულის რიტმის დარღვევა (არითმია); სუნთქვის დარღვევა ან შეწყვეტა; კუნთების ტკივილი ან შეკუმშვა; კრუნჩხვითი შეტევები; ჩხვლეტისმაგვარი ტკივილი ან მგრძნობელობის დაკარგვა; ცნობიერების დაკარგვა.

სასწრაფოს მოსვლამდე დაშავებულს მაშინვე ნუ მიეკარებით — შესაძლოა, მასზე ელექტროდენი ისევ მოქმედებს და, თუ ხელით შეეხებით, თქვენც დაგარტყამთ. თუ არის საშუალება, გამორთეთ დენის წყარო. თუ ეს შეუძლებელია, დაზარალებული დენის წყაროს მოაშორეთ ისეთი მშრალი საგნის მეშვეობით, რომელიც დენს არ ატარებს (ასეთია მუყაო, პლასტმასი, ფიცარი (ოღონდ არა შეღებილი), ხის ტოტი). დააკვირდით, სუნთქავს თუ არა დაზარალებული. თუ არ სუნთქავს, დაუყოვნებლივ დაიწყეთ გულფილტვის რეანიმაცია (ხელოვნური სუნთქვის ჩატარება). ეცადეთ, თავიდან აიცილოთ შოკი. ამისათვის დაშავებული ისე დააწვინეთ, რომ თავი სხეულზე დაბლა ედოს, ფეხები კი ზევით აუწიეთ.

მიუხედავად იმისა, როგორ გრძნობს თავს დაშავებული, მისი საავადმყოფოში გადაყვანა აუცილებელია, რადგან ელექტროდენის ზემოქმედებიდან 24 საათის შემდეგაც კი არსებობს გულის მოულოდნელი გაჩერების საშიშროება. დაშავებულს ადგილიდან ნუ დაძრავთ, თუ რაიმე საფრთხე არ ემუქრება, დატოვეთ ადგილზე სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.

**სასუნთქ გზებში უცხო სხეულის მოხვედრისას** აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს! თუ უცხო სხეული მოხრჩობის მიზეზი გახდა, გამოიყენეთ ტაქტიკა „ხუთს პლუს ხუთი“: დაზარალებულს ხუთჯერ მკვეთრად უნდა დაარტყათ ხელისგული ბეჭებს შორის, ამის შემდეგ ხუთჯერ შეასრულოთ დიაფრაგმისქვეშა ზეწოლა (ჰეიმლიხის ხერხით), შემდეგ ისევ ბეჭებს შორის ხუთჯერ დარტყმა და ისევ ზეწოლა ჰეიმლიხის მეთოდით. თუ დამხმარე კიდევ გყავთ, გაუშვით ის სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად. თუ მარტო ხართ, ჩაატარეთ დახმარების ერთი ციკლი, შემდეგ კი გამოიძახეთ სასწრაფო, თან პირველი დახმარების გაწევა განაგრძეთ.

ჰეიმლიხის მეთოდი: ამოუდექით დაზარალებულს უკან, შემოეხვიეთ და ოდნავ წინ გადახარეთ; ცალი ხელი მომუჭეთ და დაზარალებულს ჭიპის ზემოთ დაადეთ; მეორე მუშტს შემოხვიეთ და სწრაფი და ძლიერი მოძრაობით დააწექით მუცელს იმგვარად, თითქოს დაზარალებულის მაღლა აწევას ცდილობდეთ. შეასრულეთ ეს მოძრაობა ხუთჯერ (თუ აუცილებელი გახდა). თუ უცხო სხეული, რომელიც მოხრჩობას იწვევს, ადგილიდან არ დაიძრა, მთელი ციკლი თავიდან გაიმეორეთ.

**შინაგანი სისხლდენისას** გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. მუცელზე დაადეთ ცივი; ჩაუტარეთ შოკის საწინააღმდეგო დახმარება; ტრანსპორტირება მჯდომარე მდგომარეობაში უნდა მოხდეს.

შინაგანი სისხლდენისას ადამიანი სუსტდება, ფითრდება, ამცივნებს და ცივი ოფლი ასხამს, თავბრუ ეხვევა და თვალწინ მუქი რგოლები ერევა, სუნთქვა სუსტი და ზერელე აქვს; ხელის დაჭერისას — მუცელი შებერილი, მაგარი და მტკივნეული; შესაძლოა, ტკივილს არც კი გრძნობდეს. შესაძლოა, მიიღოს ემბრიონის პოზა. შესაძლოა, მუცელზე ჩალურჯებული ადგილები შეიმჩნეოდეს.

არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ ტკივილგამაყუჩებელი! არ ვაჭამოთ! არ დავალევინოთ წყალი!

**მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობისას** დაფარეთ ჭრილობა; მოიქეცით ისე, როგორც შინაგანი სისხლდენის დროს; თუ შინაგანი ორგანოები გარეთ არის გამოვარდნილი, ძალიან ფრთხილად მოათავსეთ ისინი ნაჭერში ან პაკეტში, პაკეტი მიამაგრეთ სკოჩით, ლეიკოპლასტირით ან ბინტით, არ მოუჭიროთ; ნაწლავებს შეგიძლიათ თავისუფლად შეეხოთ — ეს მტკივნეული არ არის; ნაწლავების გამოშრობის თავიდან ასაცილებლად ნახვევი განუწყვეტლივ უნდა დაასველოთ.

**გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობისას** ჰერმეტულად დახურეთ ჭრილობა, დაადეთ ცივი. დაჭრილს აუკრძალეთ საუბარი. სთხოვეთ, შეძლებისდაგვარად ღრმად ისუნთქოს; პაკეტი ან რამდენიმე ფენად (რაც შეიძლება სქლად) გაკეცილი ქსოვილი სკოჩით ან ლეიკოპლასტირით მიამაგრეთ ჭრილობის არეს. თუ არსებობს შემავალი ჭრილობა, სავსებით შესაძლებელია, არსებობდეს გამომავალიც. ცეცხლნასროლი ჭრილობის დროს გამომავალი ხვრელი შემავალზე დაახლოებით ათჯერ დიდია. თუ ისიც პატარა ზომისაა, შეიძლება მისი ლეიკოპლასტირით მჭიდროდ დახურვა.

**თავი შემავალი ჭრილობისას** შეახვიეთ სუფთა ქსოვილით და დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო. არ მობანოთ, ხელით არ შეეხოთ!

**მოყინვის შემთხვევაში** დაზარალებული მოაშორეთ სიცივეს (ყინვაში დაზელა ან გათბობა უშედეგო და საშიშია). დაზიანებული ადგილი (გათბობის სიჩქარის შესანელებლად) მშრალი ქსოვილის ნაჭრით შეახვიეთ. თანდათანობით გაათბეთ, უხვად მიეცით თბილი და ტკბილი სითხე (შიგნიდან გასათბობად).





**დეფორმირებული კიდური, როგორშიც არის, იმავე მდგომარეობაში უნდა დარჩეს; არტაშანი ედება ისე, რომ დაფიქსირდეს სახსარი მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ. ამოვარდნილობის ჩასწორება არ შეიძლება, ტკივილის შესამცირებლად ტრავმირებულ ადგილზე აუცილებლად უნდა დაადოთ ცივი საფენი**

მოყინვის ნიშნები და სიმპტომებია: მგრძნობელობის დაკარგვა, წიწკვნისა და ჩხვლეტის შეგრძნება, კანის გათეთრება — მოყინვის I ხარისხი; ბუშტუკების გაჩენა — II ხარისხი (ბუშტუკები მხოლოდ გათბობის შემდეგ ჩნდება. შესაძლოა, 6-12 საათის შემდეგაც კი იჩინოს თავი), გამუქება და კვდომა — III ხარისხი (ამ ნიშანსაც მხოლოდ გათბობის შემდეგ შეამჩნევთ).

არ შეიძლება მოყინვის იგნორირება, დაზელვა (ეს კანის სიკვდილსა და კანზე თეთრი ლაქების გაჩენას გამოიწვევს), სწრაფად გათბობა, ალკოჰოლის მიცემა.

**მწვავე მუცლის** შემთხვევაში დაზარალებული სასწრაფოდ გადაიყვანეთ საავადმყოფოში, დაადეთ ცივი, არაფერი აჭამოთ და დაალევინოთ, ზედმეტად არ გაანძრიოთ. ეს ძალიან საშიში მდგომარეობაა, რომელიც ხშირად გადაუდებელ ოპერაციულ ჩარევას მოითხოვს.

მწვავე მუცლიასას ადამიანს აღენიშნება ძლიერი ტკივილი მუცლის არეში, დაჭიმული (ფიცრისებური) მუცელი, ემბრიონის პოზა ან წრიალი (ავადმყოფი საწოლში ადგილს ვერ პოულობს), სისუსტე, შემცივნება. ამ დროს ადამიანს მუცელზე არ უნდა დავადოთ სათბური, არ უნდა მივცეთ საკვები და წყალი, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.

**ბრონქული ასთმის** შეტევისას პაციენტს უვარდება ქოშინი, მსტვენი ხიხინი, უჭირს ლაპარაკი, გადაადგილება, შესაძლოა, განუვითარდეს ტუჩებისა და ფრჩხილების სილურჯე — ციანოზი. ამ სიმპტომების გამოვლენისას აუცილებლად უნდა გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა, გამოძახებისას ოპერატორს დეტალურად აღვუწეროთ სიმპტომები, მერე კი, ექიმის მოსვლამდე, შევეცადოთ: გავარკვიოთ, ხომ არ აქვს პაციენტს ექიმის მიერ დანიშნული პრეპარატი შეტევისას გამოყენებისთვის; დავეხმაროთ პრეპარატის პოვნაში, მის გამოყენებაში; დავსვათ მოხერხებულად, მოჭერილი ტანსაცმელი მოვუშილიფოთ.

გვახსოვდეს, რომ შესასუნთქი პრეპარატი მხოლოდ განსაზღვრული დოზით შეიძლება გამოვიყენოთ. შესაძლოა, დოზის გადაჭარბებამ საბედისწერო შედეგიც კი გამოიწვიოს. თუ პაციენტს სუნთქვა არ გაუადვილდა, მაგრამ მოერია ძილი, ნუ ჩათვლით, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა. პირიქით, შეტევისას ეს მდგომარეობის გაუარესების ნიშანია. ასევე მდგომარეობის გაუარესებაზე მეტყველებს ხიხინის შესუსტება და გაქრობა, როცა სუნთქვის გაძნელება ჯერ კიდევ აღინიშნება.

**გულის არეში ტკივილი,** რომელიც მოიცავს მკერდის ძვალსა და მის ოდნავ მარცხნივ მდებარე უბანს, სტენოკარდიის გამოხატულებაა. მისი მიზეზია გულის კუნთში ჟანგბადის დეფიციტი გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვების შევიწროების გამო. ტკივილი, შესაძლოა, გადაეცემოდეს ბეჭებს, ზედა კიდურებს, ქვედა ყბას. რასაკვირველია, გულმკერდში ლოკალიზებული ტკივილი ყოველთვის არ არის სტენოკარდიის ნიშანი. არცთუ იშვიათად ტკივილის ჭეშმარიტი მიზეზის დადგენა ჭირს, ამიტომ, როცა ტკივილის მიზეზი არ ვიცით, ჯობს, ექიმის მოსვლამდე მას, როგორც გულის ტკივილს, ისე ვუმკურნალოთ. ქმედებათა თანმიმდევრობა კი ასეთი უნდა იყოს:

გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა და ოპერატორს ვუთხრათ, რომ პაციენტი უჩივის ტკივილს გულის არეში. აუცილებელია, დავაზუსტოთ მისი სიძლიერეც. პაციენტს შევაწყვეტინოთ ფიზიკური დატვირთვა. დავსვათ ან ნახევრად წამოვაწვინოთ, ქვედა კიდურები ჩამოვაშვებინოთ. თუ პაციენტი რეგულარულად იღებს ასპირინს, რეკომენდებულია ერთი ტაბლეტის დაღეჭვა.

თუ პაციენტმა იცის, რომ სტენოკარდია აქვს და ადრეც მიუღია ნიტროგლიცერინი, რეკომენდებულია მისი ერთი ტაბლეტის მიცემა ენის ქვეშ ან ნიტროგლიცერინის სპრეის შესხურება.

**მუცლის ტკივილისას,** თუ ტკივილი მუცლის მარჯვენა ქვედა ნაწილშია ლოკალიზებული, გადაეცემა მარჯვენა ქვედა კიდურს, თან ახლავს ტემპერატურის მომატება და ღებინება, უნდა მივმართოთ ქირურგიულ კლინიკას, რადგან შესაძლოა, პაციენტს მწვავე აპენდიციტი ჰქონდეს და ქირურგიული ჩარევა იყოს საჭირო. სტაციონარში ვიზიტი აუცილებელია მაშინაც, როცა პაციენტი ორსულადაა, უჩივის ტკივილს მუცლის ქვედა ნაწილში და ტკივილს ერთვის სისხლიანი გამონადენი — მიზეზი, შესაძლოა, იყოს საშვილოსნოსგარე ორსულობა ან ორსულობის შეწყვეტა — თვითნებური აბორტი.

**განასხვავებენ მხუთავი აირით მოწამვლის** ორ ხარისხს — მსუბუქსა და მძიმეს. მსუბუქი მოწამვლისას ადამიანი უჩივის: თავის ძლიერ ტკივილს (თავი თითქოს მარწუხში აქვს მოქცეული), შუბლის, საფეთქლების ტკივილს; ყურების შუილს; თავბრუსხვევას; სისუსტეს; გულისცემის გახშირებას; გულისრევასა და პირღებინებას. ამ დროს ადამიანი გონზეა, მაგრამ თითქოს გაბრუებულია.

მძიმე მოწამვლისას, შესაძლოა, განვითარდეს მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები; სახეზე ჩნდება ვარდისფერი ან ლურჯი ლაქები; ადამიანი ძილად მივარდება, ერღვევა მოძრაობის კოორდინაცია, ცნობიერება, კომაში ვარდება, უვითარდება კლონურ-ტონური კრუნჩხვა; გუგები მკვეთრად უფართოვდება; ერღვევა სუნთქვა; აქვს მაღალი ტემპერატურა, რაც ტვინის შეშუპების მანიშნებელია.

სასწრაფოდ გაანიავეთ ოთახი, გამორთეთ საწვავზე მომუშავე ყოველგვარი მოწყობილობა; ავადმყოფი სასწრაფოდ გამოიყვანეთ საშიში ზონიდან, გააღეთ ფანჯარა, კარი, რათა სუფთა ჰაერით ისუნთქოს; თუ გონზეა, დაალევინეთ მაგარი ყავა, ჩაი, ასკილის ნაყენი.

თუ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე აუცილებელია სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება. თუ ავადმყოფი გონზეა, პროგნოზი კეთილსაიმედოა — სავარაუდოდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ექიმის კონსულტაცია მაინც აუცილებელია.

*** მზის დაკვრის** შემთხვევაში ადამიანს აღენიშნება ძლიერი თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა, ღებინება, სისუსტე, კანის შეწითლება, მოჭარბებული ოფლდენა, ზოგჯერ სისხლდენა ცხვირიდან. პულსი და სუნთქვა გახშირებულია, არტერიული წნევა — დაქვეითებული. მძიმე შემთხვევების დროს სხეულის ტემპერატურამ, შესაძლოა, 41 გრადუსს მიაღწიოს და ადამიანმა გონება დაკარგოს. ასეთ დროს ხშირად ეცემა გულის მუშაობის აქტივობა, ვითარდება გულყრა.

მზის დაკვრის შემთხვევაში დაზარალებული უნდა გადაიყვანოთ ჩრდილში, გრილ ადგილას ან საწოლში; უნდა დააწვინოთ ზურგზე, უზრუნველყოთ თავის ამაღლებული პოზიცია; სასურველია, სხეული დაუზილოთ ცივი წყლით ან შემოახვიოთ სველი ზეწარი. მძიმე შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედება, შეგიძლიათ, დაასხათ ცივი წყალი. დაზარალებულს შუბლზე ცივი კომპრესები უნდა დაადოთ, დაალევინოთ დიდი რაოდენობით სითხე. ექსტრემალურ სიტუაციაში (როცა ადამიანს გონი აქვს დაკარგული, პულსი არ ესინჯება, სუნთქვა შესუსტებული და გაიშვიათებულია) საჭიროა დაზარალებულის ჰოსპიტალიზაცია, აუცილებლად ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, თუმცა ექიმის მოსვლამდე დრო არ უნდა დაკარგოთ და ჩაუტაროთ გულის დახურული მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა.

დასასრულ, თითოეულ ოჯახში, ოფისსა თუ ავტომობილში უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაკომპლექტებული მინიაფთიაქი, რათა საჭიროებისას ადამიანის სიცოცხლისთვის ძვირფასი წუთები წამლისა და სახვევი მასალის ძებნაში არ დაიკარგოს; სამკურნალო საშუალებები: ვალიდოლი — გამოიყენება გულის შეტევის (სტენოკარდიის), ნევროზის, ისტერიკის მომენტში; თავსდება ენის ქვეშ.

*** ვალოკორდინი** ან **კორვალოლი** — გამოიყენება გულის მიდამოში ყრუ ტკივილის, გახშირებული და გაძლიერებული გულისცემის, უძილობის, ნევროზის, ნაწლავთა სპაზმისას; მიიღება 15-30 წვეთი დღეში 2-3-ჯერ.

*** პარაცეტამოლი** — ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი და მსუბუქი ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა თავის ტკივილის, კბილის ტკივილის, რადიკულიტის, რევმატიზმის დროს.

*** ასპირინი** — ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი საშუალებაა; მიიღება ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ.

*** ანალგინი** ან **ბარალგინი** — გამოიყენება კბილის, თავის ტკივილის, ნევრალგიისა და რევმატიზმის დროს. ძლიერი ტკივილის შემთხვევაში შესაძლებელია ასპირინთან ერთად მიღებაც.

*** ალბუციდი** — თვალის წვეთები, გამოიყენება თვალის ანთებითი დაავადებების (კონიუნქტივიტების, რქოვანა გარსის ჩირქოვანი წყლულების), თვალის უცხო სხეულით გაღიზიანების დროს.

*** ლევოვინიზოლი** ან სხვა ანალოგიური დანიშნულების ხსნარი — ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა დამწვრობის პირველადი მკურნალობისას.

*** ნიშადურის სპირტი** — გამოიყენება გულის წასვლის შემთხვევაში სუნთქვის აღსადგენად, მწერის ნაკბენზე საფენის დასადებად.

*** ნო-შპა** — გამოიყენება კუჭ-ნაწლავის სპაზმის, ნაღველკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებების შეტევის დროს.

*** სუპრასტინი, ტავეგილი, კლარიტინი** — ანტიალერგიული პრეპარატებია, რომელთა ხანგრძლივი მიღება შეიძლება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

*** რეჰიდრონი** — გამოიყენება წყლისა და ელექტროლიტების შესავსებად ღებინებისა და ფაღარათის შემთხვევაში.

*** ანტისეპტიკური** საშუალებები: სამედიცინო (96%-იანი) სპირტი, წყალბადის ზეჟანგი, ბრილიანტის მწვანე, იოდი; სტერილური დოლბანდი და ბამბა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჰამბურგი

**ჰამბურგი — ქალაქი ჩრდილოეთ გერმანიაში, მდინარე ელბაზე, რომელიც ერთვის ჩრდილოეთის ზღვას და 2,5 კმ-დან 15 კმ-მდე სიგანის ესტუარს ქმნის.** ჰამბურგი გერმანიაში სიდიდით მეორე ქალაქია და ქვეყნის ყველაზე დიდი საოკეანო პორტიც. მონაცემების საფუძველზე, იმისათვის რომ წყალმა დაფაროს ჰამბურგი, გლობალური ზღვის დონე 2,5-3 მეტრით უნდა გაიზარდოს.

# ქალაქები, რომლებიც, შესაძლოა, წყალმა დაფაროს

**გლობალური დათბობა, ანუ დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენისა და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესი საფრთხეს უქმნის ჩვენს ცივილიზაციას. დნობადი ყინულების დნობის შედეგად წარმოიქმნება მილიონობით ლიტრი წყალი, რომელიც ქალაქებსა და ქვეყნებს ჩაძირვით... ემუქრება. რისკის წინაშე დგანან:**



## შანხაი

**ჩინეთის ამ ქალაქს სრული დატბორვა (ჩაძირვა) იმ შემთხვევაში დაემუქრება, თუ წყალი 6,5 მეტრ სიმაღლეზე აიწევს.** არანაკლები საშიშროება ელით ისეთ ქალაქებს, როგორიცაა მაკაო, ჰონგ-კონგი, გუანჩჟოუ. წყლის დონის აწევა 6,5 მეტრით შეიძლება მოხდეს დაახლოებით 400 წლის განმავლობაში.

სუსტად განვითარებული დაცვის სისტემის შემთხვევაში, წყლის დონის 1,5-მეტრიანი მატებაც კი, რაც სავარაუდოა 2070 წლისთვის, მეგაპოლის შანხაიში 5,5 მილიონ მცხოვრების სიცოცხლეს შეუქმნის საფრთხეს.



## ვენეცია

**„ყველა შეყვარებულის“ ცნობილი ქალაქი ვენეცია შეიძლება „აღიგავოს პირისაგან მიწისა“, თუ გლობალური ზღვის დონე მოიმატებს თუნდაც ერთი მეტრით. როგორც იტალიელმა ჟურნალისტმა ლუიჯი ბარცინიმ გაზეთ The New York Times-ს განუცხადა, „ეს ქალაქი უდავოდ ყველაზე მშვენიერია, რაც კი კაცის ხელს შეუქმნია“.**

ვენეციას არხების ქალაქსაც უწოდებენ, რადგან ერთმანეთისგან არხებით გამოყოფილ 118 პატარა კუნძულზე მდებარეობს. ზრდადი წყლის დონე და მისი გავლენა ადგილობრივ მწირ ნიადაგზე ქალაქს საფრთხეს უქმნის. აღსანიშნავია 2008 წლისა და წლეულს, იანვარში კატასტროფული წყალმოვარდნები, რომლებმაც გამოიწვია შენობების მძიმე დაზიანება. ქალაქის აღდგენა-რესტავრაცია ასობით მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა.

თუ ზღვის დონე აიწევს ერთი მეტრით, ვენეცია — „ადრიატიკის ზღვის დედოფალი“ — წყლით დაიფარება.



## ლონდონი

**იმისათვის, რომ ლონდონი ჩაიძიროს, მსოფლიო ოკეანის დონემ 5,5 მეტრით უნდა მოიმატოს.**

ამჟამად ქალაქში მოქმედებს მოქცევებისგან და უკუქცევებისგან დამცავი სისტემა – მდინარე ტემზას ბარიერი, მაგრამ ზოგიერთი გათვლით და სავარაუდო მონაცემებით, 375 წელიწადში ბრიტანეთის დედაქალაქი ატლანტიდის ბედს გაიზიარებს.



## ნიუ იორკი

**ნიუ იორკის სანაპირო ნაწილი რომ წყალმა შთანთქას, ოკეანის დონემ 3 მეტრით უნდა აიწიოს.** ქარიშხალმა „სენდიმ“ და ძლიერმა გრიგალებმა ფაქტის წინაშე დააყენა ნიუ იორკის მოსახლეობა, რომ საჭიროა წყალდიდობებისგან დამცავი უფრო უსაფრთხო ახალი სისტემის შექმნა რაც შეიძლება მოკლე ვადაში.



## ლოს-ანჯელესი

**ლოს-ანჯელესი — „ანგელოზთა ქალაქი“ — მდებარეობს ამერიკის შტატ კალიფორნიაში და მოსახლეობის სიდიდით მეორე ქალაქია, ნიუ იორკის შემდეგ.** სან ფარანცისკოს მსგავსად, ამ სანაპირო ქალაქსაც ჩაძირვა ემუქრება, თუ მსოფლიო ოკეანის დონე 3 მეტრით აიწევს. წინასწარი გათვლებით, ეს შეიძლება მოხდეს დაახლოებით 200 წლის შემდეგ.



## სან ფრანცისკო

**სან ფარანცისკო არის შესანიშნავი ქალაქი, რომელიც კალიფორნიის ცენტრალურ სანაპიროზე, ლოს-ანჯელესიდან 350 მილის მოშორებით მდებარეობს.** ნახევარკუნძულზე განლაგებულ ქალაქს ჩაძირვა ემუქრება, თუკი მსოფლიო ოკეანის დონე 3 მეტრით აიწევს. სამწუხაროდ, მთიანი რელიეფი საკმაოდ ართულებს ტერიტორიის წყლისაგან დაცვას.



## სანკტ-პეტერბურგი

**ქალაქს მუდამ ალამაზებდა უამრავ შენაკადსა თუ არხზე გადებული 300-მდე ხიდი, სანკტ-პეტერბურგს ხშირად სწორედ ამიტომ უწოდებენ „ჩრდილოეთის ვენეციას“.** როგორც ვიცით, სანკტ-პეტერბურგის დამაარსებელი – რუსეთის ახალგაზრდა მეფე პეტრე დიდი ოცნებობდა, რუსეთისთვის „ფანჯარა გაეჭრა“ ევროპისკენ და გამოსავალს ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაში ხედავდა. სამხრეთით, შავი ზღვისკენ გზა ოსმალეთის იმპერიას ჰქონდა გადაჭრილი, ამიტომაც პეტრემ ყურადღება გადაიტანა ჩრდილოეთით, ბალტიის ზღვის მიმდებარე მიწებზე, რომლებიც იმ დროს შვედეთის იყო და დაიწყო შეტევა შვედეთზე, რაც 1702 წელს წარმატებით დამთავრდა.

მან შორეულ ჩრდილოეთში, იქ, სადაც მდინარე ნევა ფინეთის ყურეს ერთვის, „ჩრდილოეთის ჭაობიან მიწებზე“ გააშენა მსოფლიოს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი ქალაქი. პეტერბურგს დატბორვა ემუქრება, თუ წყლის დონე 2,5 მეტრამდე მოიმატებს.



## ამსტერდამი

**ნიდერლანდის უდიდეს და უმთავრესს ქალაქს, სადაც შვიდ მოწინავე კომპანიას აქვს სათაო ოფისი განთავსებული (მათ შორისაა Philips და ING), წყლით დაფარვა ემუქრება, თუ ზღვის დონე 3 მეტრით აიწევს და, სავარაუდოდ, წინასწარი გათვლებით, ამსტერდამი წყალში 150 წლის განმავლობაში ჩაიძირება.** ქვეყნის ერთი მეოთხედი, რომელიც მდებარეობს დაბლობზე, ფაქტობრივად, განლაგებულია ზღვის დონიდან ქვემოთ. ტერიტორიები, რომლებიც, დიდი ხანია, ზღვაში ჩაძირული უნდა იყოს, დაცულია უზარმაზარი დამბებითა და ჯებირებით. აქედანაა წამოსული სიტყვა „ამსტერდამიც“, რაც მდინარე ამსტელზე დამბას ნიშნავს და ქალაქის წარმოშობაზე მიუთითებს.



## ახალი ორლეანი

**ახალი ორლეანი არის ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ნავსადგური, რომელიც მდებარეობს ლუიზიანის შტატში.** ეს ქალაქი ყოველთვის ყველაზე მეტად ზარალდება წყალდიდობებისაგან. ქარიშხალ „კატრინას“ შედეგად ქალაქის უამრავი რაიონი პრაქტიკულად განადგურდა. „ახალი ორლეანის“ ყველაზე დაბალი დამბები დაახლოებით 350 წლისაა და უეჭველია, რომ ოკეანის წყლები შთანთქავს ქალაქს. დამბა, იგივე ჯებირი, მიწის კაშხლის მსგავსი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. ჯებირი ორგვარია: სადაწნეო — აგებენ მდინარისა და ზღვის დაბალი ნაპირების დატბორვისაგან დასაცავად, არხების შემოსაზვინად და უდაწნეო — იყენებენ მდინარის კალაპოტის სარეგულირებლად. გარდა ამისა, არსებობს ისეთი დამბები, რომლებიც ხელოვნურად იქმნება, მაგრამ დიდ სამუშაოებსა და დროს მოითხოვს. მდინარე მისისიპის დამბების სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია. მათი საერთო სიგრძე მდინარის გაყოლებაზე 3000 კილომეტრამდეა.



## 60 წლით უფროსი საცოლე

**ამბობენ სიყვარული ბრმაა და ასაკი არ იცისო. ამ გამოთქმას 31 წლის კაილი ჯონსის რომანი ადასტურებს — იგი 91 წლის ქალზეა შეყვარებული.** ფლორიდაში მცხოვრებმა კაცმა პარტნიორი 50 წლის დედასაც გააცნო. როგორც კაილი ამბობს, ზოგს ქერა ხიბლავს, ზოგს — შავგვრემანი, მას კი მასზე უფროსი ასაკის ქალები იზიდავს. 60-წლიანი სხვაობა მათთვის არაფერია. ყველაზე უცნაური ისაა, რომ კაილი რამდენიმე პენსიონერს ერთდროულად ხვდებოდა. ბოლო 5 წელია, იგი 91 წლის მარიორი მაქქულზეა შეყვარებული. როგორც მამაკაცი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეყვარებული 91 წლისაა, მაინც შესანიშნავი საყვარელია და სექსიც იდეალური აქვთ. „ჩემი შეყვარებულები ყოველთვის 60-დან 80 წლამდე იყვნენ. მარიორი 6 შვილის დედაა და მეორე მეუღლესთან დაშორების შემდეგ, 37 წელი მარტო იყო“, — ამბობს კაილი.

# სიმართლე ყველაზე მისტიკურ მოვლენებზე



## ბერმუდის სამკუთხედი

**ოკეანის მონაკვეთი, რომელიც ფლორიდას, პუერტო რიკოსა და ბერმუდის კუნძულებს შორის მდებარეობს, მრავალი გაუჩინარების მიზეზი გამხდარა. მასზე მრავალი მისტიკური ლეგენდა არსებობს.** ჯერ კიდევ 1975 წელს იგი პილოტმა და მეცნიერმა ლოურენს კუშემ გამოიკვლია და დაადგინა, რომ ყველა გემი ცუდ ამინდში იძირებოდა, თვითმფრინავები ქარიშხლის დროს ვარდებოდა, ხოლო ამერიკის საზღვაო დაცვა ყოველი კატასტროფის შემდეგ პოულობდა ნამსხვრევებს.



## მაიას ცივილიზაცია

**მაიას მაღალგანვითარებული ცივილიზაცია ამოუხსნელი მიზეზებით გაქრა.** ეს გამოცანა 2005 წელს ამოხსნეს. არქეოლოგმა მაჯარედ დაიმონდმა გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც მაიას ცივილიზაცია მხოლოდ საკუთარი სიხარბის გამო გადაშენდა. მათ იმდენი ტყე გაჩეხეს, რომ მიწა მზის რადიაციას ველარ ეწინააღმდეგებოდა. ამის გამო დაიწყო გვალვა, ეროზია. საკვების დეფიციტმა აიძულა ხალხი, ქალაქს გასცლოდა, რის გამოც ცივილიზაცია განადგურდა.



## მოძრავი ქვები

**1940 წელს ხალხი ცდილობდა, გაერკვია, როგორ გადაადგილდებოდა თავისით ქვები „სიკვდილის ხეობაში“.** მხოლოდ 2011 წელს გახდა ცნობილი, რომ ზამთარში მონაკვეთი, რომელზეც ქვები გადაადგილდებიან, ღამით თვალისთვის შეუმჩნეველი ყინულის თხელი ფენით იფარება, რომელზეც ქვები სრიალებენ.



## ეგვიპტის პირამიდები

**2014 წელს ამსტერდამის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, თუ როგორ მიმდინარეობდა პირამიდების მშენებლობა.** მრავალი დეტალის გაანალიზების შემდეგ ისინი მიხვდნენ, რომ მშენებლები წყალს და თიხას საცხის სახით იყენებდნენ, რომელთა დახმარებითაც ხის კონსტრუქციით გიგანტურ აგურებს ზიდავდნენ.



# ცხიმების ყველაზე გემრიელი მტრები

**ბოსტნეულის წვენები ერთ-ერთი იარაღია წონის დაკლების საქმეში. როგორც ცნობილია, წონის დასაკლებად ყველაზე სასარგებლო ჯვაროსნების ოჯახის წარმომადგენელი მცენარეები არიან, მათ შორის: კომბოსტო, ბროკოლი და სალათის ფოთლები. ამ ბოსტნეულისგან დამზადებული წვენები, ზედმეტ წონასთან ბრძოლის საუკეთესო იარაღია და დაგეხმარებათ ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნაშიც.**

**როგორც ვიცით, ბოსტნეული ძალიან მდიდარია ბუნებრივი ფიტონუტრიენტით, რომელიც სხეულში არსებული ცხიმების რაოდენობას ამცირებს და აჩქარებს მეტაბოლიზმის პროცესს. გარდა ამისა, ებრძვის სხეულში მიმდინარე ანთებით პროცესებს და სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს.**

**მწვანე ჩაი** დიდი რაოდენობის ცხიმების დაწვის მშვენიერი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს ენერგეტიკული ტონუსის აწევასა და მადის დაქვეითებას, რის გამოც ზედმეტ წონასთან ბრძოლის დროს გამოიყენება. მწვანე ჩაი ძალიან პოპულარულია იაპონიაში. იაპონელები თვლიან, რომ ჩაი მათ სტრესის მოხსნასა და მოდუნებაში ეხმარება.

**ხილის წვენები** ძალიან გემრიელია, მათი გაკეთება კი — ძალიან მარტივი. ეს სასმელი მდიდარია ვიტამინებითა და მინერალებით. მათი წვენი ზედმეტი ცხიმების დაწვაში დაჩქარებული მეტაბოლიზმით დაგეხმარებათ. ასევე მოგიმატებთ სხეულის ზოგად ენერგეტიკულ ტონუსს და მოამარაგებს ორგანიზმს ყველა საჭირო ვიტამინით.

**შავი ყავა** ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. (ზომიერი დოზით) ყავა შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ამცირებს კიბოს ზოგიერთი სახეობის, დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნის რისკს. კოფეინი იდეალურად უწყობს ხელს მეტაბოლიზმის დაჩქარებას და კალორიების დაწვას, მაგრამ ყურადღებით იყავით: თუკი შავი ყავის დახმარებით გახდომა გსურთ, მაშინ მისი შაქრისა და რძის გარეშე დალევა მოგიწევთ, რათა ზედმეტი კალორიები აირიდოთ თავიდან.

# ჩინური კომპანიები, რომლებიც მსოფლიოს დაიპყრობენ

**ხუთი უდიდესი ჩინური კომპანია აისბერგის მხოლოდ წვერად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მათი პროდუქტი არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ ნაწარმს.**



## Xiaomi Tech

**სმარტფონები Xiaomi Mi 4i სულ რაღაც 200 დოლარი ღირს, ხოლო მისი გაყიდვა პირველ ოფიციალურ დღეს ინტერნეტ მაღაზიაში, რომელიც მხოლოდ ამერიკასა და ევროპაში ყიდის პროდუქციას, საოცარი სისწრაფით განხორციელდა — პირველივე დღეს მთელი პროდუქცია გაიყიდა.** 2013 წელს კომპანიის ბრუნვამ 5,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. ასეთი შედეგი შეშურდებოდა ყველას, ბილ გეითსით დაწყებული და რიჩარდ ბენსონით დამთავრებული.




## Taobao

**„ტაობაო“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საიტია, რომელიც „ალიბაბა გრუპის“ მფლობელობაშია. რეგისტრაციაზე არსებული შეზღუდვების მოხსნა და სხვა ქვეყნებიდან მომგებიან ფასებში წარმოდგენილი პროდუქტი „ტაობაოს“ განვითარებას უწყობს ხელს, იმაზე მეტად, ვიდრე „იბეისა“ და „ამაზონს“.**



## Foxconn

**ეს ტაივანური კომპანია ათი ყველაზე მხვილი დამსაქმებლის სიაში პირველ ადგილზეა.** ამ აზიურ გიგანტს შეუძლია, სტრატეგიული გადაწყვეტილებებით ათეულობით კომპანია გააკოტროს. 2013 წელს კომპანიის ბრუნვამ 130 მილიარდი დოლარი შეადგინა, მისი თანამშრომლების რაოდენობა 1,2 მილიონი ადამიანია.

## DJI

**DJI უპილოტო აპარატების წარმოებითაა დაკავებული, რომელთა გარეშეც დღეს ჩვენი სამყარო ძნელი წარმოსადგენია. ნივთების ადგილზე მიტანა, აეროფოტოგადაღება, საჰაერო დაზვერვა — სამოქალაქო დრონების გამოყენება ყოველდღე იზრდება, ისევე, როგორც კომპანიის შემოსავლები.**



## ჩინური სუპერბანკი

**მიუხედავად იმისა, რომ პროექტის სამუშაო სახელწოდებაა „ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი“, სუპერბანკი უფრო საინტერესოდ და გულახდილად ჟღერს.** ამ პროექტის ირგვლივ თანამოაზრე ქვეყნების ჯგუფი ერთიანდება. ყველაზე ვიწრო გათვლებითაც კი, ასეთი ორგანიზაციის კაპიტალმა შეიძლება, ორჯერ გაუსწროს „მსოფლიო ბანკის“ კაპიტალის მაჩვენებელს. თუ რა დაემართება მსოფლიო ეკონომიკას ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მასშტაბური პროექტების რეალიზებისთვის ჩინელების სიმამაცე ნამდვილად შესაშურია.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# მაროკო — აფრიკის სამკაული

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

მაროკო (სრული ოფიციალური სახელწოდება — სამეფო მაროკო. არაბ. — ალ-მამლიაქა ალ-მაღრიბია) აფრიკის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე სახელმწიფოა, ჩრდილოეთში აქვს სანაპირო ხმელთაშუა ზღვაზე, დასავლეთით — ატლანტიკის ოკეანეზე; ევროპისგან გამოყოფილია გიბრალტარის სრუტით; აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით ესაზღვრება ალჟირს; სამხრეთით — საქარის დემოკრატიულ რესპუბლიკას; მაროკოს ჩრდილოეთ სანაპიროზე განლაგებულია ესპანური ანკლავები — სეუტა და მელილია (ესპანეთის სუვერენული ტერიტორიები).

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ქალაქ მარაკეშის სახელიდან, რომელიც ბერძნულ ენაზე სამკაულს ნიშნავს.

ჩვ.წ. აღ.-მდე I ათასწლეულში მაროკოს ტერიტორია კართაგენს ეკუთვნოდა. ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში კართაგენი რომაელებმა დაიპყრეს და ჩრდილოეთ აფრიკაშიც გაბატონდნენ. 429 წელს თანამედროვე მაროკო (რომაული პროვინცია მავრიტანია ტინგიტანა) ვანდალებმა დაიპყრეს, 100 წლის შემდეგ კი — ბიზანტიამ. 682 წლიდან ჩრდილოეთ აფრიკაში არაბები გაბატონდნენ, შემდეგ — ესპანელები (XV ს.), ბოლოს კი ფრანგები.

1956 წელს კი საფრანგეთმა და ესპანეთმა აღიარეს მაროკოს დამოუკიდებლობა.

**კლიმატი.** ქვეყნის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე კლიმატი სუბტროპიკულია. საშუალო ტემპერატურა ზაფხულში პლუს 30-35 გრადუსია, ზამთარში — პლუს 10-12 გრადუსი. მაროკოს სამხრეთ ნაწილში კი კლიმატი კონტინენტურია. ზაფხული ცხელია (პლუს 37), ზამთარი — შედარებით ცივი (პლუს 5-7 გრადუსი).

**ფლორა.** მთიან რაიონებში ხარობს მუხა, კორპის ხე, ღვია, კედარი, ნაძვი, ფიჭვი; სამხრეთ საზღვართან — არგანი (ეკლიანი ხე), რომელიც სხვაგან არსად გვხვდება.

**ფაუნა.** მაროკოს ცხოველთა სამყარო ევროპული და აფრიკული ჯიშებით არის წარმოდგენილი. ბინადრობს მელა, კურდღელი, ციყვი, ტახი, ავაზა, ბაბუინი, გარეული თხა და სხვ.

მაროკოს **უმაღლესი წერტილია** მთა **ტუბკალი** (4165 მ).

უდიდესი მდინარეა **მულუია** (520 კმ).

**ტერიტორია 446 550 კვ.კმ-ს შეადგენს (57-ე მსოფლიოში).**

**მოსახლეობა.** 2013 წლის აღწერით, მაროკოში **32,6 მლნ** კაცი ცხოვრობს (38-ე მსოფლიოში); ამ მაჩვენებლით არაბულენოვან ქვეყნებში მესამეა ეგვიპტისა და სუდანის შემდეგ.

მოსახლეობის 60% არაბია, 38% — ბერბერი. დაახლოებით 80 ათასი კაცი ევროპელია (ძირითადად, ფრანგები, ესპანელები და პორტუგალიელები).

**დედაქალაქი — რაბატი (1,7 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: კასაბლანკა (3,3 მლნ), რაბატი, ტანჟერი (947 ათასი); ფესი (946 ათასი); მარაკეში (909 ათასი).**

**ოფიციალური ენა: არაბული.** ფართოდ არის გავრცელებული **ბერბერული.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

მაროკო კონსტიტუციური მონარქიაა. ქვეყნის პირველი პირია მეფე **მოჰამედ VI,** რომელიც ტახტზე 1999 წელს ავიდა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი.

მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერმინისტრი. ამჟამად მაროკოს პრემიერმინისტრია **აბდელილაჰ ბენკირანი.**

მაროკოს ტერიტორია დაყოფილია 16 ოლქად, რომლებშიც შედის პროვინციები და პრეფექტურები.

**რელიგია.** მაროკოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულია ისლამი. მოსახლეობის 98,7% მუსლიმანია (სუნიტური მიმართულების); 1,1% — ქრისტიანი; 0,2% — იუდეველი.


რაბატი


მაჟორელის ბაღი მარაკეშში


საკათედრო ტაძარი კასაბლანკაში

## ეკონომიკა

სასოფლო-სამეურნეო სექტორში დაკავებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 44,6%. მიწის ფართობის 80% სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ლობიო, და სხვ.), შაქრის ჭარხალი, პომიდორი, კარტოფილი. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, განსაკუთრებით სარდინებით.

მაროკოს მთავარი წიაღისეული სიმდიდრე არის ფოსფატები, რომელთა მოპოვებითაც მესამე ადგილზეა მსოფლიოში, ექსპორტის მიხედვით კი — პირველზე. ქვეყანაში მოიპოვებენ, აგრეთვე, ტყვიას, მარგანეცს, სპილენძს, კობალტს, თუთიას, რკინას, ქვანახშირს. მაროკოს ეკონომიკაში დიდია ტურიზმის წილი. ქვეყანაში, რომელიც განთქმულია ულამაზესი დაისებით, იდეალური პირობებია შექმნილი პლაჟზე დასასვენებლად, სერფინგისთვის; ქვეყნის შიგა მთლიანი პროდუქტი შეადგენს **168,9 მლრდ** დოლარს (მე-60), მოსახლეობის ერთ სულზე — **5200 დოლარს.**

**ვალუტა: დირჰამი.** 1 დირჰამი უდრის 0,10 აშშ დოლარს.

**ინტერნეტდომენი: ma**

**სატელეფონო კოდი: +212**

**საათობრივი სარტყელი: UTC 0 და UTC +1.**

## კულტურა

მაროკოს კულტურის ჩამოყალიბებაში, ადგილობრივი მოსახლეობის (ბერბერები) გარდა, თავიანთი წვლილი შეიტანეს ფინიკიელებმა და არაბებმა, რომაელებმა, ვანდალებმა და ანდალუზიელებმა.

მაროკოული ლიტერატურა წარმოდგენილია არაბულ, ბერბერულ, ფრანგულ და ესპანურ ენაზე დაწერილი ნაწარმოებებით.

მაროკოში შენობების უდიდესი ნაწილი აგებულია დარ-ალ-ისლამის სტილში, რომელიც შეესაბამება მუსლიმთა ცხოვრების წესსა და ტრადიციებს.

დიდი პოპულარობით სარგებლობს რაბატული ხალიჩები.

**ღირსშესანიშნაობები:** რაბატში — კასბა-დეს-უდაია (ციხესიმაგრე, რომელიც აშენებულია ატლანტიკის ოკეანის კლდოვან ნაპირზე), არქეოლოგიური მუზეუმი.

კასაბლანკაში — მეფე ჰასან II მეჩეთი, საკათედრო ტაძარი,. მარაკეშში — ბაჰიას სასახლე, მაჟორელის ბაღი.

## სამზარეულო

მაროკოულ სამზარეულოზე გავლენა იქონია არაბულმა, ბერბერულმა, აფრიკულმა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სამზარეულოებმა.

კერძებში, ძირითადად, იყენებენ ბოსტნეულს, ხილს, ცხვრისა და საქონლის ხორცსა და ზღვის პროდუქტებს.

მაროკოში ძალიან პოპულარულია კერძები: თაჯინი და კუს-კუსი.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


ჰასან მეორის მეჩეთი კასაბლანკაში



## თაჯინი ლიმონითა და ზეთისხილით

**ინგრედიენტები:**

* ცხვრის ხორცი (ძვლიანი) — 2 კგ.
* ხახვი — 6 თავი.
* ზეთისხილი (მწვანე) — 100 გრ.
* ლიმონი — 2 ც.
* კოჭა (დაფქული) — 1 ჩ/კ
* ზაფრანა — 1 ჩ/კ
* წითელი პილპილი — 1 ჩ/კ
* ქინძი — 50 გრ
* ოხრახუში — 50 გრ.
* მცენარეული ზეთი — 4 ს/კ
* შავი პილპილი — 1 ჩ/კ
* მარილი — გემოვნებით.

**მომზადება:**

**1. ლიმონები დაჭერით 7-8 ნაჭრად, მოაყარეთ მარილი და დადეთ ლამბაქზე.**

**2. ხორცი დაჭერით საშუალო ნაჭრებად. თიხის ქვაბში ჩაასხით ზეთი, გააცხელეთ, შემდეგ ჩაყარეთ ერთი თავი დაწრილი ხახვი, კოჭა, ზაფრანა, წითელი პილპილი, ცხვრის ხორცი და მოაყარეთ მარილი. ქვაბს თავსახურავი დაახურეთ და ნელ ცეცხლზე შუშეთ, ვიდრე ხორცი მოწითალო-მოყავისფრო ქერქს გაიკეთებს.**

**3. მასას დაამატეთ 500 მლ წყალი და ხარშეთ 2 საათის განმავლობაში (ნელ ცეცხლზე). შემდეგ ხორცს მოაცილეთ ძვლები, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მწვანილი, ქვაბს თავზე დაახურეთ და ნელ ცეცხლზე შედგით 40 წთ-ის განმავლობაში.**

**4. მიღებულ მასას დაუმატეთ მარილიანი ლიმონის ნაჭრები, ზეთისხილი და 10 წუთით დატოვეთ ცეცხლზე, შემდეგ გადმოდგით და 5-7 წთ-ის შემდეგ კერძი სუფრაზე მიიტანეთ.**

სიგარეტისთვის თავის დანებება ისე ძნელია, რომ ამ პრობლემაზე არა მხოლოდ მწეველები ფიქრობენ, არამედ ექიმებიც, ფსიქოლოგებიცა და ფარმაცევტებიც. ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, სიგარეტის მოწევა ნარკოდამოკიდებულებაა — ტვინი ორგანიზმს ნიკოტინის მოთხოვნის სიგნალს აძლევს.

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ავტომობილის პარკირება უკუსვლით

**ავტომობილის უკუსვლით პარკირების ჩვევა ჯერ დახურულ ფართობზე უნდა გამოიმუშავოთ, თანაც აუცილებლად ინსტრუქტორის მეთვალყურეობით.**

თუ ავტომობილის მართვის წესები ჩაბარებული გაქვთ, მაგრამ ქალაქის პირობებში მაინც გიძნელდებათ პარკირება, ეს ინსტრუქცია თქვენთვის ზედგამოჭრილია.

თავდაპირველად მოძებნეთ **თავისუფალი ადგილი**, სადაც ავტომობილს გააჩერებთ ისე, რომ მანევრირებისთვის რაც შეიძლება მეტი სარეზერვო ადგილი გქონდეთ. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში მოგიწევთ ვიწრო ადგილებში პარკირებაც, მაგრამ თავდაპირველად სჯობს, უფრო იოლი შემთხვევით დაიწყოთ. შესაბამისად, მოძებნეთ ადგილი, სადაც პარკირებისას თქვენს ავტომობილს ექნება სარეზერვო მანძილი, როგორც გვერდებიდან, ისე წინ და უკან.

აღსანიშნავია, რომ ზოგი ახალბედა მძღოლი ავტომობილის უკუსვლით პარკირებას რთულ და მოუხერხებელ მანევრად მიიჩნევს, მაგრამ წინსვლით პარკირების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ აცნობიერებს, რომ ავტომობილის უკუსვლით დაყენებას ალტერნატივა არ აქვს.

რატომ ვერ ხერხდება ყოველთვის ავტომობილის პარკირება წინსვლით? საქმე ის არის, რომ საჭის დატრიალებისას უკანა ბორბლები უფრო მკვეთრი ტრაექტორიით მოძრაობს, ვიდრე წინა. შესაბამისად, უკუსვლით ავტომობილს მანევრირების მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე წინსვლით მოძრაობისას.

## უკუსვლით პარკირების წესები:



**1. აირჩიეთ თავისუფალი ადგილი (რეზერვით).**

**2.** დადექით პარკირების ადგილთან ახლოს, 15-20 სმ-იანი გვერდითი ინტერვალით უკვე გაჩერებულ ავტომობილთან და მის უკანა ბამპერს თქვენი ავტომობილის ბამპერი გაუსწორეთ.

**3. ჩართეთ უკუსვლის რეჟიმი, ნელა წადით, საჭე გაასწორეთ. აუცილებელია დაიცვათ მოსახვევში შესვლის უსაფრთხოების კუთხე, რომელიც ძალიან განსხვავებულია ავტომობილის სხვადასხვა მარკისა და მოდელისთვის. უნივერსალური რჩევა: იარეთ უკან მანამდე, ვიდრე თქვენი ავტომობილის უკანა ხიდის ცენტრი (უკანა ბორბლის დისკოს ცენტრი) გაუსწორდება უკვე პარკირებული მანქანის უკანა ბამპერს.**

**4.** საჭე ბოლომდე გადაატრიალეთ მოსახვევის მიმართულებით. თუ დაიცავით მოსახვევში შესვლის უსაფრთხოების კუთხე, გაჩერებულ ავტომობილს არ გაეხახუნებით. ყველაფერი მარტივია: საჭეს მარჯვნივ გადაატრიალებთ — ავტომობილი მარჯვნივ მოუხვევს, მარცხნივ გადაატრიალებთ — მარცხნივ მოუხვევს.

**5. განაგრძეთ უკანსვლა და საჭე საწინააღმდეგო მიმართულებით გადაატრიალეთ, რათა წინსვლა დაიწყოთ.**

6. საჭე გაასწორეთ და თქვენი ავტომობილი უკვე პარკირებული ავტოს უკან გააჩერეთ.

## რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მძღოლებს

* ლიმონის ნაჭერი, თუ მას ავტომობილის მართვისას შეჭამთ, ძილს დაგიფრთხობთ. ხოლო ენის ქვეშ რამდენიმე წუთით დაფნის ფოთლის ამოდება, გულის რევის განცდას გაგიქრობთ.

*** საჭესთან ჩაძინება თავიდან რომ აიცილოთ, ჩართეთ აუდიოსისტემა და მოაწყვეთ „დუეტი-კონცერტი" — ხმამაღლა აჰყევით დინამიკებიდან წამოსულ მუსიკის ჰანგებს. თუმცა სჯობს, არ გარისკოთ. გააჩერეთ ავტომობილი და ცოტა ხნით დაიძინეთ.**

* წვიმის დროს, გუბეების გავლისას, სამუხრუჭე ხუნდები სველდება და უნდა „გააშროთ". ამისთვის სამუხრუჭე პედალს რამდენიმეჯერ დააჭირეთ მოძრაობისას.

# შეგიძლიათ სიგარეტისთვის თავის დანებება?

ტესტი

**სიგარეტის მოწევის მავნე ჩვევისგან გათავისუფლება ბევრს სურს, მაგრამ, როგორც სპეციალისტთა კვლევები გვიჩვენებს, სიგარეტის გადაგდება ძალიან ძნელია. რა არის სიგარეტის მოწევა — ნიკოტინზე მიჯაჭვულობა თუ უნებისყოფობა? ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხების სამი ვარიანტიდან (ა, ბ, გ) აირჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს დამოკიდებულებას სიგარეტისადმი.**



**1. როდის უკიდებთ სიგარეტს — როცა უსაქმოდ ხართ თუ როცა ნერვიულობთ?**
**ა.** არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში — 1 ქულა;
**ბ.** ხანდახან ასეც ხდება — 3;
**გ.** როცა ვნერვიულობ — 5.

**2. თუ სიგარეტის მოწევის საშუალება არ გაქვთ, ნერვიულობთ?**
**ა.** რა თქმა უნდა — 5;
**ბ.** არა — 1;
**გ.** ზოგჯერ — 3.

**3. რამდენიმე სიგარეტს ზედიზედ ეწევით?**
**ა.** საერთოდ, კი — 3;
**ბ.** ხანდახან, როცა ბევრი სამუშაო ან სანერვიულო მაქვს — 5;
**გ.** არა — 1.

**4. როცა ღელავთ, ხელი სიგარეტისკენ გაგირბით?**
**ა.** არა — 1;
**ბ.** ხანდახან — 3;
**გ.** დიახ — 5.

**5. თუ სიგარეტის ყიდვა დაგავიწყდათ და არ გაქვთ, ადგილს ვერ პოულობთ?**
**ა.** თუ არ მოვწევ, ვერ მოვისვენებ — 5;
**ბ.** სიგარეტის გარეშე როგორმე გავძლებ — 1;
**გ.** გააჩნია, რა გუნებაზე ვარ — 3.

**6. ხშირად უკიდებთ სიგარეტს მექანიკურად?**
**ა.** ზოგჯერ — 3;
**ბ.** დიახ — 5;
**გ.** არა — 1.

**7. როგორც კი მოწევას დაიწყებთ, იმწამსვე წყვეტთ ნერვიულობას და გავიწყდებათ უსიამოვნებები?**
**ა.** არა — 1;
**ბ.** ხანდახან — 3;
**გ.** დიახ — 5.

**8. თუ რამდენიმე საათის განმავლობაში არ ეწევით, „ნიკოტინის შიმშილს" განიცდით?**
**ა.** ზოგჯერ — 3;
**ბ.** დიახ — 5.
**გ.** არა — 1.

**9. ზოგჯერ არ გახსოვთ, როდის მოუკიდეთ სიგარეტს?**
**ა.** ასეც ხდება ხოლმე — 5;
**ბ.** ხანდახან — 3;
**გ.** არა — 1.

**10. ეთანხმებით მოსაზრებას, რომ სიგარეტის მოწევა ნერვებს ამშვიდებს?**
**ა.** დიახ — 1;
**ბ.** არ ვიცი — 3;
**გ.** არა — 5.

### შეაჯამეთ ქულები:

**11-დან 20 ქულამდე:** სიგარეტი თქვენი მაშველი რგოლია. თითქოს გეხმარებათ დაძაბულობის მოხსნაში. თუ სიგარეტის მოკიდების შემდეგ ფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზეა, უკვე მიჯაჭვული ხართ ნიკოტინზე.

**21-დან 30 ქულამდე:** თქვენ ფსიქოლოგიურად მიეჯაჭვეთ სიგარეტს და მოწევის სურვილს ველარ აკონტროლებთ. ეს მიჯაჭვულობა მყარია და დიდი ნებისყოფის გამოჩენის გარეშე ამ მავნე ჩვევას თავს ვერ დააღწევთ.

**31-დან 39 ქულამდე:** სიგარეტის მოწევა თქვენი ყველაზე მავნე ჩვევაა, რომლისგან გათავისუფლება არათუ გიჭირთ, არამედ, პრაქტიკულად, შეუძლებელიც კია, მაგრამ, თუ გადაწყვეტთ, იქნებ შეძლოთ კიდეც.

# ავტოტრენინგი მწეველთათვის



**სიგარეტისთვის თავის დანებება ისე ძნელია, რომ ამ პრობლემაზე არა მხოლოდ მწეველები ფიქრობენ, არამედ ექიმებიც, ფსიქოლოგებიცა და ფარმაცევტებიც. ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, სიგარეტის მოწევა ნარკოდამოკიდებულებაა — ტვინი ორგანიზმს ნიკოტინის მოთხოვნის სიგნალს აძლევს.**



სიგარეტისთვის თავის დანებების მრავალი მეთოდი არსებობს: აბები, რომლებშიც ნიკოტინის უმნიშვნელო დოზაა; ნიკოტინით გაჟღენთილი პლასტირი და სხვ. წიგნებიც კი დაიწერა, როგორ დავანებოთ თავი სიგარეტს. საშუალება ბევრია, მაგრამ სიგარეტის მწეველთა რაოდენობა მაინც ძალიან დიდია.

**როგორ დავანებოთ თავი სიგარეტს?**

პირველ რიგში, მტკიცედ უნდა გადაწყვიტოთ, რომ უსიგარეტოდაც შეგიძლიათ ცხოვრება. გახსოვდეთ, რომ სიგარეტი თქვენი ტვინის უჯრედებს ახმობს, მეხსიერებას გიქვეითებთ.

როცა მოწევის სურვილი გაგიჩნდებათ, საკუთარ თავს უთხარით:

**მე მაქვს ნებისყოფა, სიგარეტი არ მოვწიო! მე ძლიერი ვარ, შემიძლია ჩემი სურვილების მართვა! სიგარეტი მავნებელია, ის ტვინს მიხმობს, ვნებს ჩემს ჯანმრთელობას! შევძლებ, არ ვიყო დამოკიდებული სიგარეტზე, გავძლებ უსიგარეტოდ.**

ეს ფრაზები გაიმეორეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოგინდებათ სიგარეტის მოწევა.

სცადეთ და უთუოდ გაიმარჯვებთ!

გაერთეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. ციხე ახალციხეში
2. სასტიკი მმართველი
3. „... სახლის პატარა დიასახლისი"
4. მაიმუნის სახეობა
5. მსახიობი ... ბასილაშვილი
6. პოეტი რაინერ მარია ...
7. ხორვატი ფეხბურთელი ... რაკიტიჩი
8. მსახიობი ... კილმერი
9. ხართან ბრძოლა
10. ტერმინი ნარდში
11. იარაღისაგან თავდასაცავი საჭურველი
12. მინაური ცხოველი
13. იაპონელი პიანისტი ... მაცუი
14. მწერალი ... ჭავჭავაძე
15. მითოლოგიური სისხლისმსმელი არსება
16. კახური პური
17. კაციჭამია
18. სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში
19. ხილი
20. არგენტინელი ფეხბურთელი ... მესი
21. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
22. „იყო ... მგალობელი"
23. ხე, დას. საქართველოში ეძახიან კოპიტს
24. გარგარისმაგვარი ხილი
25. მსახიობი ... სმიტი
26. მწერალი ედგარ ... პო
27. მსახიობი ლესლი ...
28. ინგლისელი მწერალი ვირჯინია ...
29. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი
30. მომღერალ კაკულიას სახელი
31. გაზაფხულის თვე
32. ინგლისელი კინორეჟისორი ... რიჩი
33. მსახიობი ... სორვინო
34. წიწვოვანი მცენარეების ყვავილედი
35. ჩვენებითი ნაცვალსახელი
36. ფრანგი მწერალი ჟან ...
37. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი
38. დიდი ხელოვნის საპატიო წოდება
39. ფრანგ მეფეთა სახელი
40. რისამე ფედაზარი
41. „..., მამული, სარწმუნოება"
42. იტალიელი ფეხბურთელი
43. რომის პაპის გვირგვინი
44. მახრჩობელი გველის სახეობა
45. მუსლიმი თეოლოგი, ყურანის განმმარტებელი
46. წნელით, ტყავით მოწნული ჭურჭელი
47. ადმინისტრაციული ერთეული
48. მსახიობი რიჩარდ ...
49. მხ.ფ. „კარტი, ფული და ... ლული"
50. კეთილშობილი მეომარი
51. მომღერალი ... ჯონსი
52. ტროპიკული ხილი
53. მწერალი ... კრიხელი
54. მუს. ნოტი
55. „... სოიერის თავგადასავალი"
56. ბაროკოს შემდგომი ეპოქა
57. უღელტეხილი დას. საქართველოში
58. მწერალი ... ტვენი
59. ბგერის არეკვლა რამე საგნებზე
60. კალათბურთელი ... აბდულ ჯაბარი
61. კალათბურთელი შაკილ ...
62. მსახიობი ... ვენტურა





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 2 | | 5 | 8 | | |
| | | 4 | | | | 7 | | |
| | 3 | | | | | | 1 | 9 |
| 7 | | | 4 | | | | | 8 |
| 4 | | | 6 | | 9 | | | 7 |
| 1 | | | | | 3 | | | 4 |
| 3 | 8 | | | | | | 7 | |
| | | 9 | | | | 2 | | |
| | | 7 | 1 | | 6 | 9 | | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | 9 | | 3 | 2 | 1 |
| | 4 | | 2 | | | | | |
| 2 | | | | | 3 | 7 | | |
| | | 2 | | 4 | | | 6 | 3 |
| 7 | | | | | | | | 9 |
| 5 | 6 | | | 8 | | 2 | | |
| | | 6 | 1 | | | | | 2 |
| | | | | | 8 | | 3 | |
| 9 | 7 | 3 | | 2 | 4 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | 8 | | | | |
| | 8 | 1 | 5 | | | | | |
| 5 | 4 | 3 | | 7 | 9 | | | |
| | 9 | | | 5 | | | 3 | 1 |
| | | | | | | | | |
| 4 | 1 | | | 9 | | | 7 | |
| | | | 9 | 4 | | 1 | 5 | 2 |
| | | | | | 7 | 8 | 4 | |
| | | | | 2 | | | | 7 |

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქმიანი ურთიერთობებისა და ეკონომიკური სფეროებისთვის რთული პერიოდია, მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება დიპლომატიურობა და ეკონომიურობა. წარმატების მეტი შანსი აქვთ ვერძისა და ლომის ნიშნებით დაბადებულებს.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**17 – 23 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

მოგიწევთ სწრაფად მიიღოთ გადაწყვეტილებები, მნიშვნელობა არ აქვს, რა როლს თამაშობთ საზოგადოებაში. მთავარია, გაბედულად იმოქმედოთ.

ხელმძღვანელმა ვერძებმა უნდა გააკონტროლონ, როგორ სრულდება მისი მითითებები.

მოთმინებით მოეკიდეთ საყვარელი ადამიანის შეცდომებს და შეეცადეთ, მასთან მეტი დრო გაატაროთ. წადით ისეთ ადგილას, რომელიც ორივეს დაგაინტერესებთ და თქვენს ურთიერთობას ახალ შტრიხებს შესძენს.

კარგი იქნება, თუ ჩაიტარებთ გამაჯანსაღებელ პროცედურებს, მაგალითად, მასაჟს.

**დადებითი დღე: 28 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 26 ივნისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

კარგი პერიოდია დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული გეგმების განსახორციელებლად, ოღონდ ნუ გადაიქცევით ტირანად. მოისურვებთ, უხელმძღვანელოთ ადამიანებს, მაგრამ ყველა არც მოიწონებს და არც გაიზიარებს თქვენს იდეებს.

პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია ცვლილებები, რომელთა მიზეზიც თქვენი სიჯიუტე და ახირებულობა იქნება. ყველა ცვლილება იურიდიულად გააფორმეთ, მოგვიანებით პრობლემა რომ არ შეგექმნათ.

თუ ფილტვები სუსტი გაქვთ, ახლა კარგი პერიოდია კურორტზე გასამგზავრებლად, მაგალითად, აბასთუმანში.

**დადებითი დღე: 29 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 27 ივნისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

კარგად უნდა დაფიქრდეთ, რას აკეთებთ და რა აკავშირებს თქვენს გაკეთებულს იმასთან, რაც რეალურად გსურთ. და თქვენ აუცილებლად დაინახავთ სხვაობას პირველსა და მეორეს შორის, მაგრამ ხელებს ნუ ჩამოუშვებთ — თუ მოინდომებთ, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც მოისურვებთ, მთავარია, გაერკვეთ თქვენს მისწრაფებებსა და სურვილებში.

შეიძლება, მარტოხელა ტყუპები შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის საინტერესო წარმომადგენელს, რომელთან ურთიერთობა მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

კარგი იქნება, თუ ჩაიტარებთ სისხლისა და ღვიძლის გამწმენდ პროცედურებს, ამისთვის კონსულტაციები ექიმთან გაიარეთ.

**დადებითი დღე: 25 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 24 ივნისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

ფსიქოლოგიური და ემოციური დაძაბულობის გამო, შესაძლოა, საქმე ისე ვერ შეასრულოთ, როგორც ხელმძღვანელობა ითხოვს, ამიტომ შეეცადეთ, პაუზა აიღოთ და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები სამომავლოდ გადადოთ.

ფული ეკონომიკურად ხარჯეთ, რადგან თქვენი ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება. შეძლებთ, საყვარელ ადამიანში ახალი თვისებები იპოვოთ — მისი ფარული სურვილები და უნარები, რაც დიდად წაადგება თქვენს ურთიერთობას.

უარი თქვით ალკოჰოლზე და შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 28 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 26 ივნისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

ოპტიმიზმითა და ენერგიით აღვსილი იქნებით და ყველა საქმის ერთდროულად კეთებას მოინდომებთ, მაგრამ შეიძლება, მოვლენები ისე არ განვითარდეს, როგორც თქვენ გსურთ.

ამიტომ მეთოდურად იმოქმედეთ და ყურადღება მთავარზე გაამახვილეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, ამასთანავე, თქვენი საქციელით შვილებისთვის მისაბაძი პიროვნება იქნებით.

დაიცავით კვების რეჟიმი, რადგან შეიძლება შეგექმნათ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემა.

**დადებითი დღე: 28 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 25 ივნისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

თუ მოვლენები ისე არ წარიმართება, როგორც გსურდათ, საკუთარ თავს დააბრალეთ. ნუ მიიღებთ მონაწილეობას საეჭვო ფინანსურ გარიგებაში, რადგან შეიძლება ყველაფერი კრახით დასრულდეს და რეპუტაცია შეგელახოთ.

ფინანსური პრობლემები შეიძლება, გავლენიანი მფარველების დახმარებით მოაგვაროთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ და არც ოჯახის უმცროსი წევრები დაგავიწყდეთ.

ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას დაიცავით უსაფრთხოების წესები, ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 28 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 30 ივნისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

თუ მოგეჩვენებათ, რომ ის, რაც თქვენ გარშემო ხდება, საინტერესო არ არის, საკუთარ თავში არ ჩაიკეტოთ. შეეცადეთ, ყველაფერი, რაც ხელს გიშლით დასახული მიზნების მიღწევაში, დაუნანებლად მოიშოროთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მიმართ მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას გამოიჩენთ — აჩუქეთ მას თქვენი სითბო და გულწრფელი ღიმილი.

თუ გულ-სისხლძარღვთა დაავადება გაწუხებთ, მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 29 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 25 ივნისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

ამ პერიოდში შეიძლება დადგეთ ფინანსური პრობლემების წინაშე, რომელთა მოგვარებასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება. კარგად დაითვალეთ შემოსავალ-გასავლები და ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა რომ არ გაგიფუჭდეთ, გადაწყვეტილებები კონსენსუსით მიიღეთ.

მარტოხელა მორიელებმა, შესაძლოა, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც დაქორწინებას გადაწყვეტენ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 28 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 30 ივნისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ამ პერიოდში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ, გულისხმიერება გამოიჩინეთ კოლეგებისა და ახლობელი ადამიანების მიმართ. სავარაუდოდ, მათ თქვენი დახმარება დასჭირდებათ და უარს ნუ ეტყვით.

საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნება ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. თქვენი ფინანსური მდგომარეობა კი სახარბიელო არ არის, ამიტომ ეცადეთ, დამატებითი შემოსავლის მიღების გზები გამონახოთ.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე, რადგან, შესაძლოა, თირკმლების ქრონიკული დაავადება გაგიმწვავდეთ.

**დადებითი დღე: 30 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 24 ივნისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლოა, წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგათ, რაც კარგს არაფერს მოგიტანთ. ნუ შეეწინააღმდეგებით ცვლილებებს, რომლებიც უკვე მომწიფდა — დაე, წავიდეს ძველი და მოვიდეს ახალი.

შეეცადეთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შეიტანოთ ახალი შტრიხები და თავი დაანებეთ უსაფუძვლო ეჭვიანობას.

ნერვული სისტემის დასამშვიდებლად და განწყობის ასამაღლებლად, კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით და სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

**დადებითი დღე: 24 ივნისი.**
**უარყოფთი დღე: 29 ივნისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

დაძაბული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, შეეცადეთ, ხელმძღვანელობის ყველა დავალება პირნათლად შეასრულოთ. თქვენი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება სწორედ კეთილსინდისიერად შესრულებულ დავალებაზე იქნება დამოკიდებული.

ახლა მეტი ყურადღება და მზრუნველობა გმართებთ ოჯახის წევრების მიმართ. საპასუხო რეაქციაც არ დააყოვნებს და მათი დახმარებით ბევრ ისეთ პრობლემას მოაგვარებთ, რომლებსაც მარტო ვერ გაუმკლავდებოდით.

ფიზიკურმა დაღლილობამ შეიძლება იმუნიტეტის დაქვეითება გამოიწვიოს, ამიტომ მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 28 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 26 ივნისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

თქვენ ახლა მტკიცე კავშირები (საქმიანიც და ოჯახურიც) გჭირდებათ დასახული მიზნების მისაღწევად. ინტუიცია გამახვილებული გაქვთ, მაგრამ ყველა დეტალის გათვალისწინებას ვერ შეძლებთ, ამიტომ რჩევისთვის ახლობლებს მიმართეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი აარიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და შეეცადეთ, მისი სამართლიანი მოთხოვნები შეასრულოთ.

თუ შვებულებას ვერ აიღებთ და სრულფასოვნად ვერ დაისვენებთ, შეეცადეთ, სწორად იკვებოთ და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 27 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 29 ივნისი.**

# თბილისში «მშვიდობისა და მეგობრობის საერთაშორისო სახლი» აშენდება

**70 წელი გავიდა დედამიწაზე ყველაზე სასტიკი და დამანგრეველი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**
**დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ატომურმა მესამე მსოფლიო ომმა, შესაძლოა, დედამიწაზე სიცოცხლე მოსპოს, პლანეტა ორბიტიდან მოწყვიტოს და გაანადგუროს.**



**თბილისის «მშვიდობისა და მეგობრობის სახლი» მალე მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას, იქცევა ურთიერთგაგების, ურთიერთდათმობის, შერიგების, შენდობისა და ურთიერთმიტევების მძლავრ ცენტრად, რომელიც მოემსახურება და დახმარებას აღმოუჩენს სხვადასხვა კონფლიქტით შეჭირვებულ, დაპირისპირებულ მხარეებს, ქვეყნებს**

მიუხედავად ამ აპოკალიფსური პროგნოზისა, კაცობრიობა ბევრჯერ მდგარა ახალი გლობალური საფრთხის წინაშე, მაგრამ, საბედნიეროდ, საღი აზრი ყოველთვის იმარჯვებდა, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ დედამიწაზე სიმშვიდე და მოსვენება სუფევს. **ქვეყნებს შორის ატეხილ ლოკალურ ომებს, სამოქალაქო დაპირისპირებებს, ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებს უამრავი სიცოცხლე ეწირება; იღუპებიან მცირეწლოვანი ბავშვები, ქალები, უსახლკაროდ რჩებიან ოჯახები, ირგვლივ სიძულვილი და გაუტანლობა სუფევს, მსოფლიო კატასტროფისკენ მიექანება, რასაც შეშფოთებით შესცქერიან პოლიტიკოსები, მეცნიერები, ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწენი, რიგითი ადამიანები.**

ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოში გაისმა პირველად შერიგების, შენდობისა და ურთიერთმიტევებისკენ მოწოდება და გაჩნდა იდეა თბილისში „მშვიდობისა და მეგობრობის საერთაშორისო სახლის" დაფუძნებისა, ქვეყანაში, სადაც შეიქმნა მსოფლიო ფოლკლორის შედევრი, გენიალური ბალადა-ლექსი „ვეფხვისა და მოყმისა", რომელმაც შეუძლებელია, არ აღგაფრთოვანოს. აქ ერთმანეთთან შერკინებისას ნადირის მიერ ტორებით დაფლეთილ შვილზე მტირალ დედას ახსენდება ვაჟის მიერ ხმლით აკუწული მისი მოწინააღმდეგე და გონებაში იბადება საოცარი ფრაზა: **„იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა?!"**. ისე ახლობელია და გასაგები მისთვის სხვისი ტკივილი, ისე ძლიერია თანაგრძნობის განცდა, რომ გადაწყვეტს, მისი ბედის მოზიარე დედასთან მივიდეს და „სამძიმარ უთხრას ჭირისა".

როგორც ზემოთ ვთქვით, მსოფლიო ლამის წალეკოს კონფლიქტებმა, მაგრამ ერთი რამ მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: **რაგინდ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა იყვნენ წაკიდებულნი მხარეები, შინაგანად მაინც არსებობს სინანულის განცდა გამოჩენილი სისასტიკის გამო და ჩნდება სურვილი ურთიერთმიტევებისა და შერიგებისა; მეტადრე, როცა რწმუნდები, რომ ამ მამათმკვლელ, სისხლისმღვრელ ომში გამარჯვებითაც კი არ ხერხდება კონფლიქტის მოგვარება და სასურველი შედეგის მიღწევა.**

სწორედ ეს გარემოება გვინერგავს რწმენას, რომ ჩვენს იდეას დამარცხება არ უწერია და **თბილისის „მშვიდობისა და მეგობრობის სახლი" მალე მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას, იქცევა ურთიერთგაგების, ურთიერთდათმობის, შერიგების, შენდობისა და ურთიერთმიტევების მძლავრ ცენტრად, რომელიც მოემსახურება და დახმარებას აღმოუჩენს სხვადასხვა კონფლიქტით შეჭირვებულ, დაპირისპირებულ მხარეებს, ქვეყნებს.**

მას უკვე გამოუჩნდნენ მხარდამჭერნი, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი, ფინანსური თუ სხვა სახის (მათ შორის ინვესტირებითაც) დახმარება აღმოუჩინონ თბილისის „მშვიდობისა და მეგობრობის სახლს", რომლის ფუნქციონირებაც დაახლოებით ასე გვესახება:

*აქ თავს მოიყრიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, უპირატესად, ქალბატონები (დედები), რომლებმაც პირადად განიცადეს კონფლიქტებით გამოწვეული ტკივილი. დაკომპლექტდება სახლის ადმინისტრაცია, სათათბირო (საბჭო), რომელიც იმუშავებს დაპირისპირებულ მხარეებთან კონფლიქტის მოგვარებისთვის.

თბილისის „მშვიდობისა და მეგობრობის სახლი" დიდ სარგებლობას მოუტანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, მაგრამ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ საქართველოსათვის იქნება.

*ამ უნიკალური, ნოვაციური იდეის ავტორი ჩვენი ქვეყანა, მალე მოექცევა მსოფლიო ყურადღების ცენტრში, წარმოჩნდება მისი თვითმყოფადი კულტურა, შესანიშნავი ტრადიციები, მაღალი ჰუმანიზმი და ტოლერანტობა; ეს კი ხელს შეგვიწყობს შიგა კონფლიქტების მოგვარებაში.

*აქ პერიოდულად შეიკრიბებიან და აქტუალურ თემებზე იმსჯელებენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, პოლიტიკოსები, კულტურის მუშაკები. მოეწყობა სპორტული შეჯიბრებები, გამოფენები; ყოველი წლის 30 ივლისს, რომელიც გაეროს მიერ მეგობრობის საერთაშორისო დღედ არის გამოცხადებული, ჩატარდება სიმღერის საერთაშორისო კონკურსი მშვიდობისა და მეგობრობის თემაზე, იმუშავებს ბეჭდვითი მედია და ა.შ.

* თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით საქართველო, თბილისი იქცევა ევროატლანტიკური და ევრაზიული კულტურების დამაკავშირებელ რგოლად, გავლენას მოახდენს მათ შორის წამოჭრილი სადავო საკითხებისა თუ აღმოცენებული კონფლიქტების მოგვარებაზე.

*ქართული ეკლესია, რომელიც ოდითგანვე გამოირჩეოდა რელიგიური შემწყნარებლობითა და მისაბაძი ტოლერანტობით, კვლავაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სხვადასხვა კონფესიის ურთიერთდაახლოების სასიკეთო პროცესში.

ამ მიზნის განსახორციელებლად **თბილისში შეიქმნა არასამეწარმეო იურიდიული პირი — საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „დედის ცრემლები", რომლის ძალისხმევით აშენდება ხსენებული საერთაშორისო სახლი. შეუძლებელია, ეს მეტად კეთილშობილური საქმე გულთან არ მიიტანოს მშვიდობისა და სამშობლოს მოყვარულმა ადამიანმა, მხარში არ ამოუდგეს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებთ.**

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა, მიუხედავად თავიანთი დუხჭირი ცხოვრებისა, ამ კეთილშობილურ საქმეში — „მშვიდობისა და მეგობრობის სახლის" მშენებლობაში — თავიანთი წვლილი შეიტანეს, მათ შორის, მატერიალურიც.

მოვუწოდებ სამთავრობო და კერძო მეწარმეებს, ყველა მშვიდობის მსურველ მოქალაქეს, მიბაძონ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს!

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „დედის ცრემლების" საბანკო რეკვიზიტებია:**

1. **ლარებში სს „თიბისი ბანკი"**
   ანგარიშსწორების ანგარიში G GE56TB7132936080100007
   საბანკო კოდი TBCBGE22
   ფონდის საინდიფიკაციო კოდი 405026396

2. **დოლარში სს „თიბისი ბანკი"**
   ანგარიშწორების ანგარიში GE73TB7132936180100008
   საბანკო კოდი TBCBGE22
   ფონდის საინდიფიკაციო კოდი 405026396

3. **ევროში სს „თიბისი ბანკი"**
   ანგარიშსწორების ანგარიში GE73TB7132936180100008
   საბანკო კოდი TBCBGE22
   ფონდის საინდიფიკაციო კოდი 405026396

**რევაზ ნაცარიშვილი,**
აიპ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის" გამგეობის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი

---

ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე გულითადად თანავუგრძნობთ ჩვენს მეგობარს — ცისანა ჩიხლაძეს მეუღლის

**ოთარ კიკნაძის**

გარდაცვალების გამო.

---

## 30-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

სურ: სოფიკო ჭიაურელი; ლუვრი; რომი შნაიდერი. 1. რაბათი; 2. ტირანი; 3. დიდი; 4. გორილა; 5. ოლეგ; 6. რილკე; 7. ივან; 8. ველ; 9. კორიდა; 10. დავი; 11. ფარი; 12. ვირი; 13. კეიკო; 14. ილია; 15. ვამპირი; 16. შოთი; 17. კანიბალი; 18. კობი; 19. ბალი; 20. ლიონელ; 21. შუ; 22. შაშვი; 23. იფანი; 24. ჭერამი; 25. უილ; 26. ალან; 27. ნილსონი; 28. ვულფი; 29. იალბუზი; 30. ეთერი; 31. აპრილი; 32. გაი; 33. მირა; 34. გირჩა; 35. ის; 36. დიდრო; 37. ფრი; 38. მაესტრო; 39. ლუი; 40. ლდეა; 41. ენა; 42. პირლო; 43 ტიარა; 44. პითონი; 45. აიათოლა; 46. გოდორი; 47. რაიონი; 48. გირი; 49. ორი; 50. რაინდი; 51. ნორა; 52. მანგო; 53. არონ; 54. მი; 55. ტომ; 56. როკოკო; 57. რიკოთი; 58. მარკ; 59. ექო; 60. ქარიმ; 61. ონილი; 62. ლინო.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 6 | 2 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 8 | 3 | 2 | 7 | 6 | 4 | 5 | 1 | 9 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 4 | 2 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 5 | 7 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 3 | 6 | 2 | 4 |
| 3 | 8 | 1 | 9 | 5 | 2 | 4 | 7 | 6 |
| 6 | 5 | 9 | 8 | 4 | 7 | 2 | 3 | 1 |
| 2 | 4 | 7 | 1 | 3 | 6 | 9 | 8 | 5 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 8 | 4 | 9 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 2 | 1 | 6 | 8 | 9 | 5 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 8 | 9 | 2 | 7 | 4 | 1 | 5 | 6 | 3 |
| 7 | 3 | 1 | 5 | 6 | 2 | 4 | 8 | 9 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 8 | 9 | 2 | 1 | 7 |
| 4 | 8 | 6 | 1 | 3 | 5 | 9 | 7 | 2 |
| 1 | 2 | 5 | 9 | 7 | 8 | 6 | 3 | 4 |
| 9 | 7 | 3 | 6 | 2 | 4 | 1 | 5 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 6 | 8 | 1 | 5 | 3 | 2 | 7 | 9 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 7 | 9 | 6 | 2 | 8 |
| 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 3 | 7 | 5 | 2 | 6 | 1 | 4 | 8 | 9 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 8 | 9 | 4 | 3 | 1 | 5 | 2 |
| 2 | 5 | 9 | 6 | 1 | 7 | 8 | 4 | 3 |
| 1 | 3 | 4 | 8 | 2 | 5 | 9 | 6 | 7 |

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894